ავთანდილ სონღულაშვილი ქეთევან ჯინჭარაძე
ვახტანგ სონღულაშვილი

სახალხო დიპლომატია და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები

თ ბ ი ლ ი ს ი
2 0 2 0

ნაშრომი მომზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ,,საქართველოს სახალხო დიპლომატია პოსტსაბჭოთა პერიოდში“ ფარგლებში.

ნაშრომში, მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურისა და რესპონდენტთა ინფორმაციის ანალიზის გათვალისწინებით შესწავლილია საქართველოს ძალისხმევა სახალხო დიპლომატიის მეშვეობით ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობასთან ურთიერთობების აღსადგენად.

წარმოჩენილია სახალხო დიპლომატიის როლი და ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში, განხილულია საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება ამ ფენომენისადმი. აქვე, ნაჩვენებია ის ხელისშემშლელი ფაქტორები, რომელიც აბრკოლებს ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობათა კონტაქტებს.

ნაშრომი განკუთვნილია სპეციალესტებისა და მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის.

რედაქტორი: პროფ. ირაკლი გაბისონია

რეცენზენტები: პროფ. მანანა დარჩაშვილი
პროფ. მაია ყიფიანი

ISBN 978-9941-25-873-2

შ ი ნ ა ა რ ს ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი 4
ლაბირინთი 7
დიპლომატიის ისტორიიდან 24
კონფლიქტებიდან ოკუპაციამდე 47
მოვლენათა კვალდაკვალ 80
სახალხო დიპლომატიის არსი 130
კულტურული და ეკონომიკური კავშირები 144
საზოგადოებრივი აზრი და ხელისშემშლელი ფაქტორები 155
დ ა ს კ ვ ნ ა 167
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა 172

შ ე ს ა ვ ა ლ ი

დღეს, როდესაც მსოფლიოში მიმდინარეობს ძალთა გადანაწილებისათვის ახალი ბრძოლა და მრავალი სახელმწიფო პრეტენზიას აცხადებს ლიდერობის მოპოვებაზე, სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგიების, თუ საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბების ფონზე აქტუალობას იძენს დიპლომატიური ურთიერთობების ისეთი ფორმით წარმართვა, რომელიც ხელს შეუწყობს მშვიდობიანი პოლიტიკის წარმოებას. სახალხო დიპლომატიის წარმატებით გამოყენება კი საქართველოს მაგალითზე კონფლიქტური რეგიონების მიმართულებით საკმაოდ ეფექტური მეთოდია.

თანამედროvე საერთაშორისო ურთიერთობებში პრობლემის მშვიდობიანი მოგვარების მიზნით მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სახალხო დიპლომატიამ. საუკუნეების განმავლობაში სახელმწიფოებს შორის დიპლომატიურმა ურთიერთობებმა, აგრეთვე სახელმწიფოებს შიგნით არსებულმა კონფლიქტის დარეგულირების მექანიზმმა, გარკვეული ცვლილება განიცადა.

დღესდღეობით სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები თუ უბრალოდ კონფლიქტის დარეგულირების დარგში მომუშავე ექსპერტები საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სახალხო დიპლომატიას. გარდა ამისა,

აღნიშნული პრობლემების კვლევას არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა და თანამედროვე მსოფლიოში ეს საკითხი საკმაოდ აქტუალურია. ამიტომ აუცილებლობას წარმოადგენს გარდა პოლიტიკოსებისა კონფლიქტების მოგვარებაში აქტიურად ჩაერთონ მეცნიერები, რომლებიც ისტორიულ-პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტების ცოდნისა და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული კვლევის მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებენ მეტნაკლებად ოპტიმალურ გეგმას, რაც ქართულ-აფხაზურ მხარესა და ქართულ-ოსურ მხარეს შორის კონფლიქტის დარეგულირებას შეუწყობს ხელს.

ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივას შეიარაღებული ძალის გამოყენებაში ხედავს, ნაწილი კი მშვიდობიანი პოლიტიკის წარმოებაში. ამ ფონზე აუცილებლად გვესახება ისეთი დებულებების თუ მეთოდების შემუშავება, რომელიც გარკვეულ წვლილს შეიტანს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით წარმართვაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ საკითხის ისტორიული კუთხით შესწავლა, არამედ ისეთი გეგმის შემუშავება, რომელიც პრაქტიკული სახით ჰპოვებს გამოხატულებას.

ფაქტია, რომ ვერც წინა და ვერც ახლანდელმა ხელისუფლებამ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი ვერ გადაჭრა. საზოგადოება ვერ ხედავს ამ მხრივ რეალურ პერსპექტივებს. წინაპირობა იმისა, რომ დაიწყოს პირდაპირი დიალოგი ოფიციალურ სოხუმსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის პრობლემის მშვიდობიანი გზით დარეგულირებისათვის, საჭიროა სახალხო დიპლომატიის ძალისხმევა, რომლის რესურსები ძირითადად გამოუყენებელია. საერთაშორისო ურთიერთობების გამოცდილება კი გვიჩვენებს, რომ სახალხო დიპლომატია არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი დაპირისპირებულ მხარეთა პოზიციების დაახლოების, ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის შექმნის რთულ და წინააღმდეგობრივ გზაზე.

ჩვენი გამოკვლევის სიახლე და აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ აფხაზებთან და ოსებთან უშუალო შეხვედრებსა და მოლაპარაკებას ალტერნატივა არა აქვს, რადგან ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემთხვევაშიც კი, თუ ადამიანებს შორის არ აღდგა ნდობა და ურთიერთგაგება, კონფლიქტი არ გადაიჭრება და გაყოფილი საზოგადოება მუდამ იდგება ფარული კონფრონტაციის ღია კრიზისში გადაზრდის საშიშროების წინაშე. ამდენად, სახალხო დიპლომატია აუცილებელია, როგორც დღეს არსებულ რეალობაში, ისე პერსპექტივაში – დევნილთა დაბრუნებისა და თანაცხოვრების პირობების აღდგენის

შემთხვევაშიც.

ამავე დროს, სახალხო დიპლომატია იმით არის მეტნაკლებად მისაღები დაპირისპირებული მხარეებისათვის, რომ გვერდს უვლის ურთულეს პოლიტიკურ საკითხებს და ემყარება პოზიტივზმს. ადამიანის განწყობებსა და სასიცოცხლო ინტერესებში, წინა პლანზე აყენებს ადამიანს და არა შექმნილ ვითარებას, ოფიციალურ თვალსაზრისს, მით უფრო, ვისიმე მერკანტილურ პოლიტიკურ ინტერესებსა და თამაშებს, მუშაობს და ვითარდება შინაგანი კანონზომიერებით. ასევე, ემყარება ადამიანთა თვითგადარჩენის ინსტიქტებს, გააზრებულ სამშვიდობო მისწრაფებებს და ახდენს დაპირისპირებულ მხარეთა ურთიერთობის დარეგულირებას.

ლაბირინთი

29 წელი გავიდა, რაც საქართველომ დაკარგული დამოუკიდებლობა აღადგინა. ამას მოჰყვა სახელმწიფო გადატრიალება და კანონიერი ხელისუფლების დამ-ხობა. შედეგად მივიღეთ მარიონეტული ხელისუფლე-ბების ცვლა, რამაც სავავალო შედეგებამდე მიგვიყვანა. ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა ტერიტორიის ოცი პროცენტი და ისტორიულ ქართულ მიწაზე ორი განდგომილი რეგიონი შეიქმნა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ კიდევ უფრო რთული გახდა დაკარგული ტერიტო-რიების შემოერთების პერსპექტივა. ქვეყნის ხელისუფ-ლებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის ძალი-სხმევა შედეგს არ იძლევა. ამიტომ, საჭიროა საზო-გადოების აქტიური ჩართულობა პრობლემის მოგვა-რებაში.

აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონების ტერი-ტორიაზე საქართველოს იურისდიქციის გავრცელება, ერთმნიშვნელოვნად ორიენტირებულია აფხაზებსა და ოსებთან ნდობის აღდგენაზე, მშვიდობიან ურთიერ-თობებზე, რომელიც ვერ მიიღწევა ეფექტიანი სახალხო დიპლომატიის გარეშე. ეს ფაქტორი წარმოადგენს სქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღეგენის, ეთნიკური (და არა მხოლოდ ეთნიკური) ნიშნით გათიშული საზოგადოების კონსოლიდაციის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას. გასათვალისწინებელია ის გა-

რემოება, რომ აფხაზების გარეშე აფხაზეთს ვერ დავიბრუნებთ, ისე, როგორც ოსების გარეშე ცხინვალის რეგიონს. ,,ქარს დასთეს, ქარიშხალს მოიმკი და ეს არასოდეს დამთავრდება“.

ვერც წინა და ვერც ახლანდელმა ხელისუფლებამ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი ვერ გადაჭრა. საზოგადოება ვერ ხედავს ამ მხრივ რეალურ პერსპექტივებს. აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოს 1993 წელს დე-ფაქტოდ, ხოლო დე-იურედ 2008 წელს გამოეყო. მიუხედავად ამისა, ეს ტერიტორიები საერთაშორისო არენაზე – რუსეთისა და რიგი ეგზოტიკური სახელმწიფოების გამოკლებით – ისევ განიხილება საქართველოს განუყოფელ ნაწილად.

საერთოდ, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად, ოკუპირებული ტერიტორიები კვლავ რჩება იმ სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად, რომელსაც ოკუპაციამდე ეკუთვნოდა. ტერიტორიის ოკუპაციის ერთი ფაქტი მეორე სახელმწიფოს მხრიდან, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ოკუპანტი იღებს სუვერენულ უფლებას ამ ტერიტორიაზე.

სახელმწიფოს სუვერენიტეტი ტერიტორიაზე, რომელიც დროებით დაპყრობილია ოკუპანტის მიერ არ გადადის ოკუპანტზე [1, 199].

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების გამორჩეული მკვლევარის პროფესორ სოსო სიგუას მიერ მიღებული მრავალი დასკვნა, მითითება, შენიშვნა თუ

დაკვირვება ერთობ საინტერესოა აფხაზებთან მიმართებაში. აი, ერთი მათგანი: ,,მიუხედავად იმისა, რომ ქართველებმა გაამითეს აფხაზები და შექმნეს აფხაზის კულტი (გავიხსენოთ აკაკი წერეთლის ,,გამზრდელი“, დემნა შენგელაიას ,,გურამ ბარამანდია“, ლეო ქიაჩელის ,,ჰაკი აძბა“), მიუხედავად იმისა, რომ ამ ხალხის შესახებ ,,მთვარის მოტაცებაზე“ უკეთესი წიგნი ჯერ არ დაწერილა, ა ფ ხ ა ზ ე ბ ი მ ა ი ნ ც ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს ც ი ა ლ ს მ ი ს დ ე ვ ე ნ (ხაზგასმა ჩემია ა.ს.) და უფრო და უფრო სწყდებიან ნამდვილ კავკასიურ სამყაროს, რაც საბოლოოდ მათი გარუსებითა და გაქრობით დამთავრდება“ [2, 86-87].

,,ახალი აფხაზები“, რომ აფხაზეთს ქართველთაგან მიტაცებულ ტერიტორიად თვლიდნენ ნათლად გამოხატა ჯერ კიდევ 1989 წლის მარტში ,,აფხაზმა“ უხუცესმა ჯუმბერ პატიაშვილთან საუბარში: ,,როდესაც ქართველები საკუთარი ქართველობის ხაზგასმას იწყებენ და ეროვნულ დროშას აფრიალებენ, იქ, ბუნებრივია, აფხაზებსაც ახსენდებათ საკუთარი ეთნიკური წარმომავლობა და აფხაზური დროშა! აუხსენით თქვენს არაფორმალებს, რომ ამ სამფეროვანი დროშებით სოხუმის ქუჩებში სიარულს უთუოდ მოჰყვება აფხაზების მხრიდან სეპარატიზმის გაღვივება“ [3, 185].

გამოდის, რომ სოხუმი (ცხუმი) უცხო ქვეყნის ქალაქი ყოფილა და იქ ქართული ეროვნული დროშა არ უნდა გაშლილიყო. აი, ასეთი თვითშეგნება შეუქმნეს

ჩამოსახლებულ აფსუებს ქართულ მიწაზე რუსეთის იმპერიისა და ბოლშევიკურ-კომუნისტური ხელისუფ-ლების იდეოლოგებმა.

,,აფხაზეთი საქართველო არ არის!“ ასეთ პოზიციაზე იდგა აფხაზეთის დე-ფაქტო ლიდერი რ ა უ ლ ხ ა ჯ ი ნ ბ ა. მისი თქმით: ,,ზოგიერთებს ავიწყდებათ, რომ ჩვენ საქართველოს ტერიტორია არასოდეს ვყოფილვართ, ეს იყო ხელოვნური წარმონაქმნი იმ პერიოდში, შესაბამისად, წარსულში დაბრუნება არ იქნება. მე ვთხოვ ყველას, თავი გაანებოს მსგავსი იდეებით ჩვენი ხალხის შეცდომაში შეყვანის მცდელობებს“ [4, 12].

,,ვისთან უნდა ვაწარმოოთ დიალოგი? – აღნიშნავს ა დ გ უ რ ა რ ძ ი ნ ბ ა – რომელიც დილიდან დაღამებამდე წვრთნებს მართავს და წარმოსახვაში ატრიალებს სცენარს, როგორ ჩამოვა აქ – სოხუმში?! ა ღ ი ა რ ო ნ ჩ ვ ე ნ ი დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ა, ი ს კ ო ლ ო ს ა ლ უ რ ი – ზ ი ა ნ ი, რ ო მ ე ლ ი ც ჩ ვ ე ნ ს ე კ ო ნ ო მ ი კ ა ს მ ი ა ყ ე ნ ე ს დ ა მ ა შ ი ნ ვ ი ს ა უ ბ რ ო თ“ [5, 19].

,,დამოუკიდებელი აფხაზეთის სახელმწიფოს“ პრეზიდენტი ა ს ლ ა ნ ბ ჟ ა ნ ი ა არჩევნებში გამარჯვებამდე აფხაზეთის ტელევიზიისთვის მიცე-მულ ინტერვიუში აცხადებდა: ,,არ ვაპირებ, ვინმესთან განვიხილო აფხაზეთის დამოუკიდებლობის, მისი სუ-ვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის საკითხი.

ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილია (ხაზგასმა ჩემია ა.ს.). ხოლო მათ ვინც გეოგრაფია არ იცის ან თავს ისე გვაჩვენებს, რომ არ იცის, შევახსენებ, რომ ისინი (ქართველები) ჩვენი მეზობლები არიან. მდინარე ენგურის გაღმა საქართველოს სახელმწიფო მდებარეობს. ჩვენ მათთან (ქართველებთან) ძალიან ბევრი და მრავალფეროვანი კონტაქტები გვაქვს“ [6. 21].

როგორც ყველა სეპარატიზმი ,,აფხაზურიც“ ლოზუნგებითა და ყალბი ისტორიული ხედვით გამოირჩევა, რომელშიც ,,აფხაზთა“ როლი კაცობრიობის ისტორიაში ლამის ძველ ეგვიპტურსა თუ შუმერულს უტოლდება [7, 91-92].

,,აფხაზები“ ქართველებთან დაპირისპირების დასაწყისში ამაყად აცხადებდნენ, გვირჩევნია რუსულ ზღვაში დავიხრჩოთ, ვიდრე – ქართულ მდინარეშიო! ახლა კი, სომხურ ჭაობში დახრჩობა ელით, რადგან სომხებმა რაოდენობრივად გადააჭარბეს!

როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი ჯემალ გამახარია ,,აფხაზი ერის გადარჩენის ერთადერთი გზა შერიგება და საქართველოს წიაღში დაბრუნებაა! ჩვენს შერიგებას ალტერნატივა არა აქვს, რადგან ქართველის გარდა აფხაზს არავინ გაუფრთხილდება. ან ფართო ავტონომია, ერთიან, დემოკრატიულ თანამედროვე საქართველოში, ანდა . . . რუსული იმპერიის რომელიღაც კრასნოდარის მხარის

ღარიბი რაიონობა!“ [8, 15].

დღეს, აფხაზეთში რაოდენობის მიხედვით აფხაზებს სომხები აღემატებიან. ისინი ინტენსიურად მრავლდებიან, დღითი დღე ფეხს იკიდებენ ამ მიწაზე და ილტვიან შავ ზღვაზე გასასვლელის მოსაპოვებლად. მოსახლეობასთან დაპირისპირებას ისინი უკვე აღარც კი ნიღბავენ! უახლოეს მომავალში აფხაზებსა და სომხებს შორის სისხლიანი კონფლიქტია მოსალოდ-ნელი, რომელიც უეჭველად სომხების გამარჯვებით დამთავრდება. სწორედ ამ რეალობას ჭვრეტენ გონიერი აფხაზები და მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებენ . . . [9, 21].

სომხურმა ორგანიზაცია ,,კ რ უ ნ კ“ - მა შეიმუშავა და საჯაროდ გაავრცელა განცხადება, სადაც აღნიშნულია: ,,ჩვენ, სომხები, აფხაზეთის ძირძველი მცხოვრებლები ვართ. უძველესი დროიდან სომხები აქტიურად მონაწილეობდნენ აფხაზეთის სახელმწიფოს შექმნაში. სომხები აფხაზეთში მოძმე აფხაზებთან ერთად იბრძოდნენ ბიზანტიის იმპერიის, თურქი და არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ. ჩვენ აფხაზებთან ერთად, აფხაზეთის საზღვრები სურამის უღელტეხი-ლამდე გავაფართოვეთ. რუსეთის იმპერიის და საბჭოთა კავშირის დროს ჩვენი უფლებები ილახებოდა, სომეხ საზოგადოებას კულტურული განვითარების შესაძლებ-ლობა არ ეძლეოდა. . . სომხები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ,,ქართული ფაშიზმის“ წინააღმდეგ ბრძო-

ლაში. ათასობით სომეხი გახდა აფხაზეთის გმირი, თუმცა დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ ისინი ახალ აფხაზურ ფაშიზმს შეეჯახნენ. . . [10, 4].

აფხაზეთის კონფლიქტის დროს სომეხმა   გ ა ლ უ ს ტ ტ რ ა პ ი ზ ო ნ ი ა ნ მ ა შექმნა ,,ბაგრამიანის ბატალიონი“ და მონაწილეობდა ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამის შემდეგ სომეხ უხუცესთა საბჭოს მეთაურის ა ღ ვ ა რ თ ა მ ი ა ნ ი ა ნ ი ს გადაწყვეტილებით ,,სომხეთის ეროვნულმა არმიამ“ მხარი დაუჭირა ,,ბაგრამიანის ბატალიონს“ და აფხაზეთში სპეციალური რაზმი გაგზავნა. აფხაზეთის ომში 1500-მდე სომეხი ეროვნების მებრძოლი მონაწილეობდა და ისინი, თვითმხილველთა მონაცემებით და საქართველოს გენპროკურატურის მიერ ჩატარებული მასშტაბური კვლევის მიხედვით, განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ ეთნიკური ქართველების მიმართ.

სომხეთის ახლად არჩეულმა პრემიერმა ნ ი კ ო ლ პ ა შ ი ნ ი ა ნ მ ა 2018 წლის 7 მაისს მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა: ,,ბაგრამიანის ბატალიონის“ მონაწილეობა აფხაზეთის ომში საქართველოს წინააღმდეგ იყო სომხების საბედისწერო შეცდომა, რომელმაც გააფუჭა ქართულ-სომხური ურთიერთობები!“ [11, 19].

აფხაზეთის ომის მძიმე დღეების შესახებ ასეთ ამბავს გადმოგვცემს ერთ-ერთი ადგილობრივი: ,,საკუთარ სახლში დამიჭირეს აფხაზმა და სომეხმა.

აფხაზმა მკითხა. აქ რა გინდაო და ჩემი სახლია – მეთქი. ამას რას ელაპარაკები ამდენსო, იარაღი ამოიღო სომეხმა, გადატენა და დამიმიზნა. . . შიშისაგან თმა გამითეთრდა, სიკვდილს ვუყურებდი თვალებში და წამიერად იმედიც გამიქრა გადარჩენის. სომეხი იწევდა, მაგინებდა, აფხაზი ცდილობდა მის გაჩერებას და მე მთხოვდა, ღმერთს გაფიცებ, აღარ მოხვიდეო. აქ როგორ მოვალ – მეთქი, ვუთხარი და თან უკან-უკან ვიხევდი. წადი, რაღას დგახარო, დამიყვირა აფხაზმა და მეც გამოვიქეცი. . .“ [12, 29-30].

ფაქტია, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი 1993 წლიდან რუსული ოკუპაციის ქვეშაა. მისი ყველა სტრუქტურა კრემლიდან კონტროლდება. სახელმწიფო ჩინოვნიკების აპარატი და სხვა ხარჯები რუსეთის ბიუჯეტიდან ფინანსდება. სამაგიეროდ აფხაზეთის ე.წ. ხელისუფალნი მოსკოვის მიმართ სრულ ლოიალობას იჩენენ და უკვე რა ხანია ,,დამოუკიდებლობისათვის“ უღრმეს მადლობას უხდიან [7, 91].

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ აფხაზეთში უხეშად ირღვევა, ძირითადად, ქართველთა უფლებები, იმ ადამიანის უფლებები, რომლებიც ოკუპირებულ, რუსეთის მუდმივი აგრესიის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე ცხოვრობენ და, ფაქტიურად, კანონგარეშე არიან გამოცხადებული. ეს არის უტყუარი დადასტურება იმისა, რომ საქმე გვაქვს მიზანმიმართულ ქმედებასთან, წინასწარი განზრახვით შემუშავებული პოლიტიკის

განხორციელებასთან. ქართველთა დისკრიმინაციის პოლიტიკა გახლავთ რუსეთის მიერ აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაციისა და მცოცავი ანექსიის, გენოციდისა და ეთნიკური წმენდის, გალის რაიონის მოსახლეობის ასიმილაციის რუსული პოლიტიკის ორგანული ნაწილი [13, 251].

თავის დროზე მიხეილ ჯავახიშვილმა რელიეფურად აჩვენა, რომ კარს მოგადგება გუდამშიერი და უსახლკარო გადამთიელი. ლუკმა-პურსა და თავშესაფარს გთხოვთ, ერთგულ და მორჩილ მსახურად გიჩვენებთ თავს. გულუბრყვილობის გამო კარს გაუღებ, ჭერსა და საზრდელს მისცემ. იგი მომძლავრდება, მოღონიერდება, გალაღდება და გათავხედდება. საკუთარი სახლიდან გაგაგდებს, შენს მამულს, საქონელს მიითვისებს. . .

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ,,ჯაყოობა არის სხვისი ქონების, სიმდიდრის, მამულის, სახლ-კარის, პატივის, სახელის მიტაცება-მითვისება, ძალადობა, ქლესაობა, პირფერობა, ორპირობა, ურცხვი უპრინციპობა, სრული უმეცრება და უკანონობა“.

2014 წელს რუსეთში გამოქვეყნდა რუსეთის ფედერაციაში ე.წ. ,,სამხრეთ ოსეთის“ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიმიტრი ნიკოლოზის ძე მ ე დ ო ე ვ ი ს წიგნი ,,Южная Осетия и политика России в закавказе“, ,,Извательство ,,Канон“. წიგნის წინასიტყვაობა ეკუთვნის რუსეთის ფედერაციის საგარეო საქ-

მეთა მინისტრის მაშინდელ მოადგილეს გრიგორი კარასინს, რომლის შეფასებით მეგობრობა და ძმობა გამჟღავნდა ,,2008 წლის აგვისტოში, როდესაც რუსეთი გამოვიდა სამხრეთ ოსეთის დასაცავად სააკაშვილის რეჟიმის ვერაგული თავდასხმის დროს. რუსეთის ფედერაცია გახდა დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის გარანტი. . .“ [14, 5-6]. ეჰ, ამხანაგო კარასინ, როდის ყოფილა რომ რუსეთი, თუ საკუთარი ინტერესები არ ამოძრავებს ვინმეს დამოუკიდებლობის გარანტი ყოფილა? გასაგებია რა როლს ითამაშებს აბაშიძე-კარასინის ,,დუეტი“ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოგვარებაში, როდესაც რუსი დიპლომატის გულში ამდენი ბალღამი ტრიალებს.

,,გამოჩენილი ფანტასტი მწერალი“ დიმიტრი მედოევი დასკვნით ნაწილში ისტორიული ფაქტებისადმი შესაშურ ,,ცოდნას“ ამჟღავნებს. თურმე ,,1922 წელს სამხრეთ ოსეთი მისი ხალხის საწინააღმდეგოდ ახლად წარმოქმნილი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობაში შეუყვანიათ“, რასაც ოსი ხალხი არასდროს არ ცნობდა [14, 197]. ამით ძალდატანებითი ანექსია მომხდარა ოსეთის ეროვნული ტერიტორიის ნაწილისა [14, 198]. კომენტარი მართლაც ზედმეტია. უფალმა შეუნდოს. ,,ტოპონიმიკა ეს ,,მიწის“ ენაა, ხოლო მიწა წიგნია, რომელშიც კაცობრიობის ისტორია გეოგრაფიული ნომენკლატურითაა ჩაწერილი“. ,,მიწის ენა“ ეხმარება ისტორიკოსს მრავალი

საკითხის (ხალხთა მიგრაციების, დასახლებათა წარ-მოქმნა და სხვ.) გარკვევაში.

გეოგრაფიულ სახელებს ,,მიწის ენას უწოდებდა პროფ. ი. ფილევიჩი. რუსეთის ძველი ისტორიის გადმოცემისას იგი მოითხოვდა განსაკუთრებული სიფრთხილითა და სიყვარულით მოკიდებოდნენ ძველ გეოგრაფიულ სახელებს. ,,მიწის ენა“, – წერდა იგი, – ზოგჯერ უფრო მეტს გვეუბნებოდა, ვიდრე თვით ხალხი თავისი ისტორიის შესახებ. . . ,,მიწის ენა“ არ ექვემდებარება ფალსიფიკაციას, მასში ვერაფერს გაა-ყალბებ, ვერაფერს შეთხზავ [15, 4].

ტოპონიმები, გეოგრაფიული სახელწოდებები ქვეყნის ბუნებრივი ხასიათის, ხალხის ყოფისა და ისტორიის სარკეა. ადამიანი უხსოვარი დროიდან მიაკუთვნებდა ამა თუ იმ ადგილს შესაფერის სახელს. ამით იგი ადგილის ბარათს ავსებდა და თაობიდან თაობას გადასცემდა.

მინდა შევახსენო ,,სამხრეთ ოსეთის“ ელჩს, რომ საქართველოში არ არსებობს სხვა უფრო ქართული ტერიტორია, ვიდრე შიდა ქართლია, სადაც ოსების აზრით მათი ,,სახელმწიფოა“. ოსების მიერ ახლო წარსულში დაკავებული ეს მიწები ქართველთა ერთ-ერთი უძველესი საცხოვრისი იყო. აქ, თუ ოდესმე ოსებს უცხოვრიათ, მაშინ მათ კულტურას უნდა დაეტოვებინა თუნდაც მცირე ნაკვალევი ამ მიწაზე. მაგრამ ის არსად არ არის: ყველაფერი რაც ხელოვნებათმცოდნეების მიერ

შემჩნეული და შესწავლილი იქნა მიწის ქვეშ თუ მიწის ზევით – მხოლოდ ქართულია [16, 89].

დღეს, ორივე მხრიდან ქვეყნდება სამეცნიერო ნაშრომები, რომელშიც ეროვნებათა ისტორიები ნაწილობრივ ფალსიფიცირებულია, ფაქტები თვითნებურად ინტერპრეტირდება და მახინჯდება. ამ დროს უმნიშვნელოვანეს როლს საინფორმაციო საშუალებებით პროპაგანდა ასრულებს. იგი მით უფრო მოქმედია, თუ ერთ-ერთ მხარეს რუსეთი უჭერს მხარს. მაშინ მეორე მხარის ხმა ფაქტობრივად აღარ ისმის [7, 68].

სტანისლავ როსტოვსკის შესანიშნავ ფილმში ,,ვიცოცხლებთ ორშაბათამდე“ არის ასეთი ფრაზა: ,,ბედნიერი ხარ მაშინ, როდესაც შენი ესმით“. პერიფრაზირებით შეიძლება ვთქვათ, რომ ბედნიერებაა, როდესაც დაპირისპირებული ხალხები ერთმანეთს გაუგებენ.

ისე არ წარმოვიდგინოთ, რომ აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობის აღდგენა მხოლოდ ქართველების მიზანს წარმოადგენს. თუ სახალხო დიპლომატიის ეს გზა ცალმხრივი იქნება და მის მნიშვნელობას არ გაითვალისწინებს აფხაზური და ოსური მხარე, მაშინ ჩვენს ძალისხმევას შედეგი არ ექნება. პირველ რიგში ხაზი უნდა გაესვას ისტორიულ სამართლიანობას და უნდა შევთანხმდეთ იმ ფაქტზე, რომ აფხაზეთი და ე.წ. ,,სამხრეთ ოსეთი“ ძირძველი

ქართული მიწაწყალია. თუ, ოსსა და აფხაზს მართლა სჯერა, რომ საქართველო ომში დაამარცხეს და ,,დამოუკიდებლობა“ მოიპოვეს, მაშინ კარგად ყოფილა მათი საქმე.

როგორც ცალკეული ადამიანი საჭირო უნდა იყოს სხვა ადამიანებისათვის საზოგადოებაში საკუთარი ადგილი რომ დაიკავოს, ასევე სახელმწიფოც საჭირო უნდა იყოს სხვა სახელმწიფოებისთვისაც, საერთაშორისო პოლიტიკურ რუქაზე რომ იარსებოს. ამასთან, სტაბილური სახელმწიფოს შესაქმნელად აუცილებელია, რომ სახელმწიფო საჭირო იყოს მთელი რეგიონისათვის და არა რომელიმე სახელმწიფოსათვის. ანუ სახლემწიფოს უნდა გააჩნდეს გამოკვეთილი საერთაშორისო ფუნქცია და არა უბრალოდ რომელიმე ძლიერ მეზობელს სჭირდებოდეს თავისი მიზნების განსახორციელებლად. მხოლოდ მაშინ არის მისი ფასი საერთაშორისო ბაზარზე მყარი და სტაბილური, მხოლოდ მაშინ იქცევა ის ნამდვილ სახელმწიფოდ. ამიტომაც არა აქვთ პოლიტიკური მომავალი ფსევდო სახელმწიფოებს: კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას, ყარაბაღს, დნესტრისპირეთს, აფხაზეთსა და ე.წ. ,,სამხრეთ ოსეთს“ იმის მიუხედავად, აღიარა თუ არა ისინი დამოუკიდებელ ქვეყნებად მფარველმა ქვეყანამ [17, 252].

ჩვენი წინაპრები საუკუნეების განმავლობაში ებრძოდნენ ბოროტებას და მაინც, მწარე გაკვეთილების

მიუხედავად, სწორი დასკვნები ვერ გამოვიტანეთ. ქართველები, აფხაზები და ოსები მესამე ძალამ ჩაითრია ძმათამკვლელ ომში. დაიღვარა სისხლი, ათასობით ადამიანი დაიღუპა. შედეგი უმძიმესია [18, 16].

ჩვენი ომების ისტორიაში ვერ ნახავთ მაგალითს, ქართველს მტრის ჩვილი აკვანში ჩაეკლას, ან ტყვედჩავარდნილისთვის მაჯა გადაეხსნას და სისხლი დაელიოს, ან მის წინააღმდეგ მებრძოლი ბიჭების თავებით ფეხბურთი ეთამაშოს... წაქცეულს არ დავკრავდით და ღირსეულ მტერს მარჯვენას არ მოვჭრიდით, თუმცა იმის მაგალითიც არაერთი გვქონდა, შენდობილმა მტერმა რომ გვიმუხთლა და ზურგში ხანჯალი ჩაგვცა. სისასტიკე ულმობელმა ისტორიამაც ვერ აქცია ქართული ხასიათის ნიშნად [19, 470].

აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ამჟამად რუსეთის ტყვეობაშია. რუსებს, აფხაზებსა და ოსებს შორის, ერთი მხრივ, და რუსეთსა და საქართველოს შორის, მეორე მხრივ, ურთიერთობაა ის სამკუთხედი და საჯილადაო ქვა, რომელზეც ბევრადაა დამოკიდებული ამ ორ ქართულ ტერიტორიებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება და პირიქით!

ამერიკისა და ევროგაერთიანების როლი საქართველოს ტერიტორიული აღდგენის საკითხში ჯერჯერობით მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს ატარებს

და ზოგადი წინადადებებით იფარგლება. ისინი ქმედითად არ ერევიან ამ პრობლემის მოგვარებაში, ვინაიდან რუსეთზეა ეს მიბმული და მისი ფაქტორი ხელუხლებელია მათთვის. ყოველ შემთხვევაში, ასეა დღემდე! . . . [20, 226-227].

სეპარატიზმის ზოგიერთი მამამთავარი დღეს უკვე მკაფიოდ აცნობიერებს ,,თუ რა ელოდება აფხაზ ხალხს რუსეთის შემადგენლობაში, რომ მალე გაიზიარებენ უბიხების, შაფსუღების, საძებისა და სხვათა ბედს, რომ მათ მომავალი არ უწერიათ. . .“ [20, 236].

აფხაზურ და ოსურ მხარესაც, ისევე როგორც ჩვენ, გააჩნია თავისი სიმართლე. ეს სიმართლე შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგრამ ჭეშმარიტება ყოველთვის ერთია. ენგურს გაღმა და გამოღმა არ შეიძლება არსებობდეს ორი ჭეშმარიტება! ყველა შემთხვევაში იგი ერთია და მდგომარეობს იმაში, რომ აფხაზეთი და ე.წ. ,,სამხრეთ ოსეთი“ საქართველოს ისტორიული განუყოფელი ნაწილია. აფხაზები და ოსები ჩვენი ერთიანი სამშობლოს – საქართველოს თანასწორუფლებიანი შვილები არიან!

ასეთი იყო და არის ღვთის ნება: საუკუნეების მანძილზე დაგვებედა თანაარსებობა და თანაცხოვრება. ჩვენ ვცხოვრობდით და შეგვიძლია ვიცხოვროთ მომავალშიც ერთად, თუკი მივუტევებთ ერთმანეთს, ვაღიარებთ ერთმანეთის უფლებებს და არის კიდევ,

ერთი მთავარიც – თუ მოგვცემენ ამის საშუალებას [20, 278].

დიპლომატიის ისტორიიდან

ტოლერანტობის დანერგვისა და შენარჩუნების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი არის დიპლომატია, რომელსაც ტყუილად კი არ უწოდებენ ,,შესაძლებლობის ხელოვნებას“. დიპლომატიის გარეშე საერთაშორისო ურთიერთობები იქნებოდა ბარბაროსობა, ველურობა, ომი ყველას წინააღმდეგ, ბრძოლა წესების გარეშე. დიპლომატიური კულტურა – ეს არის მსოფლიო კულტურის შემადგენელი ნაიწლი (ხოლო ეს კულტურა უფრო მეტია, ვიდრე მდგომარეობა ომის გარეშე, ეს არის საერთაშორისო თანამშრომლობის, ხალხთა ურთიერთგამდიდრების კულტურა).

ბუნებრივია, დიპლომატიას თავისთავად არ შეუძლია გადაწყვიტოს საერთაშორისო ურთიერთობების ყველა პრობლემა, მაგრამ ის მოწოდებულია ოპტიმალურად შეცვალოს სახელმწიფოებს შორის შექმნილი დაპირისპირება. როდესაც დუმს დიპლომატია, მაშინ ,,ზარბაზნები ლაპარაკობენ“ [21, 51].

დიპლომატის პროფესია ერთ-ერთი უძველესი პროფესიაა. დიპლომატი არის საგარეო საქმეთა სამსახურის თანამშრომელი, რომელიც ახორციელებს თავისი ქვეყნის ოფიციალურ კავშირებს სხვა სახელმწიფოებთან. ინგლისელი დიპლომატის ჰ ე ნ რ ი

უ ო ტ ო ნ ი ს (1568-1639წწ.) აზრით: ,,დიპლომატი არის პატიოსანი ადამიანი, რომელსაც აგზავნიან უცხოეთში საკუთარი ქვეყნის სასარგებლოდ ტყუილის სათქმელად“. შესაძლოა ეს მართლაც ასე იყო საუკუნეების წინათ, მაგრამ დღეს დიპლომატიის ყველაზე ძვირფას თვისებად ითვლება სიმართლის თქმა, რასაც არანაკლები ფასი აქვს, ვიდრე დიპლომატიურ დოკუმენტს [22, 29].

ადამიანთა შორის მოლაპარაკებები დაიწყო ბევრად უფრო ადრე, ვიდრე გამოჩნდებოდა მაგიდები, რომლებზეც ახლა მრავალი საათის, დღეების, თვეების, ზოგჯერ წლების განმავლობაშიც კი წყდება სახელმწიფოებს შორის სადავო საკითხები.

ცნობილია, რომ ჩვენი ჯერ კიდევ ადამიანის მსგავსი წინაპრები მიხვდნენ, რომ საჭირო იყო მეზობელი გამოქვაბულის მობინადრეებთან სანადირო ადგილების გამიჯვნის თაობაზე შეთანხმება და, შესაბამისად, წარმომადგენლების გაგზავნა მოლაპარაკებისათვის. ეს არ მოხერხდებოდა, თუკი წარგზავნილები წამახული ქვისა და შუბის სამიზნე გახდებოდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ქვის ხანაში უკვე არსებობდა დიპლომატიური ურთიერთობებისა და იმუნიტეტის პირველი ნიშნები.

ცნობილია ინგლისელი დიპლომატისა და ისტორიკოსის ჰ ა რ ო ლ დ ნ ი კ ო ლ ს ო ნ ი ს აზრი იმის თაობაზე, რომ დიპლომატიური ურთიერთობებისა და

იმუნიტეტის პრინციპები არსებობდა ავსტრალიელ აბორიგენთა შორისაც კი. ვხვდებით ამ ტიპის ურთიერთობათა ჩანასახებს ინდოელთა კანონებში, ჰომეროსის პოემებში, სადაც, ელჩები არა მხოლოდ ღმერთი ჰერმესის ბოძებული ხელშეუხებლობით, არამედ თავად ზევსის მფარველობითაც სარგებ-ლობდნენ.

დიპლომატიურ ლექსიკაში უმნიშვნელოვანესი და უპირატესი სიტყვა ბერძნული ,,დ ი ა ლ ე გ ე“ – შერიგება გახლავთ. . . [23, 227].

ძველი აღმოსავლეთის დიპლომატიისა და საერთაშორისო სამართლის საინტერესო და უნიკალურ ძეგლად ითვლება მანუს კანონები. ისინი დაწერილია კლასიკურ სანსკრიტზე ჩვ.წ.აღ.მდე პირველ ათასწლეულში. ამ კანონების მიხედვით საერთაშორისო ცხოვრების ყველაზე რთული საკითხები უნდა გადაიჭრას დიპლომატიური გზით. ძალის პოლიტიკა მეორე პლანზეა.

ანტიკური პერიოდის საბერძნეთში – ათენში, სპარტაში, კორინთოში ელჩებს სახალხო კრებაზე ირჩევდნენ. არ შეიძლებოდა 50 წელზე უმრწემესის არჩევა. აქედან იღებს სათავეს ტერმინი – ,,უხუცესი“. დიპლომატები თავიანთი მისიის დამთავრების შემდეგ ანგარიშს აბარებდნენ სახალხო კრებას.

უშუალოდ ტერმინი - დიპლომატია სათავეს იღებს ბერძნული „Diploun“-დან. „Diploun“-ი ეწოდე-

ბოდა სიგელს, რომელიც შედგებოდა 2 ხის თხელი ფირფიტისაგან. ის გაიცემოდა სახელმწიფოს წარმომად-გენლებზე, როგორც რწმუნებათა სიგელი, რაც ფაქტიურად ახდენდა მისი, როგორც სახელმწიფო წარმომადგენლის უფლებამოსილების ლეგალიზაციას [24, 218].

ალექსანდრე მაკედონელის მამას ფილიპე II-ს კარგად ესმოდა დიპლომატიის მნიშვნელობა, მით უფრო, რომ დიპლომატია მას მიზნის მიღწევაში ეხმარებოდა. ხშირად იმეორებდა ასეთ მაქსიმას: ,,ყმაწვილები კამათლით უნდა მოატყუოთ, მოზრდი-ლები კი – ფიცით“. კომპრომისის მისაღწევად მუდამ მზად იყო, ხელი მოეწერა ხელშეკრულებაზე ან ალიანსს შეერთებოდა, შემდეგ კი, ვითარების შესაბამისად, იოლად დაერღვია მიცემული პირობა. ფილიპეს ყოველთვის ერჩია, მოსყიდვით და გამოსყიდვით ემოქმედა, ოღონდ კი არ დაეღვარა თავისი მებრძოლების ძვირფასი სისხლი. ისტორიკოსი დ ი ო დ ო რ ე ს ი ც ი ლ ი ე ლ ი მოგვითხრობს, თუ როგორ იკვეხნიდა ფილიპე, რომ ,,მან ოქროთი უფრო განავრცო თავისი სამეფო, ვიდრე იარაღით“. თუკი მიზნის მისაღწევად მშვიდობიანი მოლაპარაკება საკმარისი იყო, იგი, როგორც წესი, ქორწინებით მყარდებოდა. საბაერძნეთში ხუმრობდნენ: ,,რადგან ფილიპე მაკედონელმა ახალი კამპანია წამოიწყო, ესე იგი, ახალ ცოლს შეირთავს“-ო [25, 21].

მაკედონელები და თავად ფილიპე ისე სწრაფად სვამდნენ ღვინოს, რომ სუფრაზე პირველი კერძის შემოტანამდე თვრებოდნენ. ფილიპემ რომელიღაც ქალაქი დაიკავა. სასმისით ხელში, მიტაცებულ ტახტზე გადაიშხლართა, მის სიახლოვეს კი მწკრივად დაწ-ყობილ ტყვეებს მიერეკებოდნენ. ერთმა კაცმა მოწ-მეების გარეშე ფილიპესთან დალაპარაკება ითხოვა. ფილიპემ თავისთან მიიხმო, ტყვე მიუახლოვდა და ჩასჩურჩულა, გაშიშვლებულხართო. მთვრალმა დამ-პყრობელმა სასწრაფოდ გაისწორა ტუნიკა და მო-სასხამი, კაცს მადლობა გადაუხადა და მაშინვე გაათავისუფლა [25, 23].

ძველ რომში ხელშეკრულებას იხილავდნენ როგორც უწმინდეს აქტს. მისი დარღვევა ღვთის რისხვად მიაჩნდათ. საბერძნეთში ხელშეკრულების დადების შემდეგ ორივე მხარეს ხელშეკრულების ტექსტი და ფიცი უნდა ამოეკვეთა სტელაზე და შეენახა იგი ერთ-ერთ მთავარ საყდარში, მაგალითად, ათენის აკროპოლისში, პალატის საყდარში, ხოლო ასლები დელფოსში, ოლიმპიასა და დელოსზე ინახებოდა. დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის, ომის გამოცხადების შემთხვევაში სტელა, რომელზეც ამო-ტვიფრული იყო ხელშეკრულება იმტვრეოდა; ამით ხელშეკრულებაც ირღვეოდა [22, 20].

აღორძინების ეპოქის ტიტანი დ ა ნ ტ ე ა ლ ი გ ი ე რ ი არა მხოლოდ დიდი ფლორენციელი პოეტი,

არამედ გამორჩეული დიპლომატიც გახლდათ. სახელ-განთქმული ადამიანი ვენეციაში ელჩად რავენის მმართველმა გ ვ ი დ ო დ ა პ ა ლ ე ნ ტ- ა მ გაგზავნა.

ვენეციის დოჟის ს ო რ ა ნ ც ო ს საზეიმო სუფრაზე დანტეს გარდა სხვადასხვა, რავენის მმართველ პალენტაზე ბევრად ცნობილ სახელმწიფოთა წარგზავნილი ელჩები ესწრებოდნენ. მათ ძვირფასი მსხვილი თევზები მოართვეს, დანტეს კი – შეუხედავი და წვრილ-წვრილები დაუდეს. დანტემ ამოარჩია ერთი ნეკისოდენა თევზი და ყურთან მიიტანა. დოჟმა ასეთ უცნაურ ქმედებას თვალი რომ მოჰკრა, იკითხა ეს რას ნიშნავსო. ,,მე ვიცი, – უპასუხა პოეტმა, – რომ ამ პაწია თევზის მამა ცხოვრობდა და გარდაიცვალა აქ, ამ წყლებში და რამე მინდოდა გამეგო მასზე“. ,,და რა გიპასუხათ?“ იკითხა დოჟმა. ,,მითხრა, რომ ძალიან პატარაა და მამა ცუდად ახსოვს, ამიტომ მისი ამბავი უფრო დიდ თევზებს უნდა ვკითხო!“ ამის შემდეგ დოჟმა ბრძანა და დანტეს მშვენიერი დიდი თევზები მიართვეს [26, 274].

დიპლომატიის ახალი ისტორიის ზუსტი შესწავლა, არსებითად, შესაძლებელი ხდება მხოლოდ XIV-XV საუკუნეებიდან. დიდი ,,ეროვნული“ სახელმწი-ფოების წარმონაქმნისა და მათი თანდათანობით გაძლიერების შემდეგ, როცა პირველად შეიქმნა პირობები სახელმწიფოებს შორის მსხვილმანი გარეგანი შეჯახებისათვის. ადრეულ შუა საუკუნეებში, ხელმწიფე

- მემამულეებს შორის წვრილ ფეოდალთა შეხლა-შემოხლათა ხანაში, დიპლომატია, ამ სიტყვის ზუსტი გაგებით, ფეოდალურ ევროპაში თითქმის არ არსებობდა. იმის გამო, რომ ცენტრალური სამეფო თუ საიმპერატორო ხელისუფლებისგან ფეოდალები ფაქტიურად სრულიად დამოუკიდებელი იყვნენ. შუა საუკუნეებში (XV-XVI საუკუნეებამდე) ევროპა რამდენიმე ათეული ჯუჯა ,,სახელმწიფოსაგან“ შემდგარ კონგლომერატს წარმოადგენდა. ეს სახელმწიფოები ერთმანეთს განუწყვეტლივ ეკინკლავებოდნენ და ისევ ურიგდებოდნენ, იყო მათი გაუთავებელი დავა - შერიგება. და ეს იმ ერთადერთი მიზნით, რომ როგორმე ზედმეტი გოჯი მიწა მიეთვისებინათ, ან მეზობელი ციხე-კოშკები გაეძარცვათ, ან კიდევ უცხო სოფლის პირუტყვი გამოეტაცათ [27, 3-4].

XVI საუკუნეში თეოლოგებს მიაჩნდათ, რომ პირველი დიპლომატები იყვნენ ანგელოზები (ანგელოზი ბერძნულად მ ა ც ნ ე ს ნიშნავს), რომლებიც ზეცის საგანგებო წარმომადგენლებად ითვლებოდნენ დედამიწის ცოდვილ მოსახლეობასთან.

საერთაშორისო პოლიტიკას ჰობსის ლევიათანის სხვადასხვა ვარიაციებიდან დაწყებული ტრადიციულ ევროპულ ძალთა ბალანსის სისტემაზე გადასვლამდე დიდი დრო დასჭირდა. ძალთა წონასწორობის ევროპული სისტემა ფორმალურად დაიწყო 1648 წელს ვესტფალიის ზავის დადებით და დასრულდა პირველი

მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად. ეს სისტემა ხასიათდებოდა ევროპული ძალების მულტიპოლარულობით – მსოფლიო პოლიტიკა განისაზღვრებოდა მრავალი პოლუსით [28, 6].

XVIII საუკუნე, მაშინდელი გამოთქმით, სცნობდა მხოლოდ ,,კაბინეტურ დიპლომატიას“, აწარმოებდა ,,კაბინეტურ ომებს“, ახდენდა ქვეშევრდომთა ,,სულების“ ცვლას, ყიდვასა და გაყიდვას, მსგავსად მემამულეებისა საბატონო სოფელში [27, 197].

ამავე დროს მრავალი სიახლე შემოიტანა XVIII საუკუნის ტრადიციულ დიპლომატიაში რევოლუციური ამერიკის ელჩმა პარიზში ბენჯამინ ფრანკლინმა. მასში იყო ყველაფერი უჩვეულო – გარეგნობით დაწყებული და დიპლომატიური მუშაობის მეთოდით დამთავრებული. ის არ გავდა პარიზის მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებს და გადაპრანჭულ დიპლომატებს. იცვამდა იაფასიან კვაკერულ კოსტუმს, არ ატარებდა პარიკს და არ ისვამდა ფერუმარილს, როგორც მაშინ იყო მიღებული. ოფიციალურ შეხვედრებზეც მორიდებული სამოსით გამოირჩეოდა. ევროპაში ფრანკლინმა შეძლო ამერიკის რესპუბლიკისათვის ესოდენ საჭირო კადრების გადმობირება. მიაღწია ევროპის მხრიდან ეკონომიკური და ფინანსური დახმარების აღმოჩენას.

ოფიციალური დიპლომატიის საპირისპიროდ, ფრანკლინი მჭიდრო კავშირებს ამყარებდა გამოჩენილ

მეცნიერებთან, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან. მათ შორის იყვნენ ვოლტერი, ლიბერალური პოლიტიკური მოღვაწე აბატი სიიესი, ფილოსოფოსი მატერიალისტები კაბანისი, დალამბერი, აღმოსავლეთ-მცოდნე ვოლნეი, საფრანგეთის რევოლუციის მომავალი გმირები ჟან პოლ მარატი და მაქსიმილიან რობესპიერი, დრამატურგი ბომარშე, ცნობილი ქიმიკოსი ლავუაზიე და სხვები. ასეთი კონტაქტების შედეგად ფრანკლინმა შეძლო, რომ მონარქიულ საფრანგეთს ეცნო შეერთებული შტატები. ასევე ხელი მოეწერა საფრანგეთ-ამერიკის სამოკავშირეო ხელშეკრულებას [29, 6].

საერთოდ, ელჩი, დიპლომატი მუდამ მზად, მობილიზებული უნდა იყოს. არავინ უწყის, როდის იქნება საჭირო გამოსვლა აუდიტორიის წინაშე. ამდენად, მუდმივი მზადყოფნა მოულოდნელობებისათვის აუცილებლობაა, მითუმეტეს როდესაც დიპლომატის სიტყვების უკან უმრავლეს შემთხვევაში მისივე სამშობლოს პრესტიჟის საკითხი დგას [23, 15].

დიპლომატისათვის პროფესიული კოდექსის დაუწერელი კანონი შემდეგში მდგომარეობს: ადამიანს, და მითუმეტეს დიპლომატს, ორი ყური, ორი თვალი და ერთი ენა იმიტომ აქვს, რომ ბევრი მოისმინოს, დაინახოს და ნაკლები ილაპარაკოს, მინიმალურად გაცემულის ხარჯზე მოიპოვოს მაქსიმალური ინფორმაცია [23, 40].

ელჩის კანდიდატურის შერჩევას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები: როგორ ამოცანას უსახავს ხელისუფლება ადგილ-სამყოფელ ქვეყანაში თავის წარგზავნილს – ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის გაფართოებას, არსებული მდგომარეობის გაყინული სახით შენარჩუნებას თუ, საქმის ბოლომდე გამწვავებას?

თავის დროზე იმპერატორი ნიკოლოზ პირველი, კარგა ხნის განმავლობაში არჩევდა კანდიდატურას რუსეთისათვის მნიშვნელოვან დიპლომატიურ თანამდებობაზე. ეს ეხებოდა საფრანგეთში ელჩის დანიშვნას. მას წარუდგინეს დიპლომატების, სამხედროების, არისტოკრატიის ათობით კანდიდატურა. ბოლოს იმპერატორმა არჩევანი შეაჩერა ერთ მათგანზე, რომელიც დანარჩენებისაგან მხოლოდ ერთი ნიშნით გამოირჩეოდა – არ იცოდა ფრანგული ენა, რაც იმ დროს საიმპერატორო კარზე იშვიათ შემთხვევას წარმოადგენდა.

ელჩის დანიშვნის შემდეგ ერთმა გაბედულმა კარისკაცმა ჰკითხა მეფეს თუ, რატომ დანიშნა ელჩად პარიზში პიროვნება, რომელმაც ფრანგული ენა არ იცოდა? ,,ნაკლებს ილაპარაკებს“ – იყო მეფის პასუხი [30, 129].

არა მარტო ,,შავით თეთრზე“ დაბეჭდილი სიტყვები ახდენს გავლენას დიპლომატიაზე. . . ამ მხრივ საინტერესოა შემთხვევა, რომლის შესახებ

მოგვითხრობს თავის მემუარებში ს. ვ ი ტ ე.

1902 წლის ზაფხულში ნიკოლოზ II და გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ II რეველში საზღვაო მანევრებს ესწრებოდნენ. როდესაც გერმანიის იმპერატორის იახტამ უკუსვლა დაიწყო, მას ჩვეულებრივ მოჰყვა გამოსამშვიდობებელი სიგნალი. ვილჰელმ II ასე მიმართა რუსეთის იმპერატორს: ,,ატლანტის ოკეანის ადმირალი სალამს უძღვნის წყნარი ოკეანის ადმირალს". გერმანიის იმპერატორმა – განმარტავს ვიტე – ისეთი ნიშანი მისცა ნიკოლოზ II, რომ თუ ჩვეულებრივ ენაზე ვთარგმნით შემდეგი აზრი ექნება: მე ვეცდები ხელში ჩავიგდო, ანუ დომინირებული ადგილი დავიკავო ატლანტის ოკეანეში, ხოლო სამაგიეროდ გირჩევ და მხარს დაგიჭერ, რომ წყნარ ოკეანეში შენ დაიკავო წამყვანი პოზიციები [31, 224-225].

ქაღალდი, რომელზეც იწერება დიპლომატიური დოკუმენტი, ყოველთვის არ არის ჩვეულებრივი, უფრო მეტიც – თავისებურებებით გამოირჩევა. მაგალითად, 1915 წელს როდესაც პირველი მსოფლიო ომი მიმდინარეობდა იაპონიამ ჩინეთს ულტიმატუმი წარუდგინა, რომელიც ,,ოცდაერთ მოთხოვნას" ითვალისწინებდა. მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში, იაპონიას ჩინეთში უნდა მინიჭებოდა განსაკუთრებული უფლებები ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში. ეს მოთხოვნები მძარცველური იყო. როდესაც ჩინეთის მაშინდელმა იმპერატორმა ი უ ა ნ შ ი კ ა ი მ იაპონიის ელჩთან

პასუხი დააგვიანა, მაშინ ელჩმა იმპერატორს ურჩია, რომ ულტიმატუმისათვის სინათლეზე შეეხედა: სინათლის შუქზე წყლიანი ნიშნები ჯავშნიან მანქანებად გადაიქცნენ. . . [32, 34-35].

პოლიტიკაში ბევრი რამ ხდება. დიპლომატიური შინაარსის მატარებელი საკონდიტრო ნაწარმიც კი შეიძლება გახდეს. როგორც ი.მ. მაისკი გვამცნობს, 1935 წელს ინგლისის ლორდისა და ბეჭდის მცველის ანტონ იდენის მოსკოვში ვიზიტის დროს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მ. ლიტვინოვმა სტუმრის პატივ-საცემად ოფიციალური საუზმე გამართა. ტორტზე, რომელიც მაგიდაზე მოიტანეს შაქრის ფხვნილით ინგლისური წარწერა იყო: ,,მსოფლიო არ ნაწილდება“ [33].

პოლიტიკოსს, სახელმწიფო მოღვაწეს დიპლო-მატია ჭირდება არა მარტო ქვეყნის გარეთ, არამედ სამშობლოშიც, ხალხთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ურთიერთობისას. ფრანკლინ დელანო რუზველტს მიაჩნდა, რომ მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე, თუ ამერიკა ინგლისს დაეხმარებოდა საკუთარი ქვეყნის თავდაცვას გააძლიერებდა. მაგრამ კონგრესმენებისა და გარემოცვის მხრიდან წინააღმდე-გობას აწყდებოდა. რადგან მათი უმრავლესობა კვლავ მტკიცედ იდგა იზოლაციონიზმის პოზიციაზე. პრეზი-დენტმა ასეთ ალეგორიას მიმართა: იწვის მეზობლის სახლი, რაც ირგვლივ საშიშროებას ქმნის. ,,რას ვაკეთებ

მე ამ კრიტიკულ სიტუაციაში? – შეეკითხა რუზველტი შეკრებილ ჩინოვნიკებს. – მე არ ვეუბნები უბედურებაში ჩავარდნილ მეზობელს, რომელიც ცეცხლს აქრობს ჩემი ბაღის შლანგით, რომ გადამიხადოს შლანგის ღირებულება 15 დოლარი. მე არ მჭირდება 15 დოლარი, მაგრამ მე მსურს დამიბრუნოს ჩემი ბაღის შლანგი როცა ხანძარი ჩაქრება“.

ცნობილი პოლიტიკოსი რ. შ ე რ ვ უ დ ი ამასთან დაკავშირებით წერდა: ,,ჩემი აზრით მეზობლის სახლის შედარება დაეხმარა რუზველტს მოეგო ბრძოლა ლენდ-ლიზის კანონის შესახებ“ [34, 206].

აზიურ დიპლომატიაში მასპინძელი, მოლაპარა-კების დროს შეხვედრებს ოჯახური პიკნიკის ხასიათს აძლევდა. ასეთ შემთხვევაში სტუმრები ხდებოდნენ ობიექტები (მრავალი მათგანი კი მსხვერპლი) ამ ერთ-ერთი უძველესი ფანდისა. პირველ რიგში საჭირო იყო ოპონენტების ალკოჰოლური სასმელებით ,,დამუშა-ვება“ [35, 50].

საინტერესოა ითქვას, რომ გამოჩენილი სახე-ლმწიფო მოღვაწეები დიპლომატიური ურთიერთობის დროს მაგიასაც მიმართავდნენ. მაგალითად, ომის წინა პერიოდში ჰიტლერმა სტალინს მეგობრობის ნიშნად ფოტოსურათი სთხოვა. სურათის არგაგზავნა არ შეიძლებოდა, ამავე დროს გაჩნდა ეჭვი, რომ სტალინის ფოტოსურათი ჰიტლერს მაგიური ზემოქმედებისთვის სჭირდებოდა (ცნობილია, რომ ჰიტლერი საკმაოდ

კარგად ერკვეოდა მაგიაში). აქ სტალინს დამხმარედ გიორგი გურჯიევი მოევლინა. მისი რჩევით სტალინმა გადაიღო საქვეყნოდ ცნობილი ფოტო, რომელზეც სტალინი თვალებ დახრილი ჩიბუხს ცეცხლს უკიდებს. ამგვარად სურათს ორმაგი დაცვა გაუკეთა გურჯიევმა – ერთი, რომ სტალინს თვალები არ უჩანდა, რაზეც ყველაზე ძლიერი ზემოქმედება კეთდება ხოლმე. და მეორე – სურათზე ჩანს ცეცხლი, რაც ხელს უშლის მაგიური ზემოქმედების ჩატარებას. ესეც ერთ-ერთი დამადასტურებელი ნიშანია იმისა, რომ სტალინს ნამდვილად სწამდა მაგიის [36, 100]. სტალინის თანამედროვეთა აღნიშვნით მას რაღაც ჰიპნოზის მაგვარი ძალა გააჩნდა, რომელიც მასებს იმორჩილებდა.

აქვე ავღნიშნავთ, რომ გიორგი გურჯიევი დაკავშირებული იყო ნაცისტურ ლიდერებთან. კერძოდ, ერთ-ერთი გამორჩეული პერსონა, არტილერიის ყოფილი გენერალი კ ა რ ლ ჰ ა უ ს ჰ ო ფ ე რ ი, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ნაციონალ-სოციალიზმის ლიდერებზე გიორგი გურჯიევს თავის სულიერ მასწავლებლად თვლიდა და რუსულ ,,დალაი ლამას“ უწოდებდა. ცნობილია მათი შეხვედრა ტიბეტში ჯერ კიდევ 1905 წელს [37, 315].

სტალინის პოლიტიკური აზროვნების თვალსაჩინო მაგალითია ომის შემდგომ დასავლეთის სახელმწიფოთა ლიდერებთან მოლაპარაკება, სადაც საბჭოთა კავშირი სესხს თხოულობდა ქვეყნის ეკონომიკის

აღსადგენად. საბჭოთა დელეგაციას მოლოტოვი ხელ-მძღვანელობდა. დასავლეთის ლიდერები დათანხმდნენ სესხის გაცემას, მაგრამ ერთი პირობით: საბჭოთა კავშირს უნდა გადაეხადა ნიკოლოზ II-ის დროინდელი რუსეთის ვალები. თანხა ძალიან დიდი იყო. დოკუმენტს ხელი მოაწერეს დასავლეთის ლიდერებმა. ომით დანგრეულ საბჭოთა კავშირს ამ ვალის გადახდა არ შეძლო. მოლოტოვი ფაქტის წინაშე აღმოჩნდა, მას ხელი უნდა მოეწერა როგორც სახელმწიფოს ერთ-ერთ მეთაურს, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო მეფის რუსეთი. ამას კატეგორიულად მოითხოვდნენ მოლო-ტოვისაგან და გამოსავალიც არ ჩანდა.

,,შესვენების დროს დავურეკე სტალინს“, – იხსენებს მოლოტოვი, – და მოვახსენე საქმის ვითარება.

– მოაწერეთ ხელი, – მითხრა მან მცირეოდენი პაუზის შემდეგ, – ოღონდ სხდომაზე 15-20 წუთი დააგვიანეთ.

– თქვენ გესმით რამოდენა თანხაზეა ლაპარაკი? – მეგონა ვერ გაიგო ჩემი ნათქვამი.

– მოაწერეთ ხელი, – გამიმეორა სტალინმა და ყურმილი დაკიდა.

სხდომაზე შესვლა დავაგვიანე. ამ 15-20 წუთის განმავლობაში ვერაფრით ვერ მოვიფიქრე რა გადა-წყვიტა სტალინმა. ფიქრი ტვინს მიღრღნიდა, ათას-ნაირმა ვარიანტმა გამიელვა თავში, მაგრამ გამოსავალი ვერაფრით ვერ მოვნახე.

შევედი სხდომაზე 20 წუთის შემდეგ, თავმჯდომარემ გამოაცხადა: ამ რამდენიმე წუთის წინ მოსკოვიდან მივიღეთ დეპეშა, ბატონი მოლოტოვი 2 საათის წინ გაუთავისუფლებიათ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან, ამიტომ მის ხელწერას ძალა აღარ აქვს და შეუძლია დატოვოს დარბაზი.

სიხარულისგან მინდოდა მეყვირა. ეს როგორ მოიფიქრა, ყველაფერი ასე უბრალოდ გადაწყვიტა. აღელვება რომ არ გამომეხატა, სასწრაფოდ დავტოვე დარბაზი. ასე გადამიყვანეს სხვა თანამდებობაზე“ [38, 13].

როდესაც პიროვნება თავისი სახლის ზღურბლს გასცდება თავისი ოჯახის სახეს წარმოადგენს, ხოლო უცხო ქვეყანაში მყოფი თავისი სახელმწიფოს დესპანია. საბჭოთა კავშირის იმიჯი საფუძვლიანად შეილახა ომის შემდეგ პერიოდში. კერძოდ, 1949-1953 წლებში, როდესაც სსრკ საგარეო სამქეთა მინისტრის პოსტი ა. ვიშინსკის ეკავა. საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, 30-იანი წლების რეპრესიების თანამონაწილე და ავტორი, იმ პერიოდის გენერალური პროკურორი. გაეროს მაღალი ტრიბუნიდან ისე მიმართავდა უცხოელ კოლეგებს, როგორც სასამართლო პროცესზე სჩვეოდა. მაგალითად ,,იანგერ, ოსტინ (ინგლისისა და აშშ წარმომადგენლებს) და ყველა დანარჩენს ვისაც ყურები გაბიათ. . .“ ასე მოუწოდებდა მოესმინათ მისი სიტყვა. თავის გამოსვლაში ვიშინსკი

გაეროს სთავაზობდა დარბაზში მყოფი სხვაგვარად მოაზროვნეები საგიჟეთში მოეთავსებინათ [30, 180].

საბჭოთა დიპლომატიის ავტორიტეტს, რაც ვიშინსკიმ დააკლო, მოგვიანებით ხრუშჩოვმა შეუსრულა.

გაეროს XV სესიაზე ნიკიტამ ინგლისის პრემიერ-მინიტრს გორდონ მაკმილანს საუბარი შეაწყვეტინა მაგიდაზე ფეხსაცმლის ბრაგუნით და სიტყვებით: ,,ჩვენ თქვენ დაგმარხავთ“. საბჭოთა იდეოლოგების განმარტებით ხრუშჩოვი თურმე გულისხმობდა, რომ სოციალიზმი დაასამარებდა კაპიტალიზმს, ანუ ეს სისტემა მსოფლიო მასშტაბით გაიმარჯვებდა.

დიპლომატიის ისტორიაში მრავალი შემთხვევა და მაგალითია, როდესაც გაუფრთხილებლად ან, ორაზროვნად ნათქვამ სიტყვას უარყოფითი შედეგი მოუტანია. გავიხსენოთ ინციდენტი, რომელმაც მოიარა მსოფლიო პრესა. ეს ინციდენტი გამოიწვია საფრანგეთის პრეზიდენტის დე გოლის ერთმა ფრაზამ.

1967 წლის 24 ივლისს საღამოს, როდესაც პრეზიდენტი დე გოლი ოფიციალური ვიზიტით კანადაში იმყოფებოდა, მონრეალში რატუშის აივნიდან მიესალმა ქალაქის მოსახლეობას: ,,გრძნობა მთლიანად ავსებს ჩემს გულს. გაუმარჯოს კვებეკს. . . თავისუფალ კვებეკს!“ დამსწრე საზოგადოება კმაყოფილებით შეხვდა პრეზიდენტის მისალმებას. განსხვავებული აღმოჩნდა მთავრობის რეაქცია. მეორე დღეს კანადის ტელევიზიით გამოსვლისას პრემიერ-მინისტრმა ლ. პ ი

რ ს ო ნ მ ა განაცხადა, რომ ,,კანადელებს არ ჭირდებათ განთავისუფლება“. მან ასევე დასძინა, რომ დე გოლის ზოგიერთი გამონათქვამი ,,მიუღებელია“. დე გოლმა სასწრაფოდ შეწყვიტა ვიზიტი და პარიზში დაბრუნდა. უარი განაცხადა კანადის დედაქალაქში ჩასვლაზე და პრემიერ-მინისტრ პირსონთან შეხვედრაზე [32, 70].

საერთაშორისო ურთიერთობებში გვხვდება ორიგინალური ფაქტებიც. კერძოდ, 1973 წელს იომ-ქიფურის ომის შემდეგ, ყოველი არაბული სიტყვა საეჭვოდ აღიქმებოდა და არ ისმენდნენ. მაგრამ 1977 წლის 18 ნოემბერს, ეგვიპტის პრეზიდენტმა ანვარ სადათმა წარმოუდგენელი რამ გააკეთა: იგი ეწვია ქნესეთს, ისრაელის პარლამენტს ,,მტრის“ ტერიტორიის შუაგულში. იერუსალიმში გადაადგილებამ მოახდინა ,,მთავარი ტაბუს დამხობა“, მიშელ როკასის სიტყვით რომ ვთქვათ – გაუგონარი რისკის ფასად, უეცრად, სადათი გახდა პიროვნება, რომელსაც უსმენდნენ და ენდობოდნენ ებრაელები, თუმცა, ასეთივე გარისკვა 1981 წელს სიცოცხლის ფასად დაუჯდა [39, 143-144].

ჩვენი პატრიარქი, როგორც დიდი საზოგადო მოღვაწე და დიპლომატი კარგად გამოჩნდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს. რუს გენერალ ბ ო რ ი ს ო ვ თ ა ნ შეხვედრისას პატრიარქმა ასე მიმართა: ,,აბა, შენ იცი, მშვიდობიან მოსახლეობას არაფერი დაუშავო, ჩვენ მართლმადიდებლები ვართ, მოუარე ჩვენს ხალხს“. მერე უბეში ხელი ჩაიყო და პაკეტი ამოიღო. ,,აი აქ

20 ათასი დოლარია“, და გაუწოდა ბორისოვს. ბორისოვი გაშეშდა. . . ,,ამას გაძლევ იმიტომ, რომ გორში ყველაზე გაჭირვებულებს და უმწეოებს მოუარო და შენი ხელით გაუნაწილო ეს თანხა. . .“ შემდეგ კი ომების ისტორიაში უპრეცედენტო რამ მოხდა. გამარჯვებული ჯარის სარდალმა, რომლის ხელში უპატრონოდ, ყოველგვარი ევაკუაციისა და დაცვის გარეშე მიტოვებული ქართველების ბედი იყო, ,,ფული გამოართვა, დაეცა მუხლებზე, კალთაზე აკოცა და უთხრა, გეფიცებით უწმინდესო, ყოველი კაპიკი მივა გაჭირვებულ და უმწეო მოსახლეობასთან, ყველა კაპიკზე ჩაგბარდებათ სრული ანგარიშიო“ [40, 5].

საგარეო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად იხმარება ტერმინები: ,,ძველი დიპლომატია“ და ,,ახალი დიპლომატია“. ჭეშმარიტებაა, რომ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე დიპლომატიის მეთოდებსა და ხერხებში ბევრი რამ შეიცვალა, და ის არსებითად განსხვავდება ტალეირანისა და ბისმარკის პერიოდის დიპლომატიისაგან.

ინგლისელი მწერალი, ლეიბორისტული პარტიის წევრი მორელი, პაციფიზმის პოზიციაზე იდგა. იგი ძირითად ბოროტებად თვლიდა ,,საიდუმლო დიპლომატიას“, რომელიც მისი აზრით წამლავდა ,,საერთაშორისო დიპლომატიას“ [41].

დიპლომატიის განკარგულებაში არის სამი

საშუალება: დარწმუნება, კომპრომისი და ძალის შესაძლო გამოყენების მუქარა. დიპლომატიის ხელოვნება, – წერს გ. მ ო რ გ ე ნ ტ ა უ, – მდგომარეობს იმაში, რომ ყოველ კონკრეტულ მომენტში ამ სამი საშუალებიდან სწორი აქცენტი გააკეთო. დიპლომატია, რომელიც არჩევანს აკეთებს კომპრომისზე მაშინ, როდესაც აუცილებელია სახელმწიფოს სამხედრო ძალის დემონსტრირება, ან პირიქით - ხაზი გაუსვას სამხედრო პოტენციალს მაშინ, როდესაც პოლიტიკური სიტუაცია ითხოვს დარწმუნებასა და კომპრომისს – განწირულია დამარცხებისათვის.

ამერიკელი პოლიტოლოგი ჯ ო ნ ს ტ ო ს ს ი ნ ჯ ე რ ი ნაშრომში „ერის შესაძლებლობა“ (ნიუ-იორკი, 1975), თვლის, რომ დიპლომატიისათვის უფრო და უფრო ძნელი ხდება თუ შეუძლებელი არა, უარი განაცხადოს საზოგადოების თვალწინ, უკან დაიხიოს თავისი პოზიციიდან, რადგან ეს „შეიძლება თანამემამულეთაგან შეფასებული იქნას როგორც ლაჩრობა ან მტრის წინაშე უკან დახევა“. ასეთ პირობებში დიპლომატია ხდება საჯაროობის მსხვერპლი, – ამტკიცებს სტოსსინჯერი. – კომპრომისი გამონაკლისის სახით გვევლინება, ხოლო მოლაპარაკების მონაწილენი უფრო ხშირად მიმართავენ პუბლიკას, ვიდრე ერთმანეთს.

ბოლო ათეული წლების მანძილზე გამოჩნდა ნაშრომები, სადაც ცნობილი მეცნიერები ახალ თვალსაზრისებს გვთავაზობენ დიპლომატიის მეთო-

დებისა და პრაქტიკის შესახებ, სადაც დღევანდელი რეალობაა წარმოჩენილი. ამ მხრივ ინტერესს იწვევს გამოჩენილი კანადელი სახელმწიფო მოღვაწის ლ ე ს ტ ე რ ბ. პ ი რ ს ო ნ ი ს წიგნი „ბირთვული სახწელმწიფოს დიპლომატია“.

ავტორი ამოდის იქიდან, რომ ბირთვული იარაღის საუკუნემ ძირეულად შეცვალა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ხასიათი და ასევე, საგარეო პოლიტიკის განხორციელების მეთოდები. წყალბადის, ანუ სუპერბომბის შექმნის იდეა წამოაყენა ცნობილმა ფიზიკოსმა ედუარდ ტელერმა. იგი ჯერ კიდევ 1946 წელს ცდილობდა დაერწმუნებინა ამერიკის მთავრობა ზებომბის შექმნის აუცილებლობაში.

1952 წელს ტელერი გადავიდა კალიფორნიის ქალაქ ლივერმოსში, სადაც სათავეში ჩაუდგა სუპერ-ბომბის შექმნის ლაბორატორიას და 1952 წლის 1 ნოემბერს წყნარი ოკეანის კუნძულ ელუგედაბში მოაწყო წყალბადის ბომბის გამოცდა. აფეთქების შედეგად კუნძლი გაქრა, ხოლო მძლავრმა აფეთქებამ მთელი წყნარი ოკეანე თითქმის მთლიანად შეარყია. ზღვის ფსკერზე დარჩა გიგანტური ძაბრისებური ხვრელი [42, 295].

ნგრევის უნარი, რომელსაც დღეს ფლობენ გიგანტები, არ შეესატყვისება პროპორციულად ბატო-ნობას მათ მეგობრებსა თუ მტრებზე. ყველაზე შემზარავი იარაღი არ იწვევს მათ შიშს, ვინც ამ იარაღს

არ ფლობს. თავის დროზე ალბანეთმა მოახდინა საბჭოთა კავშირის და კუბამ – ამერიკის შეერთებული შტატების გამოწვევა. ყოველივე ისე ხდება, თითქოს ბირთვული ძალა მით უფრო ძნელად გარდაიქმნება დიპლომატიურ ძლიერებად, რაც უფრო დრაკონული ძალის მქონე, არაადამიანური ხდება იარაღი, ყველაზე უკიდურეს შემთხვევაში გამოსაყენებელი იარაღი იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელსაც ის არ გააჩნია და შეიძლება ითქვას, არც არასოდეს ექნება. ან კიდევ, სხვა ფორმულა რომ გამოვიყენოთ, ყოველივე ისე ხდება, თითქოს რუსული და ამერიკული თერმობირთვული სისტემები ურთიერთპარალიზებას ახდენენ, ხელს უწყობენ ლოკალური კონფლიქტების გაფართოების პრევენციას, მაგრამ მხოლოდ შეზღუდულ ზეგავლენას თუ ახდენენ დიდებსა და პატარებს შორის ურთიერთობაზე . . . [44, 36-37].

რუსეთის მიერ საქართველოსადმი განხორციელებული უკანონობის წინააღმდეგ ერთადერთ ეფექტურ სანქციად ძალის გამოყენება რჩება. მაგრამ რუსეთს, როგორც დანაშაულის ჩამდენ ზესახელმწიფოს გააჩნია მძლავრი არმია და მასობრივი მოსპობის იარაღი. მას არ სურს დაემორჩილოს რომელიმე არბიტრის განაჩენს ან, რომელიმე ასამბლეაზე მიღებულ კენჭისყრის შედეგებს. ამიტომ ნებისმიერი ძალისხმევა, მიმართული იმისკენ, რომ

რუსეთი აიძულოს სამართალს პატივი სცეს, დაკავშირებულია ომის რისკთან.

აგრესიის მსხვერპლი ქვეყანა ფაქტიურად გათელილია საერთაშორისო თვალსაზრისით თუკი არავინ გაუწვდის დახმარების ხელს, მას სწრაფად ივიწყებენ. სახელმწიფო კი რომელმაც გაანადგურა მოცემული ქვეყანა, კვლავინდებურად თავაზიანად მიიღება ე.წ. მშვიდობის მოყვარე ქვეყნების სხვადასხვა ასამბლეაზე.

ამიტომ მიგვაჩნია, რომ XXI საუკუნეში ყველა სახის დიპლომატია უნდა იქნეს გამოყენებული, რათა შენარჩუნებული იქნეს მშვიდობა და აღდგეს ტერიტორიული მთლიანობა იმ სახელმწიფოებისა, რომლებიც აგრესიის მსხვერპლნი გახდნენ.

კონფლიქტებიდან ოკუპაციამდე

რეალური პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე სულ უფრო მეტად იზრდება ინტერესი ისეთი პრობლემისადმი, როგორიცაა ეთნოკონფლიქტები. ეს გამოწვეულია იმ ვაკუუმის შევსების მცდელობით, რაც შეინიშნება ამ მიმართულებით კვლევის სფეროში.

კონფლიქტი არის ურთიერთმიმართება ორ ან ორზე მეტ ისეთ მხარეს (პიროვნებას ან ჯგუფს) შორის, რომელთაც აქვთ, ან ფიქრობენ, რომ აქვთ, ურთიერთშეუთავსებელი მიზნები [44, 66].

როგორც კონფლიქტების ანალიზის შედეგები ადასტურებენ, კონფლიქტს იწვევს ან მის ზონაში არსებული გამომწვევი რომელიმე მოპირდაპირე მხარე, ან გარედან არსებული ,,მესამე ძალა“.

კონფლიქტში მონაწილე სუბიექტების და ძალების ურთიერთდაპირისპირებაში, მისი შემდგომი წარმართვის და საბოლოო შედეგების განმსაზღვრელი ფაქტორების სიმრავლე ცალკე განხილვის საგანია. ერთი ცხადია, ამ ფარულ ბრძოლაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს კონფლიქტების გამოწვევაში დაგროვილი გამოცდილება, ,,სააზროვნო ცენტრების“ აკადემიზმი, სადაზვერვო სამსახური და ა.შ.

აღნიშნულის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურებში კონფლიქტების გამომწვევი სპეციალური ინსტიტუტების, სპე-

ციალური სამსახურის საქმიანიბის ანალიზი. როგორც დასტურდება, ჯერ კიდევ ოქტომბრის გადატრიალებამდე, რამდენიმე წლით ადრე, მეფის ხელისუფლებას სახელმწიფო მართვის სტრუქტურებში ჰყავდათ რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხებს შორის კონფლიქტების გამოწვევაში დახელოვნებული სტრუქტურები, რომლებიც მთლიანად შეერწყნენ სოციალისტური სახელმწიფოს სტრუქტურებს, ჩადგნენ მის სამსახურში. ყოფილი საბჭოთა კავშირის სუკ-ის სისტემაში კონფლიქტოლოგიამ წამყვანი ადგილი დაიკავა და მახინჯი ფორმები მიიღო, მდიდარი გამოცდილება დააგროვა. ყველა ამ გამოცდილებას და წარსულის მემკვიდრეობას მისი კანონიერი გამგრძელებელი – დღევანდელი რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურა იყენებს [45, 26].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საუკუნეების მანძილზე ერთმანეთის გვერდით უამრავი სხვადასხვა ეთნიკური, თუ რელიგიური აღმსარებლობის ჯგუფი თანაცხოვრობს, ეს ჯგუფები ურთიერთ კულტურულ ღირებულებებსა და მონაპოვრებს ან ძალიან სუსტად ან კი საერრთოდ არ იცნობენ. არ იცნობენ არც ერთმანეთის ისტორიულ წარსულს და არც საქართველოს ტერიტორიაზე მათი დასახლების ისტორიას. უფრო მეტიც, ხშირად შესაძლოა თავად ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს არ ჰქონდეთ სრული და სწორი წარმოდგენა საქართველოს

ტერიტორიაზე მათივე წინაპრების დასახლებისა და საუკუნოვანი ცხოვრების შესახებაც კი [46, 59].

როგორც ჰ ე გ ე ლ ი აღნიშნავდა ,,ისტორიას ხალხისთვის მუდამ უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ისტორიის ცოდნის საშუალებით მიდის კონკრეტული ხალხი, საზოგადოება, ერი თავისი გონის, როგორც მთელის გაცნობიერებამდე. ეს ყოველივე შემდგომ აისახება კანონებში, ზნე-ჩვეულებებსა და მოქმედებაში. ისტორია ამათუიმ ხალხს საკუთარ თავს რაღაც გარკვეულ მდგომარეობაში უხატავს, თუ ის-ტორია არ გააჩნია, მაშინ ხალხის დროითი არსებობა ბრმაა და იგი მხოლოდ თვითნებობის განმეორებდი თამაშია მრავალგვარ ფორმაში [47, 96].

მაგალითად, დღევანდელი აფხაზების ისტო-რიული გამოცდილება ძალზე მტკივნეულია, რის გამოც მეტისმეტად არინ მიჯაჭვული თავიანთ ისტორიულ მითებზე, რომელთა საშუალებითაც ისინი ცდილობენ ჩანდნენ გაცილებით დიდები და მნიშვნელოვანნი, ვიდრე სინამდვილეში იყვნენ. ისინი ხშირად წუ-წუნებენ და ემდურიან თავიანთ ძნელ-ბედობას. ჩვენ ამას თანაგრძნობით უნდა მივუდგეთ და გვქონდეს მხედველობაში, რომ თავიანთი ბუნდოვანი ისტორიის გამო თანაგრძნობას მოითხოვენ.

ქართველი ხალხის ტრადიციული ისტორიული ყოფა არავითარ საფუძველს არ იძლეოდა, რომ გაბატონებულ ეთნოსს დაეჩაგრა ვინმე საქართველოში

შემოხიზნული. პირიქით, საქართველო მუდამ იყო ამიერკავკასიის ჩაგრული მოსახლეობის თავშესაფარი. ამიტომაც გარკვეულ ტერიტორიაზე თავი მოიყარა საკმაოდ ძლიერმა ეთნიკურმა მრავალფეროვნებამ [48, 22].

საერთოდ, თუ რომელიმე ერმა თავისზე ძლიერი მეზობლისაგან გათავისუფლება სცადა, ძლიერი სუსტს მის მიწა-წყალზე ე.წ. ,,ეთნოკონფლიქტს“ მოუწყობს. აუჯანყებს მცირე ეთნოსებს, მხარს დაუჭერს ამბოხებულებს (სამხედრო ძალით, იარაღით, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის დეზინფორმირების საშუალებებით) და თავისუფლებამოწყურებულ (,,ურჩ“) ერს მისი სამშობლოს ნაწილებიდან აყრის. ამით ,,ძლიერი“ ბატონობის სურვილს რამდენადმე დაიკმაყოფილებს, ,,ურჩი“ დაისჯება და . . . მოვლენათა ფილოსოფიური ასპექტი კი, შეუმჩნეველი რჩება [49. 22].

ხშირ შემთხვევაში კონფლიქტური კერები ჩნდება სახელმწიფოს სასაზღვრო ზოლში, იქ, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ არადომინანტი ეთნოსის წარმომადგენლები – ეროვნული უმცირესობა, რომელიც თავისი ეროვნული შემადგენლობით ენათესავება ამ ტერიტორიის მოსაზღვრე სახელმწიფოს მოსახლეობას. ასეთ რეგიონებში უფრო ადვილად იჩენს თავს სეპარატისტული მოძრაობა, იმისდა მიუხედავად, აქ დაძაბული ვითარებაა, თუ არა. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოს სასაზღვრო ზოლია.

საქართველოში არაქართველი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული ექვსი სასაზღვრო რეგიონია: აფხაზეთი, შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილი (ე.წ. სამხრეთ ოსეთი), ქვემო ქართლი, ჯავახეთი, პანკისის ხეობა და ყვარლის რაიონი.

როდესაც სუსტდება პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, ეთნიკური უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლებში ამოქმედებას იწყებს ეთნიკურობის ყველაზე საშიში ფორმა – ნაციონალიზმი, რომლის სათავეშიც დემაგოგი პოლიტიკოსები დგებიან. კონფლიქტებში ვლინდება გარკვეული მიზნების მქონე ადამიანების, ან ადამიანთა ჯგუფების უკმაყოფილება მათთვის არახელსაყრელი გარემოს მიმართ. ეს მაშინ ხდება, როდესაც თავს იჩენს ის სადავო საკითხები, რომელთა შესახებ მოლაპარაკება შეუძლებელია. ამის შედეგია ადამიანთა ჯგუფების ისეთი ქცევა, რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებს როგორც ინდივიდებს, ასევე საზოგადოებას, ერებს და ემუქრება მათ ფიზიკურ, თუ ფსიქოლოგიურ უშიშროებას. დაპირისპირება სხვადასხვა ფორმით ვლინდება: ქუჩის ძალადობით, მკვლელობებით, რელიგიური ომით, ეთნიკურ ურთიერთობათა გამწვავებით, ტერიტორიული ექსპანსიითა და ერთაშორისო კონფლიქტებით [50, 7].

ეთნოკონფლიქტები ქართველებსა და საქართველოში მცხოვრებ ოსებს, აფხაზებს, ჩეჩნებს, ლეკებს,

რუსებს, სომხებსა და სხვა ეროვნულ უმცირესობათა შორის ისტორიული სინამდვილე გახლავთ. მომხდარი დაპირისპირება, როგორც შორეულ, ისე ახლო წარსულში კი არ უნდა მივჩქმალოთ, პირიქით, ყოველმხრივ _ ფოლკლორული თუ დოკუმენტური წყაროებით უნდა გამოვიტანიოთ დღის სინათლეზე. იმ ხ ლ ა რ თ ე ბ ი ს მხილებაც მხოლოდ ამ საშუალებით მოხერხდება და დაახლოების გზებიც ასე მოიძებნება, თორემ საბურველის ჩამოფარება როდის ყოფილა დაახლოების საწინდარი.

რა თქმა უნდა, მხოლოდ ის, რომ კონფლიქტში მხარეები სხვადასხვა ეროვნების არიან, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ეთნიკურ კონფლიქტთან გვაქვს საქმე. თუ კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი და მიზანი ერთი სახლეომწიფოს ისტორიული ტერიტორიის ხელყოფაა მეორის სასარგებლოდ და იგი გარკვეულწილად გარედან იმართება, ეს უკვე პოლიტიკური კონფლიქტია.

აფხაზ სეპარატისტებს ომი ხელს აძლევდა. ამას ისინი არც მალავდნენ. გავიხსენოთ თუნდაც ზ უ რ ა ბ ა ჩ ბ ა ს და ვ ლ ა დ ი ს ლ ა ვ ა რ ძ ი ნ ბ ა ს გამოსვლები. ისინი ამბობდნენ: ,,ჩვენ გაიძულებთ, რომ გვესროლოთ! . . .“ [20, 25].

ქართულ-აფხაზურ ურთიერთობას უმძიმესი დარტყმა მიაყენა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ვლადისლავ არძინბას და-

ნიშვნამ. მას უარყოფითად აფასებენ ეთნიკური აფხაზების ცნობილი წარმომადგენლებიც, მათ შორის, კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი, აწ განსვენებული ბ ო რ ი ს ა დ ლ ე ი ბ ა. მისი სიტყვით ,,თ უ ვ ლ ა დ ი ს ლ ა ვ ა რ ძ ი ნ ბ ა ი ქ ნ ე ბ ო დ ა არ ჩ ე უ ლ ი, ი გ ი დ ა ღ უ პ ა ვ დ ა ა ფ ხ ა ზ ე თ ს დ ა თ ა ვ ა დ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს“ [20, 42].

პოლიტიკურ-ფინანსური მაფიის მიერ ორგანიზებულ-ინსპირირებული აფხაზური ექსცესი ქართველი ერის შეურაცხყოფა, ცილისწამება, ისტორიის გაყალბება იყო. მოახდინეს რა აფხაზთა არსებითი რუსიფიკაცია, აკრძალეს ქართველ ისტორიკოსთა შრომები და ყველანაირად წააქეზეს ფალსიფიკატორები, რეაქციულმა ძალებმა აფხაზეთის მთავრობა და მოსახლეობის ნაწილი იმ ანტიქართულ აგრეგატად გადააქციეს, რომელსაც მაშინ ჩართავდნენ ხოლმე, როცა საქართველოში ეროვნული მოძრაობა ძლიერდებოდა. აფხაზური ექსცესი პროვოკაცია იყო, გათვლილი იმაზე, რომ სისხლი უნდა დაღვრილიყო ქართველებსა და აფხაზებს შორის. თუნდაც ჩავთვალოთ, რომ დღევანდელი აფსუები ძველი აფხაზები არიან და ერთად ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები. ამ შემთხვევაშიც, ,,როდესაც ერთ ტერიტორიაზე მცხოვრები ორი აბორიგენი ხალხიდან ერთი ითხოვს გამოყოფას, ეს ნიშნავს არც მეტს არც ნაკლებს, ტერიტორიის

მისაკუთრებას“ [51, 93].

უკვე ბოლშევიკური ხელისფლების დამყარების შემდეგ აფხაზეთში გაძლიერდა ქართველთა დევნა. კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ თავის გეგმას ისეთი იდეოლოგიური სარჩული გამოაკრა, რომელიც მიჩქმალავდა ამ გეგმის ნამდვილი ავტორის ვინაობას, კერძოდ, – ქართული შოვინიზმის აფხაზური იდეა. ასე გამოიჩეკნენ ქართული ნაციონალური ეგოიზმის მქადაგებელი აფხაზი იდეოლოგები, რომლებიც იმ ტოტსაც ჭრიდნენ, რომელზეც თავად ისხდნენ [52, 3]. საგულისხმოა, რომ საბჭოთა პერიოდის მთელ მანძილზე, თითქმის ყოველ ათ წელიწადში აფხაზეთში რაღაც საკვირველი პერიოდულობით მეორდებოდა პოლიტიკური და საზოგადოებრივი დესტაბილიზაცია. ყოფილი საბჭოთა კავშირის უმაღლეს ეშელონებში ნებისმიერ გადაჯგუფებას, როგორც წესი, თან სდევდა ახალ-ახალი პოლიტიკური ტალღის აგორება [20, 15].

XX საუკუნის 30-იან წლებში აფხაზური სეპარატისტული მოძრაობა გააქტიურებას იწყებს და ფიქსირდება ცალკეული ორგანიზაციების და ჯგუფების შექმნა. მეორე მსოფლიო ომის წლებში აფხაზური მოძრაობა ახალ ძალას იკრებს, განსაკუთრებით აქტიურობენ თბილისში სასწავლო და სამეცნიერო განათლებამიღებული ახალგაზრდები, მათ შორის უ მ ა რ შ ა კ რ ი ლ ი და, განსაკუთრებით უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, სამეცნიერო ხარისხის მქონე – თ

ა მ ა რ შ ა კ რ ი ლ ი.

ფაქტია, რომ შემდგომში აფხაზურ მოძრაობაში მონაწილე თითქმის ყველა წევრს ძირითადად თბილისში ჰქონდა გავლილი სასწავლო - სამეცნიერო და სამსახურებრივ - თანამდებობრივი წრთობა [53, 227].

თვითგანდიდებისა და ქართველთაგან განკერძოების ტენდენცია გაუღვივდათ აფხაზებს განსაკუთრებით 50-იანი წლებიდან, როდესაც სტალინი გარდაიცვალა და საბჭოთა სისტემა ღრმა კრიზისმა მოიცვა. სისტემის ყველა მანკიერება და ცოდვა სტალინის მშობლიურ ხალხს, ქართველებს მიეწერა, როცა მათ წინააღმდეგ გაუგონარი ლაშქრობა გაჩაღდა. ამავდროულად დაიწყო ქართველთა ძალდატანებით გააფხაზება, რომელმაც საკმაოდ ფართო მასშტაბი მიიღო, მაგრამ მშველელი არ ჩანდა.

გაზვიადებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ თანამედროვე აფხაზური სეპარატიზმის გეგმას 50-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი, როცა საბჭოთა კავშირის ახალმა მესვეურებმა – ხრუშჩოვმა, სუსლოვმა, კოსიგინმა, მიქოიანმა, ანდროპოვმა და სხვებმა სახელმწიფოებრივი აგიტაცია გააჩღეს ქართველების წინააღმდეგ. სწორედ კრემლსა და აფხაზეთის კურორტებზე შეიქმნა და დაიხვეწა აფხაზეთის საქართველოსაგან ჩამოცილების და რუსეთისადმი მიერთების პროგრამა [54, 24]. სოხუმში, გუდაუთაში, გაგრაში გამართული

მიტინგები, მიღებული რეზოლუციები და მიმართვები სერიოზული განაცხადი იყო ქართულ-აფხაზური ურთიერთობის შემდგომი გამწვავებისათვის.

აფხაზური მოძრაობის მომდევნო ეტაპი 1966-1968 წლებთან არის დაკავშირებული. ცნობილი, „31“-ის „77“-ის და „130“-ის წერილები, რომლებშიც აშკარად იგრძნობოდა ანტიქართული განწყობილება, რუსეთის შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბ-ლიკის შესვლის სურვილი. ამავე პერიოდში იქმნება „იატაკქვეშა საოლქო კომიტეტი“ და წინასწარ ნაწილ-დება ყველაზე პრესტიჟული თანამდებობები. ეს პე-რიოდი აფხაზეთში საზოგადოებრივი აზრის მომზა-დების ეტაპია. აფხაზობა, ეროვნულობის პარალე-ლურად, სოციალური სახის მატარებელი ხდება. დასაქმებისა და თანამდებობის მიღებისას უპირა-ტესობა ენიჭება ეროვნულობას – „აფხაზობას“. აფხაზი სეპარატისტები თხოულობდნენ აფხაზეთის კონსტი-ტუციაში შეეტანათ მუხლი თვითგამორკვევისა და საქართველოდან გამოყოფის შესახებ [53, 227].

სკკპ ცკ 1972 წლის თებერვლის დადგენილების შემდეგ (თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ . . .), აფხაზეთი თანდათანობით იღებს სუვერენული რეს-პუბლიკის სტატუსისთვის საჭირო ყველა ატრიბუტს. იხსნება აფხაზეთის ტელევიზია, უნივერსიტეტი, ხორ-ციელდება საკადრო პოლიტიკა, რომელიც დიდი თუ პატარა თანამდებობისაკენ გზას უკეტავდა ქართვე-

ლებს. ჩქარდება ქართველების გააფხაზების პროცესი.

დადგენილებაში ჩადებულმა ე.წ. „ინტერნაციონალურმა“ ნაღმმა, ლეგალურად აქცია ყოველივე ის, რაც ათეულობით წლის მანძილზე აფხაზეთში არალეგალურად მიმდინარეობდა. უფრო მეტიც, ყოველივე ამან ხელ-ფეხი გაუხსნა სეპარატისტულ მოძრაობას დანარჩენ საქართველოში. „აფხაზური პრობლემა“ ამოვარდა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სივრციდან, იგი საერთო საკავშირო „საზრუნავი“ გახდა, რაც მოგვიანებით ტრაგიკული შედეგების მომტანი აღმოჩნდა ქართველებისა და აფხაზებისთვისაც [53, 80].

ისარგებლეს რა შექმნილი ვითარებით აფხაზებმა 1978 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში უპრეცენდენტო ანტიქართული მოძრაობა გაშალეს. გაჩნდა ლოზუნგები „სიკვდილი ქართველებს“, „ძირს ძაღლური ენა“, „ქართველებო წაეთრიეთ აფხაზეთიდან!“ ქართველი ხალხის ეროვნული ღირსების შელახვის მიზნით აფხაზებმა შეურაცხყვეს და დაამხსვრიეს რუსთაველის ბიუსტი, რომელიც სოხუმის დრამატული თეატრის შენობაში იდგა. დაანგრიეს სოხუმის ცენტრში მდგარი მონუმენტური ქანდაკება, რომელიც ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობას ასახავდა. მასობრივად ანადგურებდნენ ქართულ ეპიგრაფიკულ წარწერებს.

1978 წლის 1 სექტემბერს სოფელ ბზიფის ქართულ სკოლაში მისულ ბავშვებს მერხებზე დახვდათ

წარწერები „სიკვდილი ქართველებს“, ხოლო სკოლის ეზოში კოცონზე დაწვეს ქართული „დედა ენა“. სკოლამ მოსალოდნელ უბედურებათა თავიდან ასაცილებლად, ერთი თვით შეწყვიტა მუშაობა, რადგან ბავშვების სიცოცხლე საფრთხეში იყო.

1980 წლის მეორე ნახევარში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ქართული მოსახლეობის დაშინების მიზნით სოფელ ბზიფისხევის მცხოვრებ ყველა ქართველს აფხაზმა მილიციელებმა ჩამოართვეს რეგისტრირებული თოფები და დანები. აფხაზ თანასოფლელებს კი, იგივე იარაღი უკლებლივ დაუტოვეს.

1980 წლის 1-6 ივლისს სეპარატისტებმა დაბა ბზიფში მოაწყვეს ხალხმრავალი მიტინგი, სადაც გამოიტანეს პროვოკაციული ლოზუნგები: „ვის ხელში ხარ შენ, საბრალო აფხაზეთო“, „საითკენ მიყევხართ შენ მრავალ ტანჯულო აფხაზეთო!“ ქართველ ხალხს „მენშევიკებს,“ „ბერიას მიმდევრებს“ და „ქურდებს“ უწოდებდნენ, ხოლო მეგრელებსა და სვანებს ქართველი „ასიმილატორებისაგან“ იცავდნენ. მიტინგის სახელით სკკპ XXVI ყრილობისადმი გასაგზავნად მიღებულ რეზოლუციაში ჩაწერეს: „აფხაზეთში დღეს ბერიას დროზე უარესი ვითარებაა“. „სრულ უნდობლობას ვუცხადებთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს მთავრობას“, და ამის საფუძველზე მოითხოვეს აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფა და რსფსრ-ს შემადგენლობაში

შეყვანა.

ამავე დრო აფხაზეთის ინტელიგენციის ნაწილი ფართო პროპაგანდას ეწეოდა ქართველი მოსახლეობისა და ქართული კულტურის წინააღმდეგ, რამაც ორგანიზებული ხასიათი მიიღო. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის, ასევე გაზეთ „აფსნი ყაფშის“ რედაქციის თანამშრომლები ხშირად იკრიბებოდნენ ანტიქართული პოლიტიკის შესამუშავებლად და დასახვეწად. ისინი საჯაროდ, პლენუმებზე, აქტივის კრებებზე, თათბირებზე ყოველმხრივ უპირისპირდებოდნენ ყოველივე ქართულს. საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულებას აფხაზეთის ავტონომიისადმი აიგივებდნენ საფრანგეთის ალჟირთან და ინგლისის ეგვიპტესთან ურთიერთობას [55, 21-22].

მოგვიანებით, სწორედ „ცენტრის“ მხრივ ადგილობრივი სეპარატისტული ძალების წაქეზების შედეგი იყო ე.წ. „აფხაზური წერილი“ (1988 წ. ივლისი), რომელიც გაეგზავნა სკკპ XIX პარტკონფერენციის პრეზიდიუმს და შემდგომ ე.წ. „ლიხნის მიმართვა“ (1989 წ. მარტი) საბჭოთა კავშირის ყველა უმაღლეს სამთავრობო და პარტიული ინსტანციებისადმი. ორივე ამ დოკუმენტში საკითხი იდგა საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფის შესახებ, იმ საბაბით, რომ საუკუნეების მანძილზე აფხაზეთს საქართველოსთან არაფერი აკავშირებდა; ადრეც და საბჭოთა ხელისუფლების პირობებშიც აფხაზები ქართველებისაგან მხო-

ლოდ შევიწროებას, „აგრესიას“, „გენოციდს“ განიცდიდნენ. ამიტომ მათთან ცხოვრება შეუძლებელი იყო [56, 156].

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ლიხნის შეკრება ლოგიკური შედეგი იყო ათეული წლების მანძილზე აფხაზების მიმართ გატარებული ცალმხრივი პოლიტიკისა. ასეთმა ვითარებამ დაარღვია ყოველგვარი პრინციპი თანამდებობების განაწილებაში. აფხაზობა უკვე სოციალურ კატეგორიად იქცა. დაიწყო ქართველების ორგანიზებული დევნა, შევიწროება და ჩაგვრა, რის შედეგადაც ათასობით ხელმოკლე ქართველი, როგორც 20-იან წლებში, იძლებული გახდა აფხაზად ჩაწერილიყო.

მართალია ოფიციალურად არ აღიარებდნენ, მაგრამ კარგად იყო ცნობილი, რომ აფხაზეთის უმაღლეს სასწავლებლებში წლების მანძილზე აფხაზი ეროვნების სტუდენტებისათვის არ შეიძლებოდა ორიანის დაწერა. თანამდებობის დასაკავებლად საჭირო იყო დიპლომები და ეს საქმეც დიდი ენთუზიაზმით კეთდებოდა.

სასტიკი ტენდენციურობით ტარდებოდა სასამართლო პროცესები. ერთი და იგივე დანაშაულისათვის ქართველი გაცილებით მკაცრად ისჯებოდა. ამ სამარცხვინო კამპანიის შედეგად ბევრი აფხაზის გულში გაღვივდა ზიზღი და სიძულვილი ქართველების მიმართ. ჩვეულებრივ ნორმად იქცა შეურაცხყოფის

მიყენება ქართველებისათვის, როცა ისინი ქართულად გაბედავდნენ დალაპარაკებას და სხვა მრავალი. ზოგმა აფხაზმა მეცნიერმა ისიც გადაწყვიტა, ასეთი საქციელი მეცნიერული არგუმენტებით და შრომებით გაემაგრებინა, შეითხზა ისტორიის ყალბი ფურცლები, სადაც ისინი ითვისებდნენ და ამახინჯებდნენ საქართველოს ისტორიას, ქართველი და აფხაზი ხალხების საუკუნოვან მეგობრობას. ქართველ ისტორიკოსებს კი ეკრძალებოდათ ჭეშმარიტების დასაცავად ხმა ამოეღოთ. ამ გაუმართლებელი აკრძალვების შედეგად ზოგიერთი აფხაზი მეცნიერის გამოკვლევები გარკვეულ ,,წარმატებასაც“ აღწევდა. ბევრმა თვისტომმა და მეზობელთა ნაწილმაც ირწმუნა თუ როგორ ,,დაიპყრო“ საქართველომ აფხაზეთი და როგორ ,,ვჩაგრავდით“ მათ.

შეტევაზე გადმოსულ აფხაზებს თანამდგომნი მრავლად გამოუჩნდნენ. თუ ა ლ ა ნ ჩ ო ჩ ი ე ვ ს საერთოდ რამე დაეჯერებოდა, თურმე ,,ადამონ ნიხასის“ (სახალხო ტაძარი) წევრები, ისე როგორც მთელი ოსი ხალხი დაძაბულად და თანაგრძნობით ადევნებდა თვალყურს აფხაზეთის მოვლენებს. ჩოჩიევი აფხაზებისადმი გაგზავნილ წერილში მიუთითებდა: ,, . . . ჩვენ ამაყი სულის მთიელი ხალხი ვართ, ამ სულის გატეხვა კი ჩვენს გმირობითა და ტანჯვით აღსავსე ისტორიაში მრავალრიცხოვან ,,სტუმართაგან“ ვერც ერთმა ვერ შეძლო. მით უფრო დღეს ვერ შეძლებს ამას ვერავინ იმათგან, ვინც ფსევდო-რიტორიკული ნაჯ-

ღაბნით იკვებება და ეროვნულ ზვიადობის გაცვეთილი დროშით ,,დაყავი და იბატონეს“ პრინციპით მოქმედებს. მაგრამ ჩვენი ურყევობის საწინდარია ჩვენი მეგობრობა და ჯერჯერობით, მხოლოდ მორალური მხარდაჭერა ჩვენი მამაცი აფხაზი მეგობრებისა და ძმების. ოსეთის ხალხი თქვენ მხარს გიჭერთ, მხარს გიჭერთ ჩვენი ხელმძღვანელობაც, ოღონდ მას ჯერ არ ყოფნის სიმამაცე“ [57].

აფსუებთან დაწყებულმა ეთნოკრიზისმა, რაც პოლიტიკურ კონფლიქტში გადაიზარდა, საქართველოში ენერგიულად დაწყებული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის საყოველთაოსახალხო ბრძოლის, შინა სამოქალაქო ომის ტალღაზე გადასვლა სცადა და გარკვეულ მიზანსაც მიაღწია. უხილავი ძალა ცდილობდა და ჩვენი უთავბოლობით აღწევდა კიდეც ეროვნული ენერგიის მისთვის სასურველად წარმართვას.

აფხაზმა ხელმძღვანელებმა საკუთარი ინიციატივით მიაღწიეს მოსკოვიდან საგანგებო კომისიის გამოწვევას. ამ კომისიამ თავის ტენდენციურ დასკვნაში საქართველოს მთავრობასთან მოთათბირების გარეშე (კომისიის შემადგენლობაში არც ერთი ქართველი არ მონაწილეობდა) სცადა ანულირება საქართველოს სსრ მთავრობის თავმჯდომარის ხელმოწერილი დოკუმენტისა აფხაზეთის უნივერსიტეტისაგან თბილისის ფილიალის გამოყოფის შესახებ. სწორედ ამ საეჭვო

კომპეტენტურობის კომისიის დასკვნა იქცა სისხლის-ღვრის ერთ-ერთ საბაბად [58, 41].

ავტონომიურ რესპუბლიკაში ფაქტიურ მმართ-ველ ძალას აფსუა უხუცესები წარმოადგენდნენ. მათი პოზიცია კი ანტიქართული იყო და ტრადიციულად ქართველებს დამპყრობლებად მიიჩნევდნენ. საგული-სხმო ფაქტი: 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, საყოველთაო ეროვნული გლოვის დღეებში აფხაზეთის რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ა რ ს ე ნ თ ა რ ბ ა მ არ დახარა ავტონომიური რესპუბლიკის დროშა. მის ამ საქციელს დიდი აყალმაყალი და შეხლა - შემოხლა მოჰყვა, რამაც უკიდურესად დაძაბა ისედაც ქართულ-აფხაზური ურთიერთობა. დაპირიპირებამ მკვეთრად გამოხატული ანტიქართული, ანტიეროვნული ელფერი შეიძინა: დაიმუხტა ირგვლივ ყველაფერი, ჰაერში დენთის სუნი ტრიალებდა. საკმარისი იყო პატარა ნაპერწკალი, რომ ხანძარი დანთებულიყო [20, 28].

აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ ო რ ი ს ა დ ლ ე ი ბ ა კარგა ხანს ცდილობდა პომპეზურად გაეშვათ დამსახურებულ პენსიაზე მთავარი ექიმი. მაგრამ გუდაუთიდან ჩამოვიდნენ უხუცესთა საბჭოს წევრები და მიმართეს რესპუბ-ლიკის ხელმძღვანელს: „Не трогаите Тарбу“ და ისე გავიდნენ კაბინეტიდან, რომ არც კი მოუსმინეს პირველი მდივნის არგუმენტებს. ბორის ადლეიბამ

კარგად იცოდა, თუ რა მოჰყვებოდა ამას გუდაუთის სოფლებში – ლიხნში და დურიფშში, ამიტომ საოლქო კომიტეტმა დათმო პოზიცია და უკან დაიხია [20, 29].

1989 წლის მდგომარეობით აფხაზეთში ცხოვრობდა 525 ათასზე ცოტა მეტი ადამიანი, საიდანაც დაახლოებით 240 ათასამდე, ანუ 45, 68%, ქართველი და 93 ათასზე ცოტა მეტი, ანუ 17, 76%, აფხაზი იყო.

1991 წლის შემოდგომიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სეპარატისტული ხელმძღვანელობა მიზანმიმართულ მოქმედებებზე გადავიდა საქართველოს სამართლებრივი სივრციდან გასასვლელად.

მიღებული დადგენილებები: ,,აფხაზეთის რესპუბლიკის საბაჟო სამსახურის შექმნის შესხაებ“, ,,აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების უზრუნველყოფის შესახებ“, ,,სამობილიზაციო რეზერვების მდგომარეობისა და აფხაზეთში ნამდვილი სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ“, და სხვები საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა.

1991 წლის ბოლოს აფხაზეთში მყოფი საბჭოთა შინაგანი ჯარის ქვედანაყოფების დაშლა დაიწყო და აფხაზეთის ეზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა შესაბამისი დადგენილებით ეს ნაწილები თავის დაქვემდებარებაში გადმოიყვანა, ხოლო იარაღი, სამხედრო ტექნიკა და საბრძოლო მასალა ე.წ. აფხაზური შინაგანი ჯარის

პოლკის ფორმირებისთვის გამოიყენა.

მდგომარეობა აფხაზეთში 1992 წლის ზაფხულში კიდევ უფრო გართულდა და საქართველოს ხელისუფლება, როცა შეიარაღებული ძალებით იქ ვითარების გაკონტროლებას შეეცადა, აფხაზურმა ფორმირებებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს.

აფხაზეთში ომი ყველაზე მეტად რუსეთს აინტერესებდა. მაშინ ჩრდილო კავკასიაში საკმაოდ გართულებული იყო მდგომარეობა და ომით ჩრდილოკავკასიელთა ყურადღების აფხაზეთზე გადმოტანა სურდა.

ომში სხვადასხვა ფორმით მონაწილეობდნენ რუსეთის არმიის ნაწილები: 643-ე საზენიტო - სარაკეტო პოლკი, 345-ე საპარაშუტო - სადესანტო პოლკი, 325-ე ცალკეული სატრანსპორტო - საბრძოლო შვეულმფრენთა პოლკი, 529-ე გამანადგურებელთა საავიაციო პოლკი, 901-ე ცალკეული სადესანტო - მოიერიშე ბატალიონი, მე-6 მესაზღვრეთა საზღვაო ბრიგადა, 36-ე სასაზღვრო რაზმი და სხვ.

საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა მიიღო ჩრდილოეთიდან შემოსულმა დაახლოებით 4 ათასამდე რუსეთის მოქალაქე ჩრდილოკავკასიელმა, კაზაკმა და ა.შ.

აფხაზურმა ფორმირებებმა რუსეთიდან მიიღეს სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავები, შვეულმფრე-

ნები, ქვეითთა საბრძოლო მანქანები, ქვემეხები, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები, კატარ-ღები, ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალები და ა.შ.

1993 წლის სექტემბერში სეპარატისტებმა და-არღვიეს 24 ივლისის შეთანხმება, აფხაზეთის ტერიტორია დაიკავეს და ქართველების ეთნიკური წმენდა დაიწყეს.

რუსეთის შუამავლობით 1994 წლის 14 სექტემბერს, ხელი მოეწერა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტასა და ძალების დაშორიშორებაზე, რასაც დაპირისპირებულ მხარეთა შორის კონფლიქტის ზონაში თანამეგობრობის ქვეყნების მანდატით ე.წ. რუსული სამშვიდობო ძალების შემოსვლა მოჰყვა.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთმა სეპარატისტული აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღია-რა და თავისი საოკუპაციო ძალები გუდაუთის მე-7 ბაზაში განალაგა [59, 24-25].

აგერ უკვე ორ საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენი სამშობლო რუსეთთან ომის მდგომარეობაში იმყოფება. ორჯერ შეძლო საქართველომ ორთავიანი არწივის კლანჭებიდან თავის დაღწევა. მესამე შემოტევას 2008 წლის აგვისტოს ცხელ დღეებში ჰქონდა ადგილი, რის შედეგადაც ქვეყნის ტერიტორიის 20%, 12 ათასი კვადრატული კილომეტრი ძირძველი ქართული მიწა – აფხაზეთი და შიდა ქართლის ნაწილი დიდი

მსხვერპლის ფასად ბინძური ჩექმით გათელა.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველო არც დასავლეთისაკენ იყურებოდა და არც „ნატოში“ გაწევრიანებაზე ამახვილებდა ყურადღებას. მაგრამ რუსეთმა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ფაქტიურად წაგვართვა და აგვისტოს ომამდეც მთელი 18 წელიწადი ჩვენი იურისდიქციის გარეშე რჩებოდა. ამიტომ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ თითქოს საქართველოს დასავლური ორიენტაცია გახდა ერთგვარი მიზეზი რუსეთ-საქართველოს დაპირისპირებისა. პირიქით, რუსეთის ანტიქართულმა პოლიტიკამ განაპირობა დასავლური ღირებულებებისკენ სწრაფვა.

საქართველოს დანაწილების პროექტი საკმაოდ ადრე დაიგეგმა. „ბოროტების იმპერიის“ – სსრკ-ს დაშლის ფონზე, როგორც კი საქართველომ დაიწყო ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ შემქმნელმა საბჭოთა კავშირის ლიდერმა მიხეილ გორბაჩოვმა მაშინვე დაუფარავად გამოაცხადა: „საქართველო გავა საბჭოთა კავშირიდან, მაგრამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშეო“. ამდენად, საქართველოს განახლებული იმპერიისადმი – „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირისადმი“ მიჯაჭვის მთავარი ინსტიტუტი უნდა გამხდარიყო და გახდა კიდეც აფხაზეთი და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“, ხოლო

შემსრულებელი საბჭოთა არმია [60, 131].

საქართველოს არ შემოუერთებია სხვისი მიწები. არ მოუნათლავს უცხოელები თავის რჯულზე. არ გაუჭრია ფანჯარა ევროპასა და აზიაში, არ უსწავლებია სხვა ქვეყნის ხალხებისათვის ქართულად ლაპარაკი. არ ცდილა სხვა მიწა-წყლის ხალხების სიმდიდრე მიეთვისებინა.

საქართველოში მცხოვრებმა ოსებმა ადრე კარგად იცოდნენ თავიანთი ისტორიული წარსული. იცოდნენ, რომ სხვის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ხიზნად, რომ ეს ხანა მოიცავდა დაახლოებით, ორნახევარ-სამ საუკუნეს და ამ ხნის მანძილზე, ქართველი მებატონეების ხელშეწყობით მათ მამულებში, მათ მიწაზე სახლდებოდნენ, მრავლდებოდნენ, ამ ბატონებით ედგათ სული, მათი დახმარებით იუმჯობესებდნენ ცხოვრების პირობებს და მათივე მეშვეობით მკვიდრდებოდნენ ღვთით კურთხეულ საქართველოს ტერიტორიაზე [61, 5-6].

ეთნიკური სტრუქტურის მიხედვით ოსები იყოფიან ორ ძირითად სუბეთნიკურ ჯგუფად: ,,ირეზად“ (ან ,,ირონებად“) და ,,დიგორებად“ (ან ,,დიგორელებად“). ხაზგასასმელია, რომ ოსებს XX საუკუნემდე ერთიანი ენდოეთნონიმი არც ქონიათ. რაც შეეხება ეთნონიმს ,,ოსი“ და დღევანდელი რუსეთის ფედერაციაში შემავალი ტერიტორიული ერთეულის სახელწოდებას _ ,,ოსეთი“, ოსები არასდროს არ იცნობდნენ.

ჯერ რუსულ ენაში და შემდეგ სხვა ხალხებში ეთნონიმი (ეგზოეთნონიმი) ,,ოსი“ ქართველთაგან გავრცელდა. ამ ეგზოეთნონიმით ოსებს ქართველთა გარდა ფაქტობრივად, არავინ იცნობდა. ოსები ანტიკური პერიოდის საისტორიო წყაროებში ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში მოსახლე ალანების ნარჩენ ხალხად მიიჩნევა. ამავე დროს ოსები არც ალანების პირდაპირი და უშუალო შთამომავლები არ არიან. ოსური ეთნოსი ჩრდილოეთ კავკასიის მთებში, XIII საუკუნის შემდეგ ადგილობრივ კავკასიელებთან შერევის შემდეგ ჩამოყალიბდა [62, 85-86].

უფრო მეტიც, გამოჩენილი ოსი მეცნიერის ვ ა ს ი ლ ა ბ ა ე ვ ი ს აღიარებით: ,, . . . მეცნიერებმა დიდი ხანია დაადგინეს, რომ ოსები წარმოშობით არ არიან დაკავშირებული მეზობელ კავკასიელ ხალხებთან. კავკასიაში ისინი მოვიდნენ ჩრდილოეთიდან, კერძოდ, სამხრეთ - რუსეთის ველებიდან. წყაროებში მათ ეწოდებოდათ ალანები, ხოლო ალანები, ისტორიკოსის ი ო ს ე ბ ფ ლ ა ვ ი უ ს ი ს მოწმობით (ჩვ.წ -აღ. I საუკუნე) – სკვითური ტომია, რომლებიც ცხოვრობენ აზოვის ზღვისა და დონის მხარეს“ [63].

რამდენადაც ცნობილია დონი – ოსური სიტყვაა და ნიშნავს წყალს. ამბობენ, რომ აქედან წარმოიშვა მდინარე დონის სახელი. ასევე ოსების ისტორიულ სამშობლოშია დაფიქსირებული მდინარეთა სახელწოდებები: გიზელდონი, ფიაგდონი და არდონი. ოსე-

ბიდან წარმოშობილს მიიჩნევენ დნეპრისა და დნესტრის სახელებსაც. ზოგიერთი მეცნიერის ,,ფან-ტაზია“ კიდევ უფრო შორის მიდის და ლონდონის სახელსაც ოსურ სიტყვად თვლიან. ეს მათი საქმეა. დონი, არდონი, ფიაგდონი, ლონდონი. . . გაუშვი, რაც ქვეყანაზე ,,დონი“ და სიტყვების ბოლო ,,დონზე“ მთავრდება იყოს ოსური. ეს ჩვენ არ გვეხება. მითუმეტეს, რომ საქართველოში არ არის არც დონი, არც არდონი, არც გიზელდონი, და საერთოდ ასეთი დაბოლოების ტოპონიმი. და არც შეიძლება იყოს, რადგან ისინი გავრცელებულია მხოლოდ ოსების ,,ისტორიულ“ ტერიტორიაზე – ჩრდილოეთ ოსეთში. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ისტორიულად ოსებს საქართველოში არასდროს არ უცხოვრიათ [64, 54].

ძირითადად რუსეთში გამოცემულ წიგნებსა და პრესაში, მრავალ სისულელეებს წერენ ოსი სეპარა-ტისტები. ახლა უკვე მათ განაცხადეს პრეტენზია დიდი ქართველი მხედართმთავრის გიორგი სააკაძის პიროვ-ნებაზე. იგი წარმოშობით ოსად მიიჩნიეს, იგივე ბედი ეწია ,,ვეფხისტყაოსნის“ ავტორსაც.

ამ მოვლენის შესახებ ილია ჭავჭავაძე წერდა: ,,ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდან აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ“ [65, 126].

ჩამოსახლებულმა ოსებმა შეფარვით სტალინი ოსად გამოაცხადეს და XX საუკუნის 30-იან წლებში

ცხინვალი შეცვალეს სტალინირით. ს ტ ა ლ ი ნ - ი რ - ი, ანუ სტალინის ოსეთი („ირ“ - ოსეთი). 1961 წლის 24 ნოემბერს ქალაქს დაუბრუნდა ნამდვილი სახელი ცხინვალი.

ოსი ერი თვითგამოირკვა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, ოსთა ისტორიული განსახლების ფარგლებში. და როგორი ცინიზმია შექმნა „ჩრდილოეთი ოსეთი“ რუსეთში, ხოლო „სამხრეთ ოსეთი“ – საქართველოში. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ბოლშევიკური ნების მანიპულაციებმა პრობლემა არაფრისაგან, ფიქციისაგან წარმოშვეს – შეიქმნა ილუზია იმის არსებობისა, რაც არასოდეს არსებობდა ისტორიულად და რასაც არ ჰქონდა პერსპექტივა არსებობისა მომავალში, არც ფაქტობრივად, არც თეორიულად. ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ არსებობა ამიტომაც იყო დამყარებული მხოლოდ ხიშტებზე, ძალადობაზე და ეროვნული ინტერესების პროფანაციაზე [51, 43-44].

საბჭოთა კავშირში ე.წ. „პერესტროიკის“ დაწყების შემდეგ ადგილზე ერთაშორისი ურთიერთობათა გამწვავების ძლიერი ფაქტორი გახდა „ცენტრის“ პოლიტიკა მოკავშირე რესპუბლიკებისადმი ავტონომიების დაპირისპირებისა, უკანასკნელთა, როგორც კავშირის სუბიექტებად ცნობის გზით. მცირერიცხოვან ერებზე ზრუნვის საბაბით, იმის გაუთვალისწინებლად, თუ რა რეალური საფუძველი არსებობდა საამისოდ ამა თუ იმ ავტონომიაში.

1990 წლის დასაწყისში შიდა ქართლში უკიდურესად დაიძაბა მდგომარეობა და კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. თავგასული ოსი ექსტრემისტები ქართველი მოსახლეობისადმი მიმართავდნენ ყველაზე საშინელ ზემოქმედებას (სიტყვიერი შეურაცხყოფა, გაუპატიურება, დაჭრა, კაცისკვლა, ბანდიტიზმი). ავტომატებითა და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული ოსები, ოსი ეროვნების მილიციელებთან ერთად ჯგუფებად დაეხეტებოდნენ ქართულ სოფლებში. იანვრის დასაწყისში კეხვი, ქურთა, ძარწემი და სხვა სოფლები თითქმის ალყაში იყო მოქცეული [66].

არჩევნებისათვის მზადების პერიოდში კიდევ უფრო გაძლიერდა სეპარატისტული მოძრაობა შიდა ქართლის ოსურ მოსახლეობაში. ,,ადამონ ნიხასის“ ექსტრემისტული ხელმძღვანელები, რუსი რეაქციონე-რებისაგან წაქეზებულნი, აძლიერებდნენ ანტიქართულ აგიტაციას და მოითხოვდნენ ოლქის რესპუბლიკად გარდაქმნას. მათ აშკარად მხარს უჭერდა საკავშირო პრესა და ტელევიზია, რომლებიც ოსებს ,,დაჩაგრულ მხარედ“ აცხადებდნენ [67, 474].

რაც შეეხება ექსტრემისტულ ორგანიზაცია ,,ადამონ ნიხასს“, ის ჯერ კიდევ 1979 წელს ჩამოყალიბდა არაფორმალური ჯგუფის სახით. მისი საქმიანობა განსაკუთრებით გააქტიურდა როკის გვირაბის გახსნის შემდეგ, 1986 წლის ზამთრიდან, როცა ჩრდილოეთ ოსეთთან ურთიერთობა გაადვილდა.

მაშინ კვლავ მომწიფდა ,,ორი ოსეთის“ გაერთიანების საკითხი. უკვე სიმპტომატური იყო, რომ თანდათან გაქრა ქართული წარწერები, განსაკუთრებით ჯავის რაიონში.

ოსი მოსახლეობის ინტელექტუალურ ბირთვს წარმოადგენდნენ პიროვნებები, რომელთაც ცნობიერება ჩამოუყალიბდათ რუსულ-ოსური ,,ბილინგვიზმის“ საფუძველზე. რამაც განაპირობა ოლქის ოსური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ორიენტაცია ჩრდილოეთ ოსეთზე, როგორც რუსული სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილზე.

1989 წლის 23 დეკემბერს ,,ადამონ ნიხასის“ ერთ-ერთმა ,,მოძღვარმა“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ ა ფ ი ჯ უ ს ო ი თ - მ ა, რომელიც მანამდე შენიღბულად მოქმედებდა, მოსკოვში, სახალხო დეპუტატთა სახალხო ყრილობაზე განაცხადა, რომ ,,თითქოს ,,სამხრეთ ოსეთში“, ქართველები ავიწროებდნენ ოსებს, თავად კი ძლივს გამოაღწია ცხინვალიდან, რაზეც მას თვით სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინიტრმა ვ. ბაკატინმა კატეგორიული პასუხი გასცა და მიანიშნა, რომ ოპერატიული მონაცემებით, იქ მსგავს შემთხვევებს ადგილი არ ჰქონდა“. ვ. ბაკატინმა გაახმოვანა, ის, რაც სინამდვილე იყო. 23 დეკემბრის შემდეგ, მოკლე ხანში ე.წ. ,,სამხრეთ ოსეთში“, სიტუაცია მნიშვნელოვნად დაიძაბა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ცხინვალის

რეგიონის ოს მეცნიერ მუშაკთა და მწერალთა უმრავლესობა ანტიქართული ორგანიზაცია ,,ადამონ ნიხასის“ წევრები იყვნენ [68, 220].

საბჭოთა კავშირის რღვევისა და საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენის ნანატრი ჟამის მოახლოებასთან ერთად ,,სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ კრემლიდან მართულმა სეპარატისტულმა ძალებმა ,,ხალხთა ძმურ ოჯახში“ დარჩენის მოტივით კვლავ უმუხთლეს საქართველოს. 1990 წლის 20 სექტემბერს ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს XX მოწვევის XIV სესიაზე მათ მიიღეს ანტიკონსტიტუციური დეკლარაცია ,,სამხრეთ ოსეთის აო“ - ს ე.წ. ,,სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად“ გარდაქმნის შესახებ, რომელიც 21 სექტემბერს ანულირებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მიერ. მაგრამ იმავე წლის 16 ოქტომბერს საოლქო საბჭოს XX მოწვევის XV სესიამ კვლავ დაადასტურა თავისი უკანონო გადაწყვეტილების უცვლელობა, აირჩია ,,რესპუბლიკის“ აღმასრულებელი კომიტეტი, მიიღო არჩევნების დროებითი დებულება და შექმნა ცენტრალური საარჩევნო კომისია, რის შედეგადაც ჩაატარა 1990 წლის 9 დეკემბერს ,,სამხერთ ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის“ არჩევნები, ხოლო, 11 დეკემბერს გამართა ,,უზენაესი საბჭოს“ სესია. იმავე დღეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო

კანონი სამხრეთ ოსეთის თვითმარქვია წარმონაქმნის გაუქმების შესახებ, რასაც მოყვა სისხლიანი ანტი-ქართული ექსცესები ცხინვალში (1990 წლის 12 დეკემბერი) [69, 15].

ამის საპასუხოდ საბჭოთა კავშირის პრეზი-დენტმა მიხეილ გორბაჩოვმა 1991 წლის 7 იანვარს გამოსცა ბრძანება ,,სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ, რითაც წაახალისა ოსი სეპარატისტები. ამ უკანასკნელთ მხარს უჭერდა ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული საბჭოთა ჯარების ნაწილები [70, 216].

ასეთ დაძაბულ ვითარებაში 1991 წლის 23 მარტს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, დაბა ყაზბეგში, ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს რესპუბ-ლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია და რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბორის ელცინი, რომელსაც იმ დროს დაპირისპირება ჰქონდა გორბაჩოვთან. ხელმო-წერილი იქნა ,,შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმი“.

ეს ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი 8 მუხლისაგან შედგება. იმ ხანად საქართველოსათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორ მომენტს: 1) ,,შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმში“ ორჯერ (მესამე და მეოთხე მუხლებში) იხსენიება არა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, არამედ ,,ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“. ეს კი

იმას ნიშნავდა, რომ ბორის ელცინი კანონიერად მიიჩნევდა საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებას და ამავე დროს არ ცნობდა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის ბრძანებას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ. 2) ,,შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმის“ მეოთხე მუხლი საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს წინაშე აყენებდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის საკითხს. თუკი ქართველთა მოთხოვნა დაკმაყოფილდებოდა, ოსი სეპარატისტები მოკავშირისა და მფარველის გარეშე დარჩებოდნენ.

მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ მხარეები შეთანხმდნენ საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების დადების თაობაზე, რომლის პროექტი 1991 წლის აპრილის განმავლობაში უნდა მომზადებულიყო (მუხლი პირველი).

1991 წლის 23 მარტს დაბა ყაზბეგში ხელმოწერილი საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოების თავმჯდომარეთა ,,შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმი“ საქართველოს ეროვნული ხელისუფლების, ქართული დიპლომატიის უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენდა [71, 87-88]. მაგრამ ე. შევარდნაძისაგან განსხვავებით, როგორც ჩანს ზვიად გამსახურდიას დაავიწყდა უინსტონ ჩერჩილის სი-

ტყვების ჭეშმარიტება: ,,რუსეთთან დადებული ხელ-შეკრულების ფასი არ აღემატება იმ ქაღალდის ფასს, რომელზეც იგია დაბეჭდილი“ [72, 63].

სწორედ ამის შემდეგ, მოსკოვმა გააქტიურა სეპარატეისტების მხარდაჭერა აფხაზეთსა და შიდა ქართლში. რუსეთი აშკარად მხარს უჭერდა ზვიად გამსახურდიას ოპოზიციასაც. პრეზიდენტის ხელისუფ-ლების დამხობა და ედუარდ შევარდნაძის ხელისუფ-ლებაში მოსვლა რუსეთის გამარჯვების მაუწყებელი იყო.

საქართველოს მეორე პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ დიდი პოლიტიკის სცენაზე სამი როლი ითამაშა ერთნაირი ღიმილით, რომელიც ბევრ პოლიტიკოსს შეშურდებოდა, მაგრამ სხვადასხვა ნიღბით. პირველი როლი კომუნისტურ საქართველოში შეასრულა, მეორე სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი იყო, მას ეკისრებოდა მნიშვნელოვანი როლი ახალი მსოფლიოს ჩამოყალიბებაში და მისი ეს როლი შედგა.

მისი მესამე როლი საქართველოს პრეზიდენტის რანგში უნდა შემდგარიყო. მას ეკისრებოდა წარ-მმართველი როლი ახალი საზოგადოებრივი სტრუქ-ტურების ჩამოყალიბებაში. ეს როლი სამწუხაროდ, ვერ შედგა და არც შეიძლებოდა შემდგარიყო, რადგან არ არსებობდა გარდამავალ პერიოდში პროცესების მართვის სწორი თეორია, სწორი სტრატეგია და

ტაქტიკა. შევარდნაძის ხელისუფლებას არ გაუმჟღავ-ნებია პოლიტიკური ნება არც თუნდაც გარედან ნაკარნახევი სტრატეგიის კეთილსინდისიერი განხორ-ციელების საქმეში. იგი ბოლომდე დარჩა საგარეო საქმეთა მინისტრად და დეფორმირებული სტრუქ-ტურის ერთ-ერთი შემოქმედი მისივე მძევალი გახდა. [72, 11].

მოსკოვს ძალიან აღიზიანებდა შევარდნაძე. კრემლში უყვარდათ ლაპარაკი, რომ ის პირადად იყო დამნაშავე საბჭოთა კავშირის ნგრევაში, რომ მან პირადად გააფორმა რუსეთისათვის უკიდურესად არახელსაყრელი შეთანხმებები, რადგან მას თავის სამშობლოდ არ მიაჩნდა და იმპერიის უსწრაფეს ნგრევას უწყობდა ხელს.

90-იან წლებში, შევარდნაძის მთელი პოლიტიკა მოსკოვში ანტირუსულად ითვლებოდა. მაგალითად, იგი იყო ერთ-ერთი მთავარი მომხრე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისა, პირველი მილსადენისა, რომლითაც ნავთობს კასპიისპირეთიდან გადაზიდავდა რუსეთზე გაუვლელად.

პუტინსა და შევარდნაძეს საშინელი ურთიერ-თობა ჰქონდათ: შევარდნაძეს ადანაშაულებდნენ ჩეჩენი ტერორისტების მხარდაჭერაში. რუსულმა სამხედრო თვითმფრინავებმა არაერთხელ დაბომბეს პანკისის ხეობა საქართველოს ჩრდილოეთით, სადაც ჩეჩენი ბოევიკების რაზმები იმალებოდა. შევარდნაძის დროს

საქართველო პირველი ქვეყანა იყო, რომლის წინა-აღმდეგ პუტინმა სანქციები დააწესა. ქართველე-ბისთვის შემოიღეს რუსეთში შესვლის სავიზო რეჟიმი, დსთ-ის ყველა სხვა ქვეყნის მოქალაქეებს კი რუსეთში შესვლა უვიზოდ შეეძლოთ [73, 165-166].

მოსკოვი, ცხადია, ედუარდ შევარდნაძეს არ ენდობოდა. არ ენდობოდა მას შემდეგაც კი, რაც ე. შევარდნაძემ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწი-ფოთა თანამეგობრობაში გაერთიანება მოახერხა (1993წ.).

საქართველოს მოსალოდნელი პროდასავლური ორიენტაციის თავიდან აცილების მიზნით, რუსეთმა აფსუა და ოს სეპარატისტებს საქართველოს ტერიტო-რიული მთლიანობის დარღვევის საშუალება მისცა – აფხაზეთი და შიდა ქართლის ნაწილი (ცხინვალის რეგიონი) საქართველოს იურისდიქციიდან გამოვიდა [71, 11].

მოვლენათა კვალდაკვალ

1992 წლის 25 ივნისს ე. შევარდნაძე ქ. სოჭში შეხვდა რუსეთის პრეზიდენტს ბ. ელცინს და მათ მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება შიდა ქართლში პოლიტიკური ვითარების მოსაწესრიგებლად. ,,ეუთოს“ ეგიდით რეგიონში განხორციელდა სამშვიდობო ინიციატივა, რომელიც ვითარებას ოლქში სტაბილურს შექმნიდა. სამმხრივი სამშვიდობო ძალები (ქართველები, რუსები, ოსები) უზრუნველყოფდნენ მოსახლეობის უშიშროებას და რეგიონში სტაბილურობას. გადაწყვეტილებამ ცხინვალის პრობლემა მხოლოდ დააკონსერვა, ამ ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე უკვე ამ დროიდან საქართველოს იურისდიქცია ფაქტიურად შეჩერდა. თუმცა რუსეთი ,,აღიარებდა“ ამ ტერიტორიებს საქართველოს შემადგენელ ნაწილად.

დაკონსერვებული კონფლიქტი შედარებით უწყინარი ჩანდა. მას აკონტროლებდა ეუთოს დამკვირვებლების ჯგუფი, ევროკავშირი აქტიურად ცდილობდა კონფლიქტის ყოველმხრივ მოწესრიგებას. მოსახლეობის სიმშვიდეს იცავდნენ შერეული სამშვიდობო ძალები. გარკვეული პოლიტიკური შედეგები ჰქონდა ე. შევარდნაძის პერიოდულ შეხვედრებს ცხინვალის დეფაქტო ხელისუფლებასთან ლიკანში (1996წ.), ჯავაში (1998წ.) ასეთი შეხვედრები ზრდიდნენ ნდობის ფაქტორს, მაგრამ ვერ ხერხდებოდა კონფლიქტის

ყოველმხრივი დარეგულირება, რეგიონის პოლიტი-კური სტატუსის განსაზღვრა ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში.

1996 წლის 16 მაისს მოსკოვში ხელი მოეწერა მემორანდუმს ქართულ და ოსურ მხარეებს შორის უშიშროების უზრუნველყოფისა ურთიერთნდობის პრინციპების შესახებ. გარკვეულ იმედებს წარმოშობდა ჩრდილოეთ ოსეთის – ალანიის პრეზიდენტის საშუა-მავლო საქმიანობა დაპირისპირებულ მხარეებს შორის ურთიერთგაგების მისაღწევად. ყველაფერმა ამან გარ-კვეული პოლიტიკური სტაბილიზაციისათვის პირო-ბები შექმნა, რიგითი მოქალაქის ცხოვრება შედარებით მშვიდი გახდა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ეროვნული ამოცანა, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ჭიანურდებოდა. რუ-სეთი სულ უფრო აშკარად ავლენდა თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხისადმი.

უკვე აშკარა გახდა, რომ საქართველოს ტერი-ტორიული მთლიანობის მიღწევისათვის უშუალოდ მიმდინარე ბრძოლა მხოლოდ მაშინ დასრულდებოდა წარმატებით, როცა ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა უნარიანად გამოიყენებდა თავისი საზღვარგარეთელი მეგობრების უამრავ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ დახმარებას და მოახერხებდა კანონიერი საშუალებებით

თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

ამ მიზნის მისაღწევად ქართულ დიპლომატიას რთული ამოცანების გადაწყვეტა უხდებოდა. პირველ რიგში საჭირო იყო რუსეთის ,,ორმაგი სტანდარტების“ პოლიტიკის ნეიტრალიზება [67, 480-481].

ე. შევარდნაძე პროდასავლურ და პრორუსულ ორიენტაციას შორის მუდმივად მერყეობდა, გადაჭრით არც ერთს არ ემხრობოდა. დროის მოგებას ცდილობდა, ვითარების უფრო ნათლად გარკვევას ელოდა. პრორუსულ და პროამერიკულ ორიენტაციას შორის თამაში ე. შევარდნაძისათვის ცუდად დამთავრდა – რუსეთისა და ამერიკის მხარდაჭერა ერთდროულად დაკარგა და პოლიტიკური კარიერაც დაასრულა.

2003 წლის ნოემბერში საქართველოში ხელისუფ-ლების ცვლილებით ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის ლავირების პოლიტიკა დასრულდა. საქართველომ არჩევანი პროამერიკულ ორიენტაციაზე შეაჩერა და ამ კურსის აქტიურად რეალიზებას შეუდგა. ეს, ცხადია, მიუღებელი აღმოჩნდა რუსეთისათვის [71, 11-12], რომელიც მანამდე ,,კატა-თაგვობანას“ გვეთა-მაშებოდა.

ამის შემდეგ, რუსეთის სამხედრო სპეციალის-ტებმა გააქტიურეს ოსი ბანდფორმირებების წვრთნა, რამაც მალე თავისი შედეგი გამოიღო. 2004 წელს სეპარატისტების მიერ იყო წარმოებული თავდასხმები დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრებ ქართულ

მოსახლეობაზე. როკის გვირაბი კი ხდება ერთადერთი არალეგალურად მოქმედი სახმელეთო-სატრანსპორტო დამაკავშირებელი ადგილი საქართველოსა და რუსეთს შორის, რომლის გაკონტროლება ვერ ხდება ქართველთა მიერ, იგი სასიცოცხლო არტერიაა ცხინვალის რეგიონში მოქმედ ოს სეპარატისტთათვის, საიდანაც მათთვის რეგულარულად მიედინებოდა იარაღი, საკვები პროდუქტები და სხვა ყველა ის მნიშვნელოვანი საშუალება, რომლითაც შეიძლება არსებობდეს სეპარატიზმი [60, 134].

სწორედ 2004 წლიდან მოყოლებული, რუსეთი ღიად თუ შეფარვით, აცხადებდა თავის სამხედრო და ეკონომიკურ ინტერესებს აფხაზეთზე და ,,სამხრეთ ოსეთზე". ამავე დროს დაიწყო ორმხრივი ურთიერთობის დამყარება კონფლიქტის რეგიონებთან, რითაც ამზადებდა სამართლებრივ საფუძვლებს საქართველოში შემავალი ამ ორივე ავტონომიის დამოუკიდებელ რესპუბლიკებად აღიარებისათვის. რუსეთის სახელისუფლო ელიტა ყოველნაირად ხელს უწყობდა აფხაზეთისა და ,,სამხრეთ ოსეთის" მხრიდან აგრესიული სეპარატიზმის წაქეზებას, წახალისებას. ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად (სამხედრო წვრთნების ჩათვლით) აიარაღებდა და ამზადებდა მათ ახალი ეთნოწმენდისათვის. ყველა საერთაშორისო ნორმების ეგულვებელყოფით, ხელოვნურად, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე აძლევდა აფხაზებსა და ოსებს

რუსეთის მოქალაქეობას, შემდგომში პოლიტიკური სპეკულაციის საწარმოებლად [74, 80-81].

სააკაშვილის ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება რუსეთმა მკვეთრად შეცვალა მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ მხარი დაუჭირა ,,ნარინჯისფერ რევოლუციას“ უკრაინაში [73, 169].

2005 წლის აპრილში პუტინი გამოვიდა ტრადიციული მიმართვით ფედერალური კრებისადმი – ეს სიტყვა სიმბოლური იყო. ყველაზე მკვეთრმა ფრაზამ, რომლის ციტირებაც მოახდინა მსოფლიოს ყველა საინფორმაციო საშუალებამ, მიმართვის დასაწყისშივე გაიჟღერა: ,,საბჭოთა კავშირის დაღუპვა გახდა საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა“ [73, 176].

2005 წლის 9 მაისს მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 60 წლისთავთან დაკავშირებით მოსკოვში ჩატარებულ ღონისძიებაზე მოწვეული იყო ნახევარ ასეულზე მეტი მოქმედი ყოფილი პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და კანცლერი, გაეროს გენერალური მდივანი და იუნესკოს დირექტორი. შეიკრიბა მთელი ,,რვიანი“ ტონი ბლერის გარდა. . .

ბუში ფეხზე დგებოდა ჰიმნის შესრულებისას, ცრემლებს იწმენდდა ვეტერანების დანახვისას, ამბობდა გულში ჩამწვდომ სიტყვებს რუსი ხალხის წვლილზე საერთო გამარჯვებაში. მოსკოვში ჩამოსვლამდე ბუშმა მოახერხა და ორი დღით ადრე რიგაში

ჩავიდა, თანაც ტელეინტერვიუში განაცხადა, რომ აპირებდა პუტინის წინაშე წამოეჭრა საკითხი, ბალტიის ქვეყნების ოკუპაცია ეღიარებინა. მოსკოვიდან კი, ისე, რომ კრემლში საზეიმო ვახშამიც კი გამოტოვა, თბილისში გაემგზავრა, სადაც მას ნამდვილად ისტორიული მიღება ელოდებოდა. საქართველოს დედაქალაქის მთავარ მოედანზე ბუშს შეხვდა 150 000 კაცი, რომლებიც ამერიკულ დროშებს აფრიალებდნენ – ასეთ მიღებას აშშ-ის პრეზიდენტი ერაყში უფრო ინატრებდა, მაგრამ მას ახდენა არ ეწერა. მოედანზე სიტყვით გამოსვლისას ,,ვარდების რევოლუციას“ მან დემოკრატიის ზეიმი, საქართველოს კი ,,თავისუფ-ლების შუქურა“ უწოდა პოსტსაბჭოთა სივრცესა და მთელ მსოფლიოში [73, 179-180].

როგორც ჩანს საქართველოში ამერიკის პრეზი-დენტის ვიზიტი საგანგებოდ მზადდებოდა. ბუშის ,,ბოინგი“ უპრობლემოდ დაჯდა თბილისის აერო-პორტში, ჯავშანმობილები კი აშშ-ის პრეზიდენტის ჩამოფრენამდე ორი თუ სამი დღით ადრე სტრა-ტეგიული სამხედრო-სატრანსპორტო ,,გელექსით“ ჩა-მოიყვანეს. მოსკოვის აეროპორტში მისული ბუშის ჯავშანმობილების სატრანსპორტო თვითმფრინავში სწრაფად ჩატვირთვას და მათ თბილისში დახვედრას უბრალოდ, ტექნიკურად ვერ მოასწრებდნენ. სავარაუ-დოა, რომ ეს სამი ჯავშნიანი ,,კადილაკი“, ისევე როგორც დაცვის მანქანები (მათ შორის ის დიდანტე-

ნებიანი ჯიპიც, რომელიც ბუშის ჯავშანლიმუზინს უკან მიჰყვებოდა და რადიომართვადი ბომბების შესაძლო ამოქმედების ასარიდებლად რადიოტალღების დიდ დიაპაზონს ახშობდა) გერმანიიდან, რამშტაინის სამხედრო ბაზიდან ჩამოიყვანეს.

პრეზიდენტისთვის ასევე ჩამოყვანილი იყო სწრაფი გადაადგილების კიდევ ერთი საშუალება უნ-60 ,,ბლექ ჰოუკის“ ტიპის შეჯავშნული შვეულმფრენიც. თუმცა, მან თბილისის თავზე მხოლოდ ერთხელ, ისიც ვიზიტამდე ორი დღით ადრე იფრინა, შემდეგ კი თბილისის აეროპორტში გამზადებული იდგა, მაგრამ მასთან ახლოს არავის უშვებდნენ.

ამ შეჯავშნულ ,,შავ ქორს“ შეეძლო პრეზიდენტ ბუშის თბილისის ნებისმიერი უბნიდან საჰაერო გზით თავლის დახამხამებაში გაყვანა.

აეროპორტში მორიგეობდა ქართული მხარის ორ-ორი შვეულმფრენი: მრავალმიზნობრივი მი-8 და საბრძოლო მი-24, ფრენით კი მხოლოდ ერთი მი-8 დაფრინავდა. ის აშშ-ის და საქართველოს პრეზიდენ-ტების კორტეჟს აეროპორტიდან დედაქალაქამდე (და პირიქით) მიაცილებდა. ამ თვითმფრინავში ამიერი-კელი სნაიპერიც იჯდა [75, 58-59].

ამერიკული სპეცსამსახურების წარმომადგენ-ლები (900-ზე მეტი კაცი) მეტისმეტად თავდაჯე-რებული იყვნენ. ტყუპებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. მსგავსებას ამძაფრებდა ერთნაირი მზის სათვალე და

კევის ღეჭვის მანერა. შავი სათვალე მალავდა მზერას, ხოლო კევის ღეჭვა – მუჭში ჩამალული რაციით ლაპარაკის ერთგვარი შენიღბვა იყო [75, 61].

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტსა და მის მეუღლეს ქართველები ჩვეული სტუმართმოყვარეობით დახვდნენ. შეიძლება ითქვას, რომ მასპინძლობით ასეთი აღფრთოვანებული ჯორჯ ბუში იმ მრავლისმნახველ ჟურნალისტებსაც არ ახსოვთ, რომლებიც ამერიკის პრეზიდენტს ყველგან ფეხდაფეხ დაჰყვებოდნენ.

ამის შემდეგ რუსეთი წინასწარ კარგად მოემზადა 2008 წლის ომისათვის საქართველოსთან. მიხეილ სააკაშვილის აზრით რუსეთი განსაკუთრებით გააქტიურდა, როდესაც ქართველმა ძალოვანებმა რუსეთის უშიშროების სამსახურის მთელი აგენტურული ქსელი აიყვანეს. ყოფილ პრეზიდენტს მიაჩნია, რომ პუტინმა ამის შემდეგ დაიწყო ომის გეგმის დეტალური დამუშავება [76, 32].

ომისადმი მზადება და ქართველებისადმი ზოოლოგიური ზიზღის მაგალითია 2006 წლის შემოდგომა, როდესაც უამრავი ქართველი გამოაძევეს რუსეთიდან, ქართული პროდუქტების შეტანაზე ემბარგო დაწესდა და საჰაერო მიმოსვლა დაიკეტა (მიზანი იყო ფართო – ქვეყნის ეკონომიკური გამოფიტვა, სოციალური ფონის დაძაბვა და ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით სახალხო მოძრაობის გაშლა);

იმავე ხანებში კრემლმა დაიწყო იგორ გიორგაძის დაჯგუფების დაფინანსება ქართულ პოლიტიკაში მოსაყვანად და ხელისუფლების დასამხობად. ყველაზე გრანდიოზულია, ამ მხრივ, 2007 წლის ნოემბრის აქციები, როდესაც მოხდა ყველა ოპოზიციური ძალის გამოყენება და მათი მეშვეობით მოსკოვის მიზნის განხორციელების მცდელობა. მიზეზად დასახელდა ისეთი პოპულისტური თემები, როგორიცაა ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაუცველობა და არჩევნების გაყალბება. ალბათ, მხოლოდ მცირეოდენმა მათგანმა აქციათა ორგანიზატორებს შორის იცოდა საქმის რეალური არსი, თუ ვის ემსახურებოდა ის ამ დემონსტრაციების გამართვით. ბევრი მათგანი, მათ შორის მოსახლეობაც, უბრალოდ, ბრმა იარაღი იყო რუსეთის ხელში [77, 71-72].

გაერო-ს სუსტმა პოზიციამაც გარკვეული როლი ითამაშა აგრესორის იმიჯზე. ბუნებრივია საერთა-შორისო თანამეგობრობისათვის რუსეთი ანგარიშგა-საწევი ძალაა და სამართლიანად ითვლება მსოფლიო დიდი პოლიტიკის ერთ-ერთ გრანდად. გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის სტატუსი და ,,ვეტოს“ უფლება გაუჭრელი კოზირია მის ხელში [78, 80].

გაერო ვერ შეელია მისი მანდატით ,,გაკეთილ-შობილებულ“ რუს ,,სამშვიდობო – ო კ უ პ ა ნ ტ ე ბ ს“. მეორე მხრივ ოფიციალური თბილისი იძულებული

ხდებოდა თვალი დაეხუჭა იმ ცინიკურ ფაქტებზე, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს ყველა რეზოლუცია რუს ,,სამშვიდობოთა“ როლის მაღალი შეფასებით იწყებოდა. ამიტომ იქცა ,,ქვათა ღაღადათ“ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გაეროს მისამართით გაკეთებული ემოციური და უჩვეულოდ კრიტიკული ცნობილი განცხადება, რომ გაეროსა და მისი გენერალური მდივნისათვის დ ა რ ფ უ რ ი ს ა და უ გ ა ნ დ ი ს მოვლენები უფრო აქტუალურია, ვიდრე საქართველოს მთლიანობა. იმ უბრალო მიზეზების გამო, რომ აქ თურმე დიდი რაოდენობის მსხვერპლი არ არის, ხოლო რამდენიმე ათეული ქართველის სიკვდილი გალის რაიონში და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის ფაქტები სტატისტიკურად მისაღები ყოფილა მსოფლიოს ნომერ პირველი საერთაშორისო ორგანიზაციის ჩინოვნიკებისათვის [78, 81].

რუსეთის მიერ აგრესიისათვის მზადების დაჩქარება და შემდეგ მისი განხორციელება გარკვეულმა პროცესებმა განაპირობა. კერძოდ, ომამდე კარგა ხნით ადრე რეალური გახდა საქართველოს ნატოში გაწევრიანების შესაძლებლობა. ეს კი ნიშნავდა ნატოს საზღვრების გადაწევას რუსეთისათვის ყველაზე საშიშ და ფეთქებად რეგიონებთან – ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან. ამავე დროს საქართველომ შეძლო სრული კონტროლი დაეწესებინა კოდორის ხეობაზე, რაც რუსეთისა და სეპარატისტული ხელისუფლები-

სათვის წარმოუდგენელი იყო. ასევე კონტროლი ხორციელდებოდა ,,სამხრეთ ოსეთის“ ქართულ სოფ-ლებში. ხელისუფლებამ შეძლო იქ შეზღუდული, მაგრამ მაინც პარალელური მმართველობის ჩამოყალი-ბება. ქართულ სოფლებში დაიწყო ოსებისათვის მიმზიდველი ინფრასტრუქტურის შექმნა. ოსებისა და ქართველების ინტეგრაციის ხარისხი ამაღლდა.

საქართველომ აფხაზეთსა და ,,სამხრეთ ოსეთს“ შესთავაზა შეუზღუდავი ავტონომიის ფორმა, რომელიც თითქმის არაფრით განსხვავდებოდა კონფედერაცი-ისაგან. ამასთან, მყარი, საკონსტიტუციო გარანტიებით და ეს შეთავაზება გაჟღერდა ყველა საერთაშორისო დონეზე, რამაც დიდ ინტერესთან ერთად საქართველოს სრული მხარდაჭერა მოუტანა.

აქვე უნდა ითქვას, რომ გარკვეული ძალისხმევის შედეგად ქართული ჯარი ანგარიშგასაწევ ძალად იქცა და მისი უპირატესობა აფხაზებისა და ოსების სამ-ხედრო ძალებთან შედარებით აშკარად გამოიკვეთა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რუსეთი თან-დათანობით კარგავდა გავლენას კონფლიქტურ რეგიო-ნებზე და მისი ფარული თუ გაცხადებული სამხედრო ზრახვები აფხაზეთსა და ,,სამხრეთ ოსეთში“ არარეა-ლური ხდებოდა. ამიტომ აგრესორმა უკვე ღიად და მოურიდებლად დააფიქსირა თავი კონფლიქტის მხა-რედ აფხაზეთთან და ,,სამხრეთ ოსეთთან“ ერთად და არა სამშვიდობო მისიის განმხორციელებელ ქვეყნად

[74, 80-81].

პარალელურად რუსეთმა ფართომასშტაბიანი ანტიქართული კამპანია გააჩაღა – ერთი კვირის განმავლობაში ქვეყნიდან გააძევეს ყველა შრომითი მიგრანტი - საქართველოს მოქალაქე; მათი ოპერა-ტიული აღმოჩენისთვის მილიციელები სკოლებში დადიოდნენ და ქართული გვარის მქონე მოსწავლეებს აღწერდნენ. ამავე დროს, შეწყდა საქართველოსთან ავიამიმოსვლა [73, 224].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ რ ი ჩ ა რ დ ჰ ო ლ ბ რ უ კ ი იყო პირველი უცხოელი პოლიტიკოსი, რომელმაც 2007 წელს გამოაქვეყნა სტატია ,,ვაშინგტონ პოსტში“ და იწინასწარმეტყველა რუსეთის თავდასხმა საქართველოზე [76, 365].

მიუხედავად ამერიკის მცდელობისა, გერმანიისა და საფრანგეთის ლიდერების მტკიცე პოზიციის გამო ბუქარესტის სამიტმა საქართველოს და უკრაინას ,,დროებით“ უარი უთხრა ნატოში გაწევრიანების გარანტიებზე.

სამიტის დასრულებისთანავე საქართველოს გარშემო ვითარება დაიძაბა. ამასთან, გაჩნდა მყარი შეგრძნება, რომ შესაძლოა დაწყებულიყო ომი აფხაზეთის გამო. საქართველო საზღვართან ჯარის კონცენტრაციას ზრდიდა, რუსეთი – თავის ,,მშვი-დობისმყოფელთა“ რაოდენობას. საქართველო აგზავ-ნიდა თავის უპილოტო საფრენ აპარატებს არაღია-

რებული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში. მათ აფეთქებდნენ. რუსეთმა შემოიღო საკონსულოების მუშაობის ახალი წესი აფხაზეთსა და ,,სამხრეთ ოსეთში“. საქართველომ ამას ანექსია უწოდა და მოითხოვდა კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოების ნატოს ძალებით შეცვლას [73, 241].

პარალელურად, რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთსა და ,,სამხრეთ ოსეთში“ დაიწყო პასპორტების გაცემა, რაც შემდეგ საქართველოს წინააღმდეგ ომის ერთ-ერთ საბაბად გამოიყენა [79, 116].

2008 წლის 16 აპრილს რუსეთის პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება 1996 წლის 19 ივნისის ხელშეკრულებიდან გამოსვლის შესახებ, რომელიც მასში გაერთიანებულ ქვეყნებს უწესებდა ეკონომიკური თუ პოლიტიკური სახის ურთიერთობების გაწყვეტას საქართველოს არაღიარებულ რეგიონებთან. ამის შემდეგ მჭიდრო კონტაქტი დამყარდა მოსკოვსა და არაღიარებულ აფხაზეთისა და ,,სამხრეთ ოსეთის“ ე.წ. რესპუბლიკებს შორის. ეს იყო თავისებური ,,კარტბლანში“ კრემლის მხრიდან, რამაც სეპარატისტულ რეგიონებს თბილისის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ უფრო აქტიური ქმედებისაკენ უბიძგა.

20 აპრილს რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა ჩამოაგდო ქართველთა უპილოტო საფრენი აპარატი, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტურ ზონას აკვირდებოდა. იმდენად, რამდენადაც რეგიონში რუსეთის

ფედერაციიდან შემოდიოდა იარაღი და ცოცხალი ძალა, თბილისი ამ ინფორმაციას საჭიროებდა (თავისი ტერიტორიების გაკონტროლება ხომ ყველა ნორმალური სახელმწიფოს სურვილი და მოთხოვნილებაა). მაგრამ რუსეთი, რა თქმა უნდა უარყოფდა რაიმე სახით ამ ჩამოგდებაში მონაწილეობას. ამის შემდეგ მოვლენები კიდევ უფრო ელვის სისწრაფით განვითარდა, ბუნებრივია, საქართველოს საზიანოდ.

31 მაისს რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ, საქართველოს მთავრობასთან შეუთანხმებლად, რკინიგზის აღდგენის მოტივით, აფხაზეთის ტერიტორიაზე სარკინიგზო ჯარები შეიყვანა. ამ ფაქტის შესახებ მოგვიანებით, უკვე აგვისტოს ცნობილი მოვლენების შემდეგ, მ ე თ ი უ ბ რ ა ი ზ ა, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი, განაცხადებს: ,,ჩვენ რუსული მხარე გვიხსნიდა, რომ სარკინიგზო ჯარები მხოლოდ რკინიგზას შეაკეთებდნენ. ახლა კი ვხედავთ, რომ ამ რკინიგზით ბოლო პერიოდში რუსეთმა დიდძალი შეიარაღება შემოიტანა კონფლიქტურ რეგიონებში“ [77, 62-63].

ამის შემდეგ სეპარატისტებისა და რუსების მიერ კონფლიქტის ორივე რეგიონში პერმანენტულად ხორციელდებოდა თავდასხმები ქართველ სამშვიდობოებსა და ქართულ სოფლებზე. ამჯერად, მხოლოდ ცხინვალის რეგიონის მოვლენებზე შევაჩერებთ ყურადღებას. მივყვეთ პროცესებს: 3 ივლისს დიდი და

პატარა ლიახვის ხეობის დამაკავშირებელ შემოვლით გზაზე ,,სამხრეთ ოსეთის“ თვით გამოცხადებული რესპუბლიკის შეიარაღებულმა ნაწილებმა ცეცხლი გაუხსენეს დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დიმიტრი სანაკოევის კორტეჟს. 6 ივლისს ოსმა სეპარატისტებმა ავტომატური ცეცხლი გაუხსნეს ქართულ სოფელ ნულთან მდებარე ქართული პოლიციის საგუშაგოს; პარალელურად, ნაღმტყორცნების საშუალებით, ცეცხლი გაიხსნა ქართული სოფლის კეხვის მიმართულებითაც. ქართულ მხარეს პროვოკაციაზე არ უპასუხია [77, 65].

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კრემლს სულ საათების მიხედვით ჰქონდა საქართველოს წინააღმდეგ გეგმა შემუშავებული. პარალელურად დაფიქსირდა 4 ქართველი სამხედროს გატაცება ცხინვალის რეგიონში. ცხინვალს ეუთო-ს დელეგაცია ესტუმრა, რომელსაც კოკოითის მთავრობამ უნდობლობა გამოუცხადა და ფორმატის შეცვლის მიუღებლობაზე დიდხანს ილაპარაკა. ამავე დროს რუსულმა თვითმფრინავებმა კვლავ დაარღვიეს საქართველოს საჰაერო სივრცე, რაც შემდეგ რუსულმა მხარემ იუარა.

ამავე დროს ინტენსიურად ამოქმედდა პროპაგანდისტული მანქანა. კერძოდ, 2008 წლის ივლისში რუსეთში დაიწყეს ფილმის გადაღება სახელწოდებით ,,სამხრეთ ოსეთზე საქართველოს მოულოდნელი

თავდასხმის შესახებ“. ფილმი უმოკლეს ვადაში გადაიღეს, რათა პროპაგანდისტული შეკვეთა დროულად შეესრულებინათ. ამიტომაცაა, მასში მრავალი სისულელე. მაგალითად, ფილმის გადაღებები აფხაზეთში მიმდინარეობდა, შესაბამისად, კადრში ხშირადაა პალმები, რომლებიც ე.წ. ,,სამხრეთ ოსეთში“ საერთოდ არ იზრდება, ხოლო ადგილობრივი მცხოვრებნი, რომლებიც მასობრივ სცენებში მიიწვიეს, თავისთავად ცხადია, აფხაზურად და არა ოსურად ლაპარაკობენ. მაგრამ რუსული პროპაგანდისტული კინო, განსაკუთრებით, ტელეარხების სერიალები, უკვე დიდი ხანია, ასეთ ,,წვრილმანებს“ არად დაგიდევდათ. მაგალითად, მსახიობები, რომლებიც ჩეჩენ ბანდიტებს განასახიერებენ, რატომღაც ოსურად გვესაუბრებიან [80, 42].

2008 წლის აგვისტოსა და საერთოდ, მომდევნო წლებშიც, საინფორმაციო ომი იმ პროპაგანდისტული კამპანიის ნაწილია, რომელსაც საქართველოს წინააღმდეგ რუსი პოლიტიკოსები 90-იანი წლების დასაწყისიდან ეწეოდნენ. მხოლოდ იმ გამონაკლისით, რომ პერიოდულად შეტევები მოგერიებულ იქნა, რადგან არასაკმარისად იყვნენ მომზადებულნი. სამხედრო სტრატეგიების ენაზე ამას სიტუაციის მოსინჯვა ეწოდება. გავიხსენოთ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ამოფრქვეული მითები თუნდაც ,,ქართული თვითმფრინავის შესახებ, რომელიც თავის

ტერიტორიას ბომბავდა“. ხოლო პილოტს ერქვა ,,ლეიტენანტი გიორგი რუსტელი“ (შეთხზული გვარი, რომელიც ქართველებს შორის საერთოდ არ არსებობს) გნებავთ უპრეცენდენტო კამპანია – ქართული ღვინისა და მინერალური წყლების დისკრედიტაციისთვის [80, 100].

2008 წლის აგვისტოს ომისთვის რუს პოლიტ-ტექნოლოგთა მიერ გათვალისწინებულ იქნა პროპა-განდის ზოგიერთი შეცდომა და მათ ამოცანად დაისახეს, ერთდროულად, სამხედრო მოქმედებებთან ერთად, დაეწყოთ ახალი საინფორმაციო შეტევა საქართველოს წინააღმდეგ, რათა შეუძლებელი გაე-ხადათ ნებისმიერი ობიექტური ინფორმაცია გაცხა-დებულიყო სამხედრო მოქმედებების დაწყებისა და მიმდინარეობის შესახებ.

ივლისის თვეში რუსეთის ჩრდილო-კავკასიურმა სამხედრო ოლქმა ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები დაიწყო სახელწოდებით ,,კავკაზ-2008“, რო-მელშიც მონაწილეობდა 8000 სამხედრო და 700 ერთეული ჯავშანტექნიკა. სასწავლო-საბრძოლო დავა-ლებების შესრულებისათვის ამოქმედებული იყო მოიე-რიშე, გამანადგურებელი, არმიისა და სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის 30-ზე მეტი თვითმფრინავი და ვერტმფრენი. ,,კავკაზ-2008“ ერთობლივი წვრთნის ფარგლებში ჩატარდა ორი საპოლკო ტაქტიკური წვრთნა და 20-მდე ტაქტიკური წვრთნა ბატალიონებისა

და ასეულების დონეზე, მათ შორის საბრძოლო სროლით.

რონალდ ასმუსი აღნიშნავს, რომ ეს იყო ფაქტობრივად, საქართველოზე თავდასხმის მოდელის წინასწარი გამოცდა. ჯარისკაცებს კიდევ დაურიგეს საინფორმაციო ფურცლები სახელწოდებით ,,ჯარის-კაცო, იცნობდე შენს სავარაუდო მტერს“. ტექსტში მტრად საქართველო სახელდებოდა [81, 23].

2 აგვისტოს სამხედრო წვრთნა ,,კავკაზ 2008“ დასრულდა, მაგრამ ამ წვრთნაში მონაწილე ზოგიერთი შენაერთი თავის დისლოკაციის ადგილს აღარ დაუბ-რუნდა. ცნობილია, რომ 5 აგვისტოსათვის 12 ათასამდე სამხედრო პირი თავის ჯავშანტექნიკასთან და არტი-ლერიასთან ერთად თავმოყრილი იყო როკის გვირაბის ჩრდილოეთით [82, 152]. ამავე დროს სოხუმი-ოჩამჩირის რკინიგზით რუსეთიდან შემოვიდა 9 ათასი სამხედრო და დიდძალი საბრძოლო ტექნიკა [82, 138]. კერძოდ, 200-მდე თვითმფრინავი და 40-მდე ვერტ-მფრენი. ასევე რამდენიმე ათასი მოხალისე ჩრდილო ოსეთიდან და ჩრდილო კავკასიის სხვა რეგიონებიდან. აფხაზ სეპარატისტთა მხრიდან 10 ათასამდე შეია-რაღებული ადამიანი. საქართველოს ტერიტორიულ წყლებში კი რუსეთის 13 სამხედრო ხომალდი ჩადგა რაკეტმზიდ ,,მოსკვას“ მეთაურობით [82, 168]. რუსეთი რომ წინასწარ იყო მომზადებული ომისათვის, ნათლად მეტყველებს შემდეგი ფაქტი: უკვე 2 აგვისტოს,

,,სამხრეთ ოსეთში“ ჩავიდნენ ნიკოლაი პანკოვი, რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე და ანატოლი ხრულიოვი – დაზვერვის შეფის მოადგილე და შეთავსებით 58-ე არმიის სარდალი. ისინი შეხვდნენ ,,სამხრეთ ოსეთის“ ხელმძღვანელობას და რუსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ძალების მეთაურს – როგორც ჩანს, ამ ნაწილებისათვის შემდგომი სა-მოქმედო გეგმის დასაზუსტებლად [81, 23-24]. სხვათა შორის 2-დან 6 აგვისტომდე ცხინვალში თითქმის 50 რუსი ჟურნალისტი ჩავიდა. რომლებიც წამყვან ტელე-არხებს, რადიოსადგურებსა და გაზეთებს წარმოად-გენდნენ – რაც თავის მხრივ, რიგით ამბად ასევე ვერა-ნაირად ვერ ჩაითვლებოდა [81, 31].

ცხინვალის რეგიონში ოსმა სეპარატისტებმა ერთი ქართველი აიყვანეს მძევლად. 21 ივლისს კოკოითმა უარი განაცხადა ევროკავშირის წინადა-დებაზე ბრიუსელში (ბელგია) ქართულ-ოსური კონ-ფლიქტის დარეგულირების შესახებ მოლაპარაკების გამართვის თაობაზე. უარის მიზეზი ოსურ მხარეს არ ელეოდა. კოკოითს, ჩოჩიევსა და მისთანებს ხან რეინტეგრაციის სამინისტროს დასახელება აღიზია-ნებდათ, ხან მოლაპარაკებაში ჩრდილოეთ ოსების ჩართვას მოითხოვდნენ. მოკლედ, როგორც ჩანს დირექტივა ჰქონდათ კრემლისაგან მიღებული, დროში გაეწელათ პროცესი ან ქართული მხარე წონასწორო-ბიდან გამოეყვანათ. კოკოითი ასევე უარს აცხადებდა

ჰელსინკში (ფინეთი) ქართულ მხარესთან მოლაპარა-კების გამართვაზე. სამაგიეროდ 29 ივნისს ოსმა სეპარატისტებმა ცეცხლი გახსნეს ქართული სოფლების, სვერისა და სარაბუკის მიმართულებით. მათ ასევე იერიში მიიტანეს სარაბუკის მაღლობზე მდებარე ქართული სამშვიდოებოების პოსტ საგუშაგოზე.

1 აგვისტოს ერედვი - ხეითის გზაზე აფეთქდა მანქანა, რის შედეგადაც ექვსი ქართველი პოლიციელი დაშავდა; ,,სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო ხელისუფლებამ დაადასტურა კონფლიქტის ზონაში საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობა. არსებული ვითარებიდან გამომდინარე ქართული დელეგაცია 2 აგვისტოს ,,სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების სარდალს მარატ კულახმეტოვს შეხვდა, რომლის დროსაც, ქართული სოფლების დაცხრილვაში რუსი სამშვიდობოების მონაწილეობაზე ქართველთა ეჭვი გამართლდა – სროლებში ჩართული იყო ჩრდილოეთ ოსეთის ბატალიონი, რომელიც, რაღა თქმა უნდა, ვერ გადმოკვეთდა საქართველოს სახელმწიფოს საზღვარს და ვერც ცეცხლს გახსნიდა რუსი სამშვიდობოების დაუხმარებლად. ამავე დღეებში დიმიტრი მედოევმა, ,,სამხრეთ ოსეთის“ სეპარატის-ტული ხელისუფლების წარმომადგენელმა, მოსკოვში ვიზიტისას განაცხადა, რომ სავარაუდოდ 1-2 აგვისტოს განმავლობაში ოსურმა მხარემ 29 ქართველი სამხედრო სიცოცხლეს გამოასალმა [77, 68-69].

4 აგვსიტოს კოკოითის რეჟიმმა დაიწყო ქალებისა და ბავშვების გახიზვნა ჩრდილოეთ ოსეთში ,,ქართველი აგრესორებისგან“ დასაცავად (ეს მაშინ, როდესაც ჯერ არანაირ სამხედრო ოპერაციას არ ჰქონდა ადგილი ქართველების მხრიდან, უბრალოდ, ამ აქტით ჩანს, რომ ოსები უკვე აპირებდნენ მოქმდების გააქტიურებას საბრძოლო კუთხით). თუმცა, ვლადიკავკაზის განცხადებით, ბავშვების გაგზავნა ჩრდილოეთ ოსეთში იყო იმ პროგრამის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებდა ,,სამხრეთ ოსეთის“ ბავშვების მასპინძლობას ზაფხულის არდადეგებზე ჩრდილოეთ ოსეთის კურორტებზე. სულ თვითგამოცხადებული რეგიონებიდან 534 ადამიანი (მათ შორის 390 ბავშვი) გაიგზავნა. 5 აგვისტოს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა როკის გვირაბით რეგიონში დიდძალი და უკანონო შეიარაღების შემოტანის აღსაკვეთად თბილისსა და მოსკოვს როკის ერთობლივი გაკონტროლებისკენ მოუწოდა; ,,სამხრეთ ოსეთიდან“ გრძელდებოდა ქალებისა და ბავშვების გაყვანა ვლადიკავკაზის მიმართულებით (819 ადამიანი, აქედან 548 ბავშვი).

გვიან ღამით ფრონის ხეობაში მდებარე ქართულ სოფელ ნულის მიმართულებით ოსმა სეპარატისტებმა ცეცხლი გახსნეს, აქ მდებარე პოლიციის განყოფილებას კი სამი ჭურვი ესროლეს, რომელთაგან ორი შენობას მოხვდა, მესამე კი ეზოში აფეთქდა. 6 აგვისტოს რამდენიმე ქართველი სამშვიდობო დაიჭრა ოსი

სეპარატისტების მხრიდან გახსნილი ცეცხლის შედეგად. სიტუაციაზე კონტროლის მიზნით ქართული ძალები შეეცადნენ სოფელ ნულის მახლობლად არსებული იმ სიმაღლის აღებას, რომელიც ოსურ სოფლებს გადაჰყურებდა. 7 აგვისტოს სროლები გძელდება, ძირითადად სამიზნე ქართული საგუშაგოებია. რამდენიმე ჭურვი ქართულ სოფელ ვანათშიც ჩავარდა. ინტენსიურად იცხრილება ერედვი – ფრისი სოფელ დმენისიდან და ზემო ფრისიდან. პარალელურად, სოფელ თლიაყანიდან და მცხეთის ჯვრიდან იბომბება სარაბუკის სიმაღლე, სადაც ქართველი სამშვიდობოების საგუშაგოა. სოფელ ფრისის დაბომბვამდე ცეცხლი გაიხსნა ქართული სოფლების ნულისა და ავნევის მიმართულებით. ყოველივე ამის შემდეგ, დღის მეორე ნახევარში, კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის მიზნით, ქართულმა მხარემ საპასუხო ცეცხლი გახსნა. ოსურმა ბანდფორმირებებმა უკან დახევა დაიწყეს. ამის შემდეგ თბილისმა ცეცხლის შეწყვეტის მორატორიუმი გამოაცხადა და ოსურ მხარეს ჰუმანიტარული კორიდორის გაკეთება შესთავაზა. სეპარატისტების დაცვის მოტივით კი, როკის მისადგომებთან, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს დიდი რაოდენობის მძიმე ტექნიკა და ცოცხალი ძალა უკვე მომზადებული იყო. ისინი სწორედ მოვლენების ამ სცენარით განვითარებას ელოდნენ. მათ შემოსვლას კი უკვე ცნობილი შედეგები

მოჰყვა. . . [77, 69-70].

კბილებამდე შეიარაღებულმა რუსებმა მხოლოდ მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებზე გაიმარჯვეს საერთაშორისო კონვენციით სასტიკად აკრძალული ისეთი არაჰუმანური იარაღით, როგორიცაა ტანკსაწინააღმდეგო კასეტური ჭურვები და მხტუნავი ნაღმები, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება ამოქმედდეს, რაც დიდ საფრთხეს უქმნის მშვიდობიან მოსახლეობას. ქართულ დასახლებულ პუნქტებს რუსების შემოტევებისას არავინ იცავდა, რადგან ისედაც მცირერიცხოვანი ქართველებისათვის ერთი ადამიანის დაკარგვაც კი ერის ტრაგედიაა, რუსეთისათვის კი, სადაც საკუთარი თუ სხვა ქვეყნის მოქალაქის სიცოცხლეს არასოდეს ედო ფასი, თუნდაც მილიონობით დაღუპული ადამიანის სიკვდილი მხოლოდ სტატისტიკაა და სხვა არაფერი. თანაც, თბილისისაკენ დაძრული ურიცხვი მტრის შესახვედრად მიზანშეწონილად ჩაითვალა დედაქალაქში მცხეთის მხრიდან შემომავალი ერთადერთი გზის ბლოკირება, ვიდრე გაშლილ სივრცეში ბრძოლა. სხვა შემოსასვლელი გზებით აგრესორი ვერ ისარგებლებდა და დიდ დროს დაკარგავდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქ გორის და ქართლის სხვა დასახლებული პუნქტების აღებისას რუსებს და მათ შემოყოლილ ჩრდილოკავკასიელ ბანდიტებს არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ, ვანდალიზმსა და ნგრევაში გაწაფულმა რუსმა

სამხედროებმა თითქმის მთლიანად დაანგრიეს ქალაქი გორი (ალბათ ვერასოდეს წარმოიდგენდა რუსეთის სახელმწიფოს დამაარსებელი იოსებ სტალინი, რომ როდესმე რუსები მის მშობლიურ ქალაქს დაბომბავდნენ). მათ მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში რუსებმა ძირფესვიანად მოთხარეს სატელეფონო ბოძები, ჩაძირეს კატარღები, გადაწვეს სამთავრობო დაწესებულებათა შენობები, მოშალეს მთელი რიგი ინფრასტრუქტურებისა, მათ შორის აბსოლუტურად არასტრატეგიული სამოქალაქო ობიექტები, ააფეთქეს რკინიგზის ხიდები, რითაც ფაქტიურად გაანადგურეს კავშირი შავი ზღვის პორტებსა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის. რუსული ვერტმფრენები სვავებივით დასტრიალებდნენ შიდა ქართლის, ბორჯომისა და წაღვერის მიდამოებს და ცეცხლს უკიდებდნენ აქაურ უნიკალურ ნაძვისხეებს. მაგრამ, რუს ვანდალებს ღმერთიც განუდგა და ამ დროს მთელი ქართლის ტერიტორიაზე წვიმა დაიწყო და ამ მიზეზით მხოლოდ ნაწილობრივ გადარჩა სამკურნალო თვისებებით გამორჩეული ტყეების დიდი მასივი [83, 186-187].

რუსებს სურდათ ერთ დღეში მოეთავებინათ ხელი საქართველოსათვის. მათი ტანკები ცხინვალიდან ერთ საათში ჩავიდოდნენ თბილისში, ზუგდიდიდან კი ისინი ორ საათში დაიკავებდნენ დასავლეთ საქართველოს, რომლის შემდეგ შეცვლიდნენ საქა-

რთველოს ხელისუფლებას. მაგრამ, ცხინვალთან შეტაკებამ ზუგდიდის მხრიდან რუსების შემოტევაც შეაყოვნა, ამასობაში კი რუსების აგრესია მთელ მსოფლიოში გახმაურდა, რამაც გვიხსნა კიდეც და რუსებმა ვეღარ მოახერხეს მთელი საქართველოს სწრაფი ოკუპაცია. მოგვიანებით რუსებმა აღიარეს, რომ მათ თორმეტჯერ ვერ შეაფასეს ქართველთა სამხედრო ძალები, რაც ფაქტიურად ამ ომის 12 დღით გადავადებას ნიშნავდა. სწორედ ამან მოგვცა საშუალება მიგვეწვდინა ხმა მსოფლიოსთვის და თავი გვეხსნა დაუნდობელი მტრის კლანჭებისგან.

8 აგვისტოს ცხინვალთან მისული რუსული ელიტური ნაწილები, მათ შორის სადესანტო ჯარების სპეცრაზმი, თითქმის ორი დღე უშედეგოდ ცდილობდა ქართველების ცხინვალიდან გაძევებას, თუმცა არც არტილერია აკლდათ, არც ტანკები და არც სამხედრო ავიაცია. დაიჭრა და სიკვდილს სასწაულად გადაურჩა თვით 58-ე არმიის სარდალი არმიის გენერალი ხრულიოვი, რომელიც მოწინავე პოზიციაზე იმყოფებოდა. ამ დროს კი საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული იყო მტრის 20-ათასი ჯარისკაცი და უამრავი საბრძოლო ტექნიკა. უკან დახევის ბრძანებით საქართველოს ხელმძღვანელობამ გადაარჩინა უამრავი ქართველი ჯარისკაცის სიცოცხლე, და შეინარჩუნა რეგულარული არმია, რომელსაც რუსეთის ელიტური ქვედანაყოფების ელვისებური დამარცხებით კიდევ

უფრო აუმაღლდა ხალხში ავტორიტრტი და ნდობის ვოტუმი.

რაც შეეხება რუსებს, მათ ისიც ეგონათ, რომ ხელისუფლებას მწვავედ დაპირისპირებული ქართული ოპოზიცია დემარშს მოახდენდა საქართველოს არ-ჩეული პრეზიდენტის წინააღმდეგ და თავად მოით-ხოვდა სააკაშვილის გადადგომას. მაგრამ აქაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ რუსებს – ასე ერთ მუშტად და ერთად მდგარი საქართველო ჩვენ დიდი ხანია აღარ გვიხილავს. ოპოზიციამ კი მტკიცედ განაცხადა, რომ საქართველოში ხელისუფლების შეცვლა მხოლოდ ქართველ ხალხს შეუძლია და არა ვიღაც გადამთიელ მოძალადესო.

აქვე, შედარებისთვის გავიხსენოთ კენედების ტრაგიკული ბედის მქონე ოჯახთან დაკავშირებული ერთი საინტერესო ეპიზოდი. ძმები კენედების მამასთან მისი ოჯახის ერთ-ერთი წევრი მივიდა და უთხრა, შენი შვილები ჩხუბობენ და დაუნდობლად ცემენ ერთმა-ნეთსო.

– ეგ არ არის ტრაგედია, – მიუგო უფროსმა კენედიმ, – საშინელება ის იქნება, ერთი მათგანი ვინმეს რომ ეჩხუბებოდეს და ორი ძმა არ მიეხმაროს, ან იმ სხვა ვიღაცის მხარე დაიჭიროსო.

რუსებსაც ასე დაემართათ. იმის იმედად იყვნენ, რომ ქართველები ერთმანეთს დავერეოდით და შემდეგ უმტკივნეულოდ შეცვლიდნენ ხელისუფლებას, მაგრამ

გაწბილდნენ [83, 193-194].

მოსკოვმა 7-დან 12 აგვისტომდე დაახლოებით 40 ათასი ჯარისკაცი გადაისროლა საქართველოში; მათგან 20 ათასი როკის გვირაბის გავლით შევიდა ,,სამხრეთ ოსეთში“, და დამატებით იმდენივე შეიყვანეს აფხაზეთშიც. ამ რეგიონებში განლაგებული რუსების საერთო სამხედრო ძალა სამჯერ აღემატებოდა საქართველოს არმიას. მისი რაოდენობა და შესაძლებლობები გაცილებით ჭარბობდა იმას, რაც საფრთხეში ჩაცვენილი რუსი სამშვდობოების დაცვასა თუ როდაილენდისოდენა სეპარატისტული პროვინციის დამშვიდებას ესაჭიროებოდა [81, 183]. გენერალური შტაბის უფროსი ნიკოლაი მაკაროვი უკვე ომის შემდეგ ღიად აცხადებდა, როგორ აგროვებდა თავდაცვის სამინისტრო მთელ რუსეთში სხვადასხვა შენაერთებიდან მაღალი ჩინის ოფიცრებს საქართველოს წინააღმდეგ ომში გასაგზავნად [81, 184].

ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქ ვლადიკავკაზში პრემიერ-მინისტრი პუტინი ჩავიდა და პირადად აიღო ხელში ოპერაციის ხელმძღვანელობა. როგორც ამბობენ, გაცოფდა, როცა შეიტყო, თავდაპირველად როგორ გაუჭირდათ რუსებს ცხინვალის აღება, როგორ განადგურდა როკის გვირაბიდან გამოსული რუსული ტანკები და სხვა აღჭურვილობა, განსაკუთრებით კი 9 აგვისტოს დილით, 58-ე არმიის მეთაურ გენერალ ანატოლი ხრულიოვზე განხორციელებულმა თავდა-

სხმამ და მისმა დაჭრამ გაამწარა: ქართული ძალები ხრულიოვის კოლონას ჩაუსაფრდნენ, ცეცხლი გაუხსნეს, მძიმედ დაჭრეს გენერალი, მწყობრიდან გამოიყვანეს რამდენიმე ჯავშანმანქანა და არაერთი ოფიცერი და ჯარისკაცი გამოასალმეს სიცოცხლეს. კოლონაში მყოფმა ერთმა ჟურნალისტმა ის აღწერა, გვამებით გარშემორტყმული გენერალი როგორ ფხოჭნის თითებით მიწას და ღრიალებს – თითქმის მთელი ბატალიონი გამიწყვიტესო. . . ცხადია, ასეთი ხატის შექმნა კრემლს დიდად არ ეამებოდა.

ქართველი მაღალჩინოსნები დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ პუტინის ჩასვლამ კიდევ უფრო აგრესიული გახადა რუსეთის სამხედრო კამპანია. მათი განცხადებით რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ოპერაციაში წამყვანი როლი 58-ე არმიის სანაცვლოდ ფსკოვის 76-ე სადესანტო დივიზიას დააკისრა. ბრძანება გასცა საომარი ქმედებებისაგან ჩამოეშორებინათ ის გასამხედროებული ნაწილები, რომლებიც მშვენივრად ახორციელებდნენ ადგილობრივ მცხოვრებთა ტერორს, თუმცა ვერ უზრუნველყოფდნენ პუტინისათვის სასურველ სამხედრო წარმატებას და რუსეთის არმიის სხვა ელიტური ნაწილების მობილიზაცია მოითხოვა. მან ასევე ბრძანა საქართველოს წინააღმდეგ საჰაერო კამპანიის გაძლიერებაც. რუსეთის თვითმფრინავებმა 5 დღის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით 400-ზე მეტი საჰაერო იერიში მიიტანეს 36 სამიზნეზე, ხოლო მარტო

9 აგვისტოს 120 გაფრენა განხორციელდა. ზოგიერთი სამიზნე ცხინვალიდან 300 კილომეტრის მოშორებით მდებარეობდა – რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს რუ-სეთის რეალურ განზრახვებზე [81, 197-198].

10 აგვისტოს თბილისმა დაზვერვის ცნობა მიიღო, რომ მოსკოვი მეორე ფრონტის გახსნასაც აპირებდა აფხაზეთში – სადაც მართალია, ჯერ არა-ვითარი საბრძოლო მოქმედებები არ მიმდინარეობდა, მაგრამ დიდი სამხედრო ძალა იყო თავმოყრილი. მუდმივად მოდიოდა ინფორმაცია რუსეთის შავი ზღვის ფლოტის იმ საგანგებო დაჯგუფების გადა-ადგილების თაობაზეც, რომლებიც 58-ე არმიასთან ერთად, რეალურ საბრძოლო მოქმედებებთან უაღრესად მიახლოებულ წვრთნებში მონაწილეობდნენ („კავკაზ“-2008). რუსული საზღვაო დესანტი მართლაც მალე იქნა გადასხმული აფხაზეთის პორტ ოჩამჩირეში. ვოლ-გოგრადიდან ახლად გარემონტებული რკინიგზით აფხაზეთში 22-ე მოტომსროლელი დივიზიაც შევიდა, ხოლო მე-7 საჰაერო-სადესანტო დივიზიის ნაწილები კი სოხუმის აეროპორტში გადმოსხეს. რუსეთმა საბოლოო ჯამში, დაახლოებით 20 000 ჯარისკაცს მოუყარა თავი აფხაზეთში. 10 აგვისტოს რუსულმა ჯავშანკოლონამ ენგურის ხიდი გადმოიარა და დასავლეთ საქართვე-ლოში შემოვიდა. ქართველებმა უბრძოლველად დაი-ხიეს უკან. რუსებმა ზუგდიდი, ფოთის პორტი და ერთ-ერთი საკვანძო ქართული სამხედრო ბაზაც დაიკავეს

სენაკში.

ქართული ჯარი უბრალოდ, მეტისმეტად მცირე-რიცხოვანი იყო ორ ფრონტზე საბრძოლველად. სამხედრო ძალის უთანასწორობა კი ყოველ წუთს იზრდებოდა იმის მიხედვით, რუსეთის რა ძალები შემოდიოდა როკის გვირაბიდან და რა ნაწილები შეჰყავდათ აფხაზეთში – საჰაერო, საზღვაო თუ სახ-მელეთო გზით. საქართველოს ისედაც მცირერიცხოვან არმიას უკვე სრული განადგურება ემუქრებოდა. მოსკოვის მხრიდან საჰაერო შეტევების გაძლიერებამ ფაქტობრივად დათრგუნა საქართველოს საჰაერო თავდაცვის ისედაც შეზღუდული შესაძლებლობები. თუმცა კი ისრაელის წარმოების ,,რაფაელ სპაიდერის“ და უკრაინული სა-11 ტიპის სისტემებით ცოტახნის წინ აღჭურვილი ქვედანაყოფები თავიდან მაინც რიგიანად ართმევდნენ საქმეს თავს. თბილისის განცხადებით, ომის დროს ქართველებმა 17 რუსული საფრენი აპარატი ჩამოაგდეს, 14 ავიაგამანადგურებელი. 1 ტუპოლევ - 22 მვ სტრატეგიული ბომბდამშენი და ორიც – შვე-ულმფრენი. მაგრამ ახლა აირსაწინააღმდეგო სისტემა საქმეს ვეღარ აუდიოდა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჩინოსნები იხსენებდნენ, რომ 9 აგვისტოს დილით, ქართულ პოზიციებს ერთდროულად 28 რუსული მოიერიშე ავიაგამანადგურებელი უტევდა. მოსკოვი უკვე სს-21 ,,ტოჩკა“ და სს-26 ,,ისკანდერის“ რაკეტებსაც იყენებდა. 9 აგვისტოს საღამოს, საქა-

რთველოს თავდაცვის სამინისტროს პენტაგონიდან ტელეფონით აცნობეს, რომ მოსკოვიდან 6 რუსული სტრატეგიული ბომბდამშენი აფრინდა და საქა-
რთველოს მიმართულებით აიღო გეზი. ასევე გა-
აფრთხილეს, რომ ეს ბომბდამშენები დაახლოებით 22 წუთში უნდა გამოჩენილიყო საქართველოს საჰაერო სივრცეში. როცა ქართველებმა მონაცემები გადაა-
მოწმეს, მიხვდნენ, რომ სამიზნე – თბილისი იყო . . . [81, 198-199].

ახლა დავსვათ კითხვა: იქნებ საომარი ოპე-
რაციების დაწყებამდე რუსეთს მივეცით რაიმე საბაბი ან სამართლებრივი საფუძველი? რუსეთის არგუმენტები ამ თვალსაზრისით იმდენად უსუსური იყო (მაგა-
ლითად, საკუთარი მოქალაქეების დაცვა, ოსი ხალხის გენოციდი და სხვა), რომ მისი განხილვა საერთაშორისო ორგანიზაციების ან სახელმწიფოების მხრიდან სერიო-
ზულ დონეზეც არ მომხდარა.

საქართველოს მიმართ რუსეთის პირდაპირი საომარი ხასიათის აქცია გარდაუვალი იყო. უფრო მეტიც, რუსეთს არ აკმაყოფილებს სრული გავლენის მოპოვება აფხაზეთსა და ,,სამხრეთ ოსეთში“. მისი მთავარი მიზანია სრულმასშტაბიანი გავლენა მთელ კავკასიაში. ამის ნათელი დადასტურება იყო რუსეთის პრეზიდენტის მიერ 2008 წლის 5 ნოემბერს ფე-
დერალური კრებისადმი გაკეთებული მიმართვა: ,, . . . ჩვენ კავკასიიდან უკან არ დავიხევთ . . . არის

ღირებულებები, რომლისთვისაც უნდა იბრძოლო და გაიმარჯვო, რის გარეშეც ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ჩვენი ქვეყანა“. აქ ალბათ კომენტარი საჭირო აღარ არის [74, 81-82].

რატომ დაიწყო რუსეთმა სამხედრო აგრესია ,,სამხრეთ ოსეთიდან“ და არა აფხაზეთიდან? პროფ. ჯემალ გახოკიძის საფუძვლიანი ანალიზით, დაახლოებით 10 წლის განმავლობაში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბი და მთავარი სამხედრო დაზვერვის სამსახური რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებას უმტკიცებდა, რომ სამხედრო სტრატეგიული დანიშნულების თვალსაზრისით, საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის შემთხვევაში ,,სამხრეთ ოსეთი“ გაცილებით მნიშვნელოვანი იყო ვიდრე აფხაზეთი.

თითქმის შეძლეს კიდეც მათ ამის დამტკიცება ხელისუფლებისათვის. უმოკლეს დროში, უმოკლესი გზით, გორზე თავდასხმით საქართველოს აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილი გახლიჩეს შუაზე და ყველა შემაერთებელი არტერია გამოიყვანეს მწყობრიდან, რაც მთავარია, აქედან შეეძლოთ, ერთ საათში თავდასხმა განეხორიელებინათ თბილისზე, რაც საქართველოს მთლიანი ოკუპაციისა და ხელისუფლების შეცვლისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

რაც შეეხება აგრეთვე ოპერაციის განხორციელებას აფხაზეთიდან, მარტო ამ მოცულობის სა-

მხედრო ტექნიკის თბილისზე გადაადგილებისათვის საჭირო დრო ჩაშლიდა მათ გეგმებს (აქ იგულისხმება საქართველოს სამხედრო შეიარაღებულ ძალებთან შეტაკებები და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან დროში მოსწრებული უდიდესი წინააღმდეგობა [74, 83].

კიდევ ერთხელ ავღნიშნავთ, რომ იურიდიულად ტერმინი ,,სამხრეთ ოსეთი“ დაკანონებული იქნა ცაკ-ის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წლის აპრილის დეკრეტით №2; რომლის თანახმად საქართველოს უძველესი პროვინცია ყოველგვარი ისტორიული და სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გამოცხადდა ,,სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქად“ [84, 248]. სწორედ აღნიშნული წლიდან ადგილი აქვს ხსენებული ტერმინების ფსევდოაპრობაციისა და ძირძველი ქართული ტოპონიმის ამოძირკვის კიდევ უფრო გამძაფრებულ პროცესებს. ამასთან, რუსმა და ქართველმა ბოლშევიკებმა იმითაც ისახელეს თავი, რომ მათ კნორინგ-პასკევიჩისაგან მემკვიდრეობით მიღებული ,,ოსეთი“/,,სამხრეთ ოსეთი“-ს გამოყენების ისედაც ვრცელი არეალი თითქმის ორჯერ გააფართოვეს უპირატესად ან მთლიანად ქართველებით დასახლებული დიდი და პატარა ლიახვის, ქსნის, ლეხურას, მეჯუდასა და ფრონეების ხეობების მთისწინა და ბარის რაიონების ხარჯზე და შუაგულ საქართველოში უგვანოდ გამოჩორკნილ ავტონომიურ ერთეულს

საოლქო ცენტრად ცხინვალი უფეშქაშეს [85, 203-204]. ცხინვალი, რომლის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა ადასტურებს, რომ ეს იყო საქართველოს ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტი ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე ეპოქაში.

სახელწოდება ,,ცხინვალი“ მომდინარეობს მცენარე ,,რცხილადან“. ძველ ქართულში ამ მცენარეს ეწოდება ,,ქრცხილა“, ამიტომ ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში ცხინვალი მოიხსენიება, როგორც ქრცხინვალი. 1344 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში ის მოიხსენიება ვაჭრებით დასახლებულ პუნქტად, რასაც ხელს უწყობდა მისი მდებარეობა. ცხინვალი, როგორც ქალაქი პირველად დაფიქსირებულია 1392 წლის მცხეთის სიგელში [64, 48].

ყოველმხრივ უსაფუძვლოა, რომ შიდა ქართლში (სამაჩაბლო, საფალავანდო, ქსნის საერისთავო) ოსებით დასახლებულ ტერიტორიას სამხრეთ ოსეთი დაარქვეს. საქართველოში არ შეიძლება არსებობდეს ოსეთი, ისევე, როგორც არ შეიძლება ოსეთში არსებობდეს საქართველო, რუსეთში – ჩინეთი და ა.შ. საქართველოში არსებობს ოსებით დასახლებული ქართული მიწები, კონკრეტულად, ოსებით დასახლებული შიდა ქართლის ტერიტორია, რომლისთვისაც სხვა ქვეყნის სახელწოდების მიკუთვნება დანაშაულია [86, 87].

ოსებმა მოიპოვეს ,,დამოუკიდებლობა“ საბოლო-

ოდ მისი დაკარგვის პერსპექტივით. უფრო მეტიც, ოს ხალხს ემუქრება, ისე როგორც აფხაზებს დემოგრა-ფიული კატასტროფა.

საქართველომ გარკვეულწილად შეძლო საინ-ფორმაციო ომის მოგება: აგრესორის მორალურ-პოლიტიკური დამარცხება და საერთაშორისო თანა-მეგობრობის აქტიურ მხარდაჭერას მიაღწია. ამასთან, ომით გამოწვეული მეტად არასახარბიელო შედეგების მიუხედავად, ქართული ჯარი მისი მომზადების, შეიარაღების, თუნდაც თავგანწირვის თვალსაზირისთ, ანგარიშგასაწევი ძალა გახდა და ამას თვითონ რუსი პოლიტიკოსები, სამხედროები და მედიაც ვერ მალავდა. სამომავლოდ ეს არც ისე უმნიშვნელო წანამძღვრებია [87, 57].

რუსეთის სახელმწიფომ 2008 წლის 7 აგვისტოს დაარღვია სუვერენული სახელმწიფოს – საზღვრები (სწორედ თვითონ რუსეთის მიერ 2008 წლის 7 აგვისტომდე აღიარებული საზღვრები) და ომის გამოუცხადებლად დაიწყო სამხედრო აგრესია საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი სუვერენიტეტის მთლიანი სრულყოფის მიზნით. საქართველო იბრძოდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის. ამიტომ, საქართველოს მხრიდან ომი, თავისი ხასიათით, უპირობოდ სამართლიანი იყო [87, 59, 60].

26 აგვისტოს პრეზიდენტმა მედვედევმა აფხაზე-

თისა და ,,სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა ცნო. ამ გადაწყვეტილების გასამართლებლად მან ისევ მოიშველია ყალბი ბრალდებები საქართველოს მიმართ, თითქოს მისი ხელისუფლება ამ მხარეში გენოციდის განსახორციელებლად ემზადებოდა. 27 აგვისტოს ,,ფაინენშელ თაიმზში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში, საკუთარი გადაწყვეტილებისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად, მედვედევი რეგიონის ისტორიას იშველიებდა, ხაზს უსვამდა იქ მცხოვრები ადამიანების სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ და როგორც აგვისტოს დამდეგის მოვლენების, ისე კოსოვოს მაგალითის მოშველიებაც არ დავიწყებია. 31 აგვისტოს მიცემულ ინტერვიუში კი მან კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა რუსეთის მიერ საქართველოში შეჭრის აუცილებლობის ,,გონივრულ სვლად“ მოსანათლავად და რუსული საგარეო პოლიტიკის 5 ძირეულ პრინციპს გაუსვა ხაზი. თუ პირველი სამი ახალს არაფერს გულისხმობდა, მეოთხეში რუსეთის მოქალაქეების ,,ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ადგილას“ დაცვაზე იყო ლაპარაკი [81, 231].

კოსოვო, მხოლოდ საბაბი იყო რუსეთისათვის. გავიხსენოთ საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის მაქოსებური ვიზიტები 12 აგვისტოს მოსკოვსა და თბილისში. მოლაპარაკებები შეთანხმებული იყო, თუმცა როდესაც საფრანგეთის პრეზიდენტი თვითმფრინავით ჰაერში იმყოფებოდა რუსეთის ტელეეკ-

რანებზე გამოჩნდა დიმიტრი მედვედევი და განაცხადა, რომ ,,მშვიდობისკენ იძულების“ ოპერაციამ მიზანს მიაღწია, ამიტომ იგი დასრულებულად ცხადდებაო. სარკოზი მოსკოვში ჩაფრინდა, რათა თავი იდიოტად ეგრძნო – მისი ვიზიტის მთავარი მიზანი უიმისოდ იყო მიღწეული. მაგრამ უარესი ჯერ კიდევ წინ იყო.

ის-ის იყო დაიწყო მოლაპარაკება პრეზიდენტ მედვედევთან, რომ 40 წუთის შემდეგ მათ ვლადიმერ პუტინი შეუერთდათ, რომელმაც სარკოზის განუცხადა, რომ განზრახული აქვს, ,,სააკაშვილი კვერცხებით ჩამოკიდოს“. მოგვიანებით სარკოზი ყვებოდა, რომ ამ მოლაპარაკების დროს პუტინი მიუახლოვდა მას, ჰალსტუხზე სწვდა და შეაჯანჯღარა, რათა მისთვის თავისი განზრახვის სერიოზულობა ეჩვენებინა. მოსკოვიდან სარკოზი თბილისში ჩამოფრინდა და ჩამოიტანა 6-პუნქტიანი შეთანხმებების ტექსტი, რომელიც მოსკოვში მედვედევსა და პუტინთან შეათანხმა . . . [73, 249].

დიპლომატიაც ჰიპოკრატეს ფიცის მთავარ პრინციპს უნდა იცავდეს: არ ავნო! პოლიტიკოსებიც და დიპლომატებიც, ექიმების მსგავსად, მუდამ უნდა აცნობიერებდნენ, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მათ ქმედებებს და რა ზიანი – მათ გადაწყვეტილებებს. ეს იმის გააზრებას ნიშნავს, რომ დიპლომატიურმა ქმედებებმა ერთ კონკრეტულ სივრცესა თუ რეგიონში, შეიძლება ძალზე ცუდად იჩინოს თავი სულ სხვაგან და

ამიტომაც ნებისმიერი პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ შესაძლო რისკების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს. უნებლიე შედეგების კანონზომიერება საერთაშორისო პოლიტიკაში ისევე მოქმედებს, როგორც ცხოვრების სხვა სფეროებში.

2008 წლის გაზაფხულზე კოსოვოს აღიარებით დასავლურმა დიპლომატიამ ეს პრინციპი არ დაიცვა და უნებლიედ, იმავე წლის ზაფხულში, საქართველოში ომის გაჩაღებას შეუწყო ხელი. დასავლეთი ისე უჭერდა მხარს კოსოვოს დამოუკიდებლობას, რომ არავითარ კოორდინირებულ მცდელობას არ ახორციელებდა ამ ნაბიჯის საქართველოს გაყინულ კონფლიქტებზე ,,გავლენის“ თავიდან ასაცილებლად. ომის ხელშემწყობ პირობად ისიც იქცა, როგორ მოქმედებდა დასავლეთი ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე, სადაც საქართველოსა და უკრაინისათვის მაპ-ის მიცემა-არმიცემის საკითხი იხილებოდა. ცხადია, არც ერთ შემთხვევაში, არც აშშ-ს და არც ევროპას, შეგნებულად საქართველოსთვის კვანტის დადების სურვილი არ ამოძრავებდა: უბრალოდ, მათი შეცდომა ის იყო, რომ სათანადოდ ვერ შეაფასეს და მზადაც არ აღმოჩნდნენ გაეთვალისწინებინათ, სათავისოდ როგორ გამოიყენებდა მოსკოვი ამ ვითარებას [81, 95].

დასავლეთის პოლიტიკოსები ფიქრობდნენ, რომ XX საუკუნის ბოლოს მათ ევროპული უსაფრთხოების ახალ წესრიგს ჩაუყარეს საფუძველი. ამ მხრივ პირველი

ნაბიჯი 1990 წელს მიღებული პ ა რ ი ზ ი ს ქ ა რ ტ ი ა იყო, რომელიც ჯერ კიდევ ჰელსინკში მიღებული ისტორიული დოკუმენტის პრინციპებს ეფუძნებოდა და ერთგვარ ,,უფლებათა დეკლარაციას“ წარმოადგენდა ,,ცივი ომის“ შემდგომი ევროპისათვის. ქარტია მიზნად ისახავდა იმგვარი ნორმები და პრინციპები ჩამოეყალიბებინა, რაც ,,ცივი ომის“ შემდგომი უსაფრთხოების წესრიგის ქვაკუთხედი გახდებოდა. უმთავრესი წესი ევროპაში საზღვრების ძალით შეცვლის ერთხელ და სამუდამოდ აღკვეცას მოითხოვდა; დანარჩენი განმსაზღვრელი დებულებები კი თანასწორი უსაფრთხოების, ალიანსში საკუთარი ნებით გაწევრიანების უფლებასა და, ასევე, პოლიტიკური ლექსიკონიდან ,,გავლენის სფეროს“ ცნების ამოღებას გულისხმობდა. ამ პრინციპებზე მოსკოვის თანხმობა იმის ნიშანი გახლდათ, რომ მასაც სურდა ერთიანი ევროპისა და ზოგადად დასავლეთის ნაწილად ქცეულიყო [81, 246-247], მაგრამ ეს ყველაფერი ილუზია აღმოჩნდა.

როდესაც ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმა და აშშ-მ 2008 წლის 17 თებერვალს კოსოვოს დამოუკიდებლობა სცნეს, ამით მათ სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენეს საქართველო. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, რომ რუსეთი ამ ფაქტს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისთვის გამოიყენებდა. ჯერ კიდევ 2006 წლის 4 ოქტომბერს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყოფილი

გენერალური მდივანი ჰ ა ვ ი ე რ ს ო ლ ა ნ ა ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის სხდომაზე აღნიშნავდა, რომ კოსოვომ შესაძლოა პრეცენდენტი შექმნას და უარყოფითი შედეგი მოუტანოს საქართველოს. ,,ჩვენ ხაფანგში ვექცევით. . . პრეზიდენტი სააკაშვილი ხაფანგშია მოქცეული. ყველა ჩვენგანი ორმაგი მექანიზმის მსხვერპლი ვხდებით, რომელმაც შესაძლოა კარგი შედეგები მოუტანოს ერთს, მაგრამ არა – მეორეს“.

დასავლეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებიდან ხუთი დღის შემდეგ პუტინი და სააკაშვილი ერთმანეთს დსთ-ს სამიტზე შეხვდნენ. პუტინმა სააკაშვილს უთხრა: არ მესმის, რატომ წამოიწყო ამერიკამ ევროპის ისლამიზაციის კამპანია. მას შემდეგ, რაც ალბანელებმა თავისას მიაღწიეს, მეტსაც მოინდომებენ და ახლა მაკედონიასაც მისდგებიან. ხომ გესმით, რომ კოსოვოს შემდეგ დასავლეთს უპასუხოდ ვერ დავტოვებთ, მართალია ვწუხვარ, მაგრამ თქვენც ამ პასუხის ნაწილად მოიაზრებითო.

სააკაშვილმა უპასუხა, რომ არ ესმოდა რა კავშირი ჰქონდა საქართველოში არსებულ ვითარებას კოსოვოსთან. მან ისიც თქვა, რომ თუ ჩრდილო კავკასიელები დღეს მხარს აფხაზებს და ოსებს უჭერენ, ეს იმიტომ, რომ თვითონაც დამოუკიდებლობა სურთ, ოღონდ რუსეთისგანო. პუტინმა მშვიდად მოუსმინა

სააკაშვილს, შემდეგ კი ასეთივე სიმშვიდით უპასუხა, რომ ჩრდილო კავკასიელების პრობლემა არ აღელ-ვებდა. მაგათ როგორმე მოვუვლითო – თქვა და ცერა თითის ყელში გამოსმით მიანიშნა, თუ როგორ გა-დაწყვეტდა ამ პრობლემას [87, 390-391].

არადა, ძნელია წარმოიდგინო უფრო დიდი უსამართლობა, ვიდრე კოსოვოს პრობლემის გაიგივებაა აფხაზეთთან და ე.წ. ,,სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიურ ოლქთან. კოსოვოში კონფლიქტის მოგვარება ხდებოდა გაეროს ეგიდით, საერთაშორისო სამართლის სტანდარ-ტების სრული დაცვით. დასავლეთი ყველაფერს აკე-თებდა იმისათვის, რომ რუსეთი ჩართული ყოფილიყო ამ პროცესში სრულყოფილ, თანასწორუფლებიან მონაწილედ. უზრუნველყოფილი იყო ლტოლვილების უსაფრთხო დაბრუნება კოსოვოში. მას შემდეგ, რაც კონფლიქტის მოგვარების ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, ჩატარდა რეფერენდუმი და ა.შ.

საქართველოში იყო სრულიად საპირისპირო ვითარება – დაწყებული იმით, რომ აფხაზეთში ეთნი-კური წმენდა ქართველების მიმართ განხორციელდა და არა აფხაზების (რასაც ეუთოც ადასტურებდა), დამთავ-რებული იმით, რომ აფხაზეთში რუსეთის ჯარები იდგნენ და არა გაეროს სამშვიდობოები. რუსეთი კი კონფლიქტებში მხარე იყო და არა ნეიტრალური არბიტრი. ექსპერტები სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ აფხაზეთში კოსოვოს მექანიზმის გამოყენება

აფხაზეთს მაშინვე დააბრუნებდა საქართველოს იურის-დიქციაში. მართლაც, ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, რა შედეგებს მოიტანდა რეფერენდუმი, რომელიც ჩატარდებოდა აფხაზეთში გაეროს ეგიდით იქ 250 ათასზე მეტი ქართველის უსაფრთხოდ დაბრუნების შემდეგ [82, 87-88]. რუსეთმა აფხაზეთისა და ,,სამხრეთ ოსეთის“ აღიარების შემდეგ ,,თანამოაზრეების“ ძებნა დაიწყო. პირველი ცდები ლათინური ამერიკის ქვეყნებზე განხორციელდა. იქ, თავისი წარმომად-გენელი ს ე ჩ ი ნ ი მიავლინა, რომელმაც დავალების შესრულება კუბიდან დაიწყო. მაგრამ, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, კუბასთან ურთიერთობები გართულებული იყო. ისინი გაბუ-ტული იყვნენ, მიაჩნდათ, რომ რუსეთმა მათ უღალატა. სეჩინს კი ძველი მეგობრობის აღდგენა, კავშირების დამყარება სურდა. მათ შორის, იმისთვისაც, რომ ამერიკელებისთვის ძველებურად მოეღერებინათ მუშ-ტი.

მძლავრმა რუსულმა დესანტმა 2008 წლის აგვისტოში ვერაფერს მიაღწია. ფიდელ კასტრომ რუსეთის დელეგაცია არც კი მიიღო. მაგრამ სეჩინი დაჟინებული იყო, განაგრძობდა ლათინურ ამერიკაში ფრენას ლამის ყოველთვიურად. მეორედ ჩასვლისას მან მოიარა კუბა, ვენესუელა და ნიკარაგუა. ყველას სთავაზობდა რუსულ იარაღსა და რუსეთის ნავთობ-მომპოვებელი კომპანიების მომსახურებას, პირველ

რიგში, რასაკვირველია, ,,როსნეფტის“, რომლის დირექ-ტორთა საბჭოს თავმჯდომარე თვითონ იყო.

შედეგად, მალე ნიკარაგუამ, შემდეგ კი ვენე-სუელამაც აღიარეს აფხაზეთისა და ,,სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ეს სეჩინის პირადი მიღწევა იყო, მან დაიყოლია დ ა ნ ი ე ლ ო რ ტ ე გ ა და უ გ ო ჩ ა ვ ე ს ი. ასეთი დავალება სეჩინისთვის არავის მიუცია – მან თვითონ მოიფიქრა, რომ ეს სვლა სწრაფად და-არწმუნებდა პუტინს ახალ თანამდებობაზე მის ეფექ-ტურობაში. არაღიარებული რესპუბლიკების აღიარება – სწრაფი და ეფექტიანი შედეგი იყო, ნავთობის შესახებ კონტრაქტების ხანგრძლივი და რთული ხელმოწე-რისგან განსხვავებით.

ჩავესთან სეჩინმა საერთო ენა გაცილებით სწრაფად გამონახა, ვიდრე ძმებ კასტროებთან: ვენე-სუელის პრეზიდენტი პირველივე შეხვედრაზე გადა-ეხვია რუსეთის მაღალი რანგის წარმომადგენელს და წამოიძახა: ,,ბოლოს და ბოლოს, ჩვენ უკვე მარტო არ ვართ ამიერიკულ იმპერიასთან ბრძოლაში! ახლა ჩვენთან უკვე რუსეთია!“ აფხაზეთისა და ,,სამხრეთ ოსეთის“ აღიარებაში რუსეთმა გულუხვად გადაიხადა: ვენესუელას მისცა მილიარდ დოლარიანი კრედიტი იარაღის შესაძენად. აგრეთვე შექმნა ნავთობის კონსორციუმი ვენესუელის ნავთობსაბადოების ერთობ-ლივად ათვისებისათვის [73, 277-278].

პარალელურად რუსებმა მუშაობა დაიწყეს

წყნარი ოკეანის ეგზოტიკურ კუნძულოვან სახელმწიფოებთან. მათ აღიარება მიიღეს ნაურისაგან (კუნძული 10 000-იანი მოსახლეობით). ქვეყანას, რომელსაც ,,არა აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს მთავრობის და სახელმწიფოთა მეთაურების კონფერენციებში“ [89, 179]. ამას მოჰყვა ვანუატუ, შემდეგ ტუვალუ-ს ჯუჯა სახელმწიფო 12 ათასი მცხოვრებით, რომელიც იძირება ოკეანის დონის ამაღლების გამო. გადმოცემით ლავროვმა ტუვალუს პრემიერ-მინისტრს ,,ჩემოდნით გადასცა 2 მილიონი დოლარი ,,ქეშად“.

აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით კურიოზებსაც ქონდა ადგილი. მიხეილ სააკაშვილი იგონებს, რომ ტუვალუს ,,პრემიერ-მინისტრი გაეროს დერეფანში დავიჭირეთ და ის ცალკე ოთახში გავიყვანეთ. ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე დაიხარა მისკენ და ჰკითხა: სერ, მართალია, რომ სოხუმში ჩაფრინდით? ის პასუხობს: დიახ-დიახ, მართალია და თან იღიმება. ,,მართალია, რომ მათი დამოუკიდებლობა აღიარეთ?“ მან უფრო გამომწვევად გაიღიმა. მაშინ ვაშაძემ მისი ჰალსტუხი მუშტზე დაიხვია, ულვაშები სახესთან მიუახლოვა, თვალი თვალში გაუყარა და მოგუდვა დაუწყო, თან ეუბნებოდა: ,,სერ, თქვენ ძალიან დიდი შეცდომა დაუშვით“. ეკონომიკის მინისტრ ვერა ქობალიასთან ერთად, მათი გაშველება მომიხდა. . .“ [76, 231-232].

ბოლოს, აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ დასავლეთი

პოლიტიკური პრიორიტეტების მხრივ ბალკანეთს გაცილებით მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვიდრე საქართველოს. მაშინ, როცა ეთნიკური წმენდის განხორციელებამდე აფხაზეთში სამჯერ მეტი ქართველი ცხოვრობდა, ვიდრე ,,აფხაზი". ძირეულია განსხვავება კონფლიქტის წარმოშობასთან დაკავშირებითაც: კოსოვოელი ალბანელები ჯერ კიდევ კომუნიზმის კრახამდე დიდი ხნით ადრეც განიცდიდნენ დისკრიმინაციას: ყოფილ იუგოსლავიაში მათ არ გააჩნდათ ისეთი ავტონომია, როგორც სლოვენებსა თუ მაკედონელებს. რაც შეეხება აფხაზებს, ისინი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ – პრივილეგიებითაც სარგებლობდნენ და ადგილობრივ ხელისუფლებაშიც არაპროპორციულად დიდი წარმომადგენლობაც ჰყავდათ.

ეთნიკური წმენდის აღსაკვეთად და ომის დასამთავრებლად ნატოს-ს ორჯერ მოუწია ბალკანეთში შესვლა; დასავლეთმა მსოფლიო მასშტაბით ალბათ უდიდესი სამშვიდობო ძალისხმევა გამოიჩინა და ამ ოპერაციებში თავდაპირველად რუსებიც იყვნენ ჩართულნი; გარკვეული თვალსაზრისით გაერო-ს მანდატით აღჭურვილი და ნატო-ს ეგიდით მოქმედი ევროპული სამშვიდობო კონტიგენტი სწორედ ბალკანეთში დაიბადა და განვითარდა კიდეც. გაერო-ს მისია კოსოვოში ჭეშმარიტად გავლენიანი გახლდათ და მრავალი თვალსაზრისით სწორედ ის მართავდა კიდეც

ამ მხარეს. ეუთო-მაც მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი ფუნქციები და შესაძლებლობები კონფლიქტის რეგიონში. ევროკავშირი ახორციელებდა ეკონომიკურ გარდაქმნებს ბალკანეთში და ინტეგრაციის პროცესებსაც უმთავრეს პრიორიტეტებად მიიჩნევდა თავის ახალ საგარეო თუ უსაფრთხოების პოლიტიკაში. მოკლედ, ბალკანეთი თავისებურ საჯილდაო ქვად იქცა გაერო-სთვისაც, ეუთო-სთვისაც, ევროკავშირისთვისაც და ნატოს-თვისაც – ეს თუნდაც იმაში გამოვლინდა, როგორი კვალიფიკაციის დიპლომატები თუ სამხედროები იგზავნებოდნენ იქ და რა რაოდენობის თანხა ჩაიდო რეგიონის საჭიროების მოსაგვარებლად. და ბოლო, მაგრამ არა უკანასკნელი: ბალკანეთის ქვეყნების უმეტესობას ძალზე მკაფიო პერსპექტივა ჰქონდა იმასთან დაკავშირებით, რომ მომავალში ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანებულიყვნენ [81, 107].

აქვე უნდა ითქვას, რომ ბლეფია იმაზე საუბარი, თითქოს ნატო-ში მისაღებად ქვეყანა გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. რეალურად კი ,,იმისთვის, რომ ახალი წევრი სახელმწიფოები მოიწვიონ ალიანსში გასაწევრიანებლად, არ არსებობს კრიტერიუმის განსაზღვრული ჩამონათვალი“. გაფართოების შესახებ გადაწყვეტილებას ინდივიდუალურ საფუძველზე იღებენ [90, 93].

ნაწილობრივ, სწორედ დასავლეთის განსაკუთრებული ყურადღების გამო, კოსოვო და მისი

სამომავლო სტატუსის განსაზღვრა დაძაბული საერთა-შორისო დიპლომატიური მუშაობის თემად იქცა. მთელი ეს პროცესი გაერო-ს მიერ იყო სანქცირებული და წარმართულიც, რაც მას სრულ საერთაშორისო ლეგიტიმაციას ანიჭებდა. ამ მხრივ არავითარი სულსწრაფობა არ შეინიშნებოდა, პირიქით, ყოველივე კარგად გათვლილი და დაგეგმილი ჩანდა და საბოლოო მიზანიც – შეთანხმება მთავარ მონაწილეთა შორის – ნათლად იკვეთებოდა, რა თქმა უნდა, რუსეთის, როგორც გაერო-ს უსაფრთხოების საბჭოს წევრის მოსაზრებათა გათვალისწინებით. მეორე მხრივ, სა-ქართველო, აფხაზეთი და ,,სამხრეთ ოსეთი“ ამგვარ ყურადღბას მოკლებული იყვნენ, ისინი არც გაერო-სთვის, არც ეუთო-სთვის, არც ნატო-სა და არც ევროკავშირისთვის არ გახლდათ უმთავრესი პრიორი-ტეტი. თბილისიც სწორედ ამ უგელებელყოფისა და ინტერესის ნაკლებობის მსხვერპლი გახდა. კოსო-ვოსაგან განსხვავებით, გაერო-ს მისია აფხაზეთში მცირერიცხოვანი იყო და რეგიონში მიმდინარე პრო-ცესების შესახებ გადამწყვეტი სიტყვაც არ ეთქმოდა. მისი მანდატი ძირითადად დაკვირვებით შემოი-ფარგლებოდა. ამ მხრივ, დიდად განსხვავებული არც ეუთო-ს მისია გახლდათ ,,სამხრეთ ოსეთში“. ამ მოცემულობის შეცვლის, მისიის უფლებამოსილების შეცვლის, მისიის უფლებამოსილების გაზრდისა და მისთვის რაღაც უფრო ქმედითი დანიშნულების

მიცემის ყველა მცდელობას ხშირ შემთხვევაში რუსეთი აღკვეთდა ხოლმე ან მსგავსი რამ საერთოდ იჩქმალებოდა იმის შიშით, მოსკოვი ამგვარ ინიციატივას მაინც დაბლოკავსო [81, 108].

1994 წელს ნატო-ს მიერ შემუშავებული პროგრამის ,,პარტნიორობა მშვიდობისათვის“ თავდაპირველ დოკუმენტში ნაგულისხმები იყო, რომ პარტნიორებს, კრიზისულ ვითარებაში შეეძლოთ სპეციალური კონსულტაციები მოეთხოვათ. არადა, როცა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები დაინტერესდნენ – ქონოდათ ფორმალური კონსულტაცია ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ფარგლებში, ურჩიეს – ეს თემა საერთოდ არ წამოეწიათ წინ, რადგანაც ალიანსი ამგვარ საქმეებში მონაწილეობას არ აპირებდა. აგვისტოს დასაწყისში, ომი რომ დაიწყო, ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ სულ ერთი შეხვედრა მოიწვია და ერთადერთი განცხადებით შემოიფარგლა: მართალია გენერალურმა მდივანმა, იაპ დე ჰოოპ სხეფერმა ერთი დღით საზაფხულო შვებულებაც კი შეწყვიტა, მაგრამ ეს იყო და ეს – ნატო-ს სამხედრო საბჭო მხოლოდ მას შემდეგ შეიკრიბა, რაც ბრძოლები, ფაქტობრივად, უკვე დასრულებული იყო. ალიანსისათვის, რომელიც თავს მთელ ევროპაში კრიზისთა მომგვარებლად აცხადებს, ეს ყველაფერი თავმოსაწონ საქციელად ნამდვილად ვერ ჩაითვლება. ეს კიდევ ერთი დადასტურება გახლდათ, რომ ევროპული უსაფრთხოების სისტემამ, რომელიც

გამჭვირვალობისა და ოპერატიულობის, სტრატეგიულად მცდარი გათვლის თავიდან აცილების, შეიარაღებული დაპირისპირებისა თუ ომის აღსაკვეთად იყო მოწოდებული, 2008 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ფიასკო განიცადა [81, 160].

კოსოვოში და მერე აფხაზეთსა თუ ,,სამხრეთ ოსეთში“ ჩასული ადამიანისათვის განსხვავება აშკარა ხდებოდა: სამშვიდობო ღონისძიებები აქ იმთავითვე განწირული იყო, რადგან სეფე-სიტყვა რუსეთს ეთქმოდა, ის კი თავის მხრივ, კონფლიქტში მონაწილე მხარე გახლდათ. ევროკავშირმა და ნატო-მ ამ რეგიონებში არც დრო დახარჯა და არც რესურსები. მსოკოვს ხელს არ აძლევდა და აქტიურად ეწინააღმდეგებოდა კიდეც საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის გაზრდას, რაც ამა თუ იმ სახით კონფლიქტთა მშვიდობიან გადაწყვეტას შეუწყობდა ხელს. მოკლედ, საერთაშორისო თანამეგობრობა ამ კონფლიქტების მოგვარებაშიც ისე დარაზმული რომ ყოფილიყო, როგორც ბალკანეთის შემთხვევაში, აგვისტოს ომის თავიდან აცილებაც სავსებით შესაძლებელი გახდებოდა [81, 108]. ამერიკელი ჟურნალისტის თომას გ ო ლ ც ი ს სიტყვით ,,ქართულ ისტორიას კი დღითი დღე ემატებოდა ნაოჭი. უძველესი თვალწარმტაცი და ხაზგასმით პრო-დასავლური პოსტსაბჭოური საქართველო გაათახსირეს, გაძარცვეს და ამ დროს დასავლეთი ერთხელაც კი არ

წამოშველებია. მხოლოდ თითს თუ გაიქნევდა მუქარის ნიშნად და ამასაც ძალიან პოსტმოდერნულად აკეთებდა“ [91, 347-348].

სახალხო დიპლომატიის არსი

გადმოცემით, მიწის ერთ ნაკვეთზე ცხოვ-რობდნენ კ უ ზ მ ი ჩ ე ბ ი, ხოლო მეორეზე – ლ უ კ ი ჩ ე ბ ი. მათ შორის პატარა მდინარე ჩამოდიოდა. სულ უბრალო მიზეზის გამო ორივე მხარე იწყებდა ჩხუბს, იმართებოდა ცემა-ტყეპა, მკვლელობა. . . , რამაც სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა. ბოლოს იქამდე მივიდნენ, რომ საბრძოლო-სასიკვდილო ტექნიკასაც იყენებდნენ. მსხვერპლი შემაძრწუნებელი გამოდგა. მშვდონიანობის დროს ორივე მხარე ნანობდა მომ-ხდარის შესახებ, მაგრამ ცოტა ხანში ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

შვიდი წელი ებრძოდნენ ერთმანეთს მეზობ-ლები. ბოლოს მიხვდნენ, რომ საჭირო იყო რამე ეღონათ და მოიფიქრეს. . . გამოვიდნენ მდინარის პირას და ერთმანეთს მოუხმეს:

– თქვენ გყავთ დიპლომატები?

– გვყავს. თქვენ?

– ჩვენც. . .

გაუგეს მეზობლებმა და მდინარეში უკრეს თავი დიპლომატებს. მაშინვე ჩამოვარდა მშვიდობა კუზ-მიჩებსა და ლუკიჩებს შორის. ეს ზღაპარი მაქსიმ გორკის კალამს ეკუთვნის. როგორც ყველა ზღაპარში, მორალი ნათელია: უბრალო ადამიანებს ომი არ უნდათ. მათთვის ეს უბედურების მომტანია.

ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში სახალხო დიპლომატია ხდება საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი აქტორი. სახალხო დიპლომატია აერთიანებს ისეთ ელემენტებს, როგორიც არის საზოგადოებრივი ორგანიზაციები და გაერთიანებები [92].

ხალხის ურთიერთგაგება შესაძლებელია სხვადასხვა ღირებულებებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულებით. ასეთი თანამშრომლობა შეიძლება და არც აუცილებელია ხორციელდებოდეს, მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით. მნიშვნელოვანი როლის შესრულება აქ თავად ხალხს შეუძლია, განსაკუთრებით მის აქტიურ წარმომადგენლებს. ასეთი სახის მოღვაწეობის მცნებაში დღეს მოიაზრება სახალხო ან, როგორც ბოლო დროს მიღებული გახდა – საზოგადოებრივი დიპლომატია.

სახალხო დიპლომატია მოიცავს საერთაშორისო კავშირებსა და კონტაქტებს კულტურული, სპორტული, სამეცნიერო, საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზაციას (დელეგაციების გაცვლა, სამხატვრო გამოფენები, მუსიკალური ფესტივალები და ა.შ.).

სახალხო დიპლომატიას გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები სახელმწიფო დიპლომატიასთან შედარებით. ეს უპირატესობა კარგად გამოხატა კუბელმა პოლიტიკოსმა ხ უ ა ნ ვ ა ლ დ ე ს ფ ი გ ე რ ო ა მ. სახალხო დიპლომატია მან შემდეგნაირად დაახასიათა:

ეს არის ურთიერთობის ისეთი ფორმა, სადაც ხალხი ამჟღავნებს თავის გრძნობას უფრო ფართოდ და სიღრმისეულად, ვიდრე ოფიციალური დიპლომატების რეგლამენტირებული ენა, როდესაც განსაზღვრულზე მეტი არ შეიძლება ილაპარაკო. სახალხო დიპლომატია საუბრობს გულახდილად, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე. სწორედ გულახდილობა, სიმართლე, აახ-ლოებს ყველაზე მეტად ხალხებს [93].

XX საუკუნის 70-იან წლებში ამერიკელებს ფაქტიურად არ ჰქონდათ ურთიერთობა ჩინელებთან. იმდენად განსხვავებული იყო მათი სუბიექტური და სოციალური სამყარო, რომ ისინი მთლიანობაში გაუცხოებული იყვნენ ერთმანეთთან. ასეთ შემთხვევაში რა გადაწყვეტილება მიიღეს ამერიკელებმა? მათ მოაწყეს ტენისის თამაში ამერიკელ და ჩინელ სპორტსმენებს შორის, რომელიც არ ითვალისწინებდა მხარეებს შორის ავტორიტეტების ურთიერთობას და ღირებულებების გათვალისწინებას. სპორტული ასპა-რეზობის მონაწილეები მოკლე ხანში საგრძნობლად დაუახლოვდნენ ერთმანეთს, გადალახეს სოციალური ბარიერები. სწორედ ამ ურთიერთობამ შექმნა სა-ფუძველი გაეღრმავებინათ ეროვნული ურთიერთო-ბები, რის შედეგსაც წარმოადგენდა აშშ-ის იმჟა-მინდელი პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის ვიზიტი ჩინეთში.

ან კიდევ, ყველამ კარგად ვიცით, როგორი

გაუცხოება არსებობდა თეთრ და შავ კანიან ამერიკელებს შორის, რაც პერიოდულად იღებდა სამოქალაქო ომისა და ლინჩის წესის გამოყენების ფორმას. არც დემოკრატიული ინსტიტუტები, მართლმსაჯულების ჩართვით, არც მორალური მოწოდება ვერ ახდენდა გავლენას შეერიგებინა კონფლიქტური სოციალური ჯგუფები. ასეთი ვითარება დიდხანს გრძელდებოდა, ვიდრე ამერიკის მთავრობამ თეთრკანიანი ბავშვები არ აიძულა ეთამაშათ შავკანიან თანატოლებთან. სპეციალური ავტობუსებით დაიწყეს ბავშვების გადაყვანა საერთო სკოლებში, რამაც ხელი შეუწყო მათ დაახლოებას. როგორც ,,თეთრი" და ,შავი" ბავშვები, ისე მოხდა მათი მშობლების ტოლერანტობაც [94, 42].

1941 წელს დანიის ჰიტლერულმა მთავრობამ გამოსცა ინსტრუქცია, რომელიც ავალდებულებდა ყველა ებრაელს ეტარებინა ყვითელი ვარსკვლავი. ოკუპირებული დანიის მეფე-დედოფალი სეირნობის განსაზღვრულ დროს სასახლიდან გამოვიდა ყვითელი ვარსკვლავებით. ორი საათის შემდეგ კოპენჰაგენის მთელი მოსახლეობა ქუჩაში დადიოდა ყვითელი ვარსკვლავებით. მეორე დღეს კი მთელი დანია ანალოგიური ატრიბუტებით შეიმოსა. ეს იყო საზოგადოების სოლიდარობის, სახალხო დიპლომატიის უდიდესი გამოვლინება.

ხაზგასასმელია, რომ გფრ-ის მაშინდელი კანც-

ლერი ჰ ე ლ მ უ ტ კ ო ლ ი ჩავიდა პოლონეთში და ვარშავის გეტოს მსხვერპლთა ობელისკთან ბოდიშის მოხდის შემდეგ მუხლი მოიყარა. ასეთმა საქციელმა პოლონელთა გარკვეული ნაწილის ნდობა გამოიწვია გერმანელთა მიმართ [94, 55-56].

სახალხო დიპლომატია იმით არის მეტნაკლებად მისაღები დაპირისპირებული მხარეებისათვის, რომ გვერდს უვლის ურთულეს პოლიტიკურ საკითხებს და ემყარება პოზიტივს ადამიანების განწყობასა და სასიცოცხლო ინტერესებში. წინა პლანზე აყენებს ადამიანს და არა კონიუნქტურას, მით უფრო ვინმეს მერკანტილურ ინტერესებსა და თამაშებს.

წინსვლა შესაძლებელია „ერთობლიობით“ და არა „წინააღმდეგობით“. მოლაპარაკების მთავარი მიზანია, რომ მოწინააღმდეგე ვაქციოთ პარტნიორად. ასეთი მიდგომით ყველა მონაწილის როლი იზრდება [39, 9]. სახალხო დიპლომატიაში მოუმზადებელი მოლაპარაკება მარცხისთვისაა განკუთვნილი. ეს ნიშნავს წვრთნის გარეშე შეჯიბრში ჩართვას, იმპროვიზაციას მედიტაციის გარეშე. მოლაპარაკების წინ უნდა გავაცნობიეროთ სამი ფაქტორი: ვის უნდა მოელაპარაკო? რის შესახებ უნდა მოელაპარაკო? როგორ უნდა მოელაპარაკო? [39, 16]. მოლაპარაკების მხარეებმა კარგად უნდა გააცნობიერონ, რომ „როდესაც შენს ძმას ეკამათები, კამათის საგნით კი არ უნდა დაიწყო პაექრობა, არამედ იმით, თუ რა გვაერთიანებს

მოკამათესთან“ [39, 87]. დრო ყველაფერს არ შლის, მაგრამ ვნებებს აცხრობს, დამოკიდებულებას ცვლის. სახალხო დიპლომატიის დელეგაციის წევრები ხშირად, მაშინაც კი უარს ამბობენ ბოდიშის მოხდაზე, როდესაც ვითარება მოითხოვს: მიაჩნიათ, რომ ეს ჟესტი მათი შეცდომის აღიარებას ნიშნავს, რაც სუსტ პოზიციაში აყენებს. სინამდვილეში, მოპირისპირე მხარის თვალ-საზრისით, ბოდიშის მოხდა არ აღიქმება სისუსტის ნიშნად, რადგან ესაა ადრეული შეცდომების აღიარება, რომლის გარეშე შეუძლებელია მოლაპარაკების გაგრ-ძელება და ამავე დროს, ეს არის კეთილი ნების გამოხატულება და თანამოსაუბრის პატიოსნების მანიშნებელი [39, 89].

მრავალი მოლაპარაკება ჩაიშალა არა მისი შინაარსის, არამედ, აშკარად, პროცესის არასწორად წარმართვის გამო. აღშფოთების, განადგურების, ბრაზის განცდა კარგ ნიადაგს ქმნის დაძაბულობის ისეთი ესკალაციისათვის, რომელიც შეუთავსებელია დისკუსიასთან და განსჯასთან, მხარეებს შორის კომუნიკაცია შეუძლებელი ხდება. გრძნობს რა მუქარას მეორე მხრიდან, ყოველი მონაწილე ცდილობს სანგარში ჩასაფრებას, თავის პოზიციებში ურყევად ჩაბღაუჭებას, რითაც მოლაპარაკების ბლოკირებას იწვევს [39, 91].

სახალხო დიპლომატიის წარმატებისათვის ძა-ლიან მნიშვნელოვანია, ურთიერთბრალდებები შეიც-ვალოს საკუთარი ბრალეულობის აღიარებითა და

მონანიებით. ორივე მხარემ ხალხისა და მთავრობის დონეზე უნდა აღიაროს საკუთარი წვლილი კონ-ფლიქტის გაჩაღებაში.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ სახალხო დიპლო-მატია არ არის ოფიციალურ დიპლომატიასთან აპრიო-რი დაპირისპირებული ალტერნატიული გზა. იმ შემ-თხვევაში, როცა ორივე მათგანი ორიენტირებულია სახელმწიფოს ინტერესებსა და ჰარმონიული საზოგა-დოების შექმნაზე, კონფლიქტის გადაჭრასა და პრევენ-ციაზე, ისინი წარმოადგენენ დიპლომატიის ორ ურთი-ერთდაკავშირებულ განშტოებას ერთი მიზნით, მაგრამ განსხვავებული ფუნქციებით, შესაძლებლობითა და აქტორებით და მოქმედებენ სხვადასხვა ფორმატში.

ხელისუფლება ხშირ შემთხვევაში მეტად არის სტერეოტიპების ტყვეობაში, ვიდრე უბრალო ხალხი და, მით უმეტეს სამოქალაქო სექტორი, რომელიც შინა-განად უფრო თავისუფალია და ღიაა სიახლისთვის. ამიტომ სახალხო დიპლომატია უფრო იოლად იღებს საკუთარ თავზე პირველმკვალავის როლს, ხოლო ოფიციალური დიპლომატია, რომელიც შეზღუდულია სხვადასხვა გარემოებებით უკან ექაჩება მას. ხელის-უფლება ხშირად არის თავისივე ბოლომდე გაუაზ-რებელი გამოთქმების მძევალი და უჭირს თამამი და ახლებური გადაწყვეტილებების მიღება, განსხვავებით სახალხო დიპლომატიის აქტორებისაგან, რომლებიც ხშირად უფრო მოქნილნი არიან, რადგან არ ამძიმებთ

ძალაუფლების დაკარგვის ან შესაძლო შეცდომის შიში.

სახალხო დიპლომატიისა და ოფიციალური დიპლომატიის საქმიანობის კოორდინაცია აუცილებელია თუნდაც რაღაც დოზით, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს სახალხო დიპლომატიის ორგანიზატორთა მხრიდან გაუმართლებელი დათმობებისა და უპირობო მორჩილების ხარჯზე. პირიქით, სახალხო დიპლომატია უფრო აქტიური და შემტევი უნდა იყოს ხელისუფლების მიმართ და განახორციელოს ხელისუფლებაზე პოლიტიკური ზემოქმედება, ხოლო ოფიციალურმა დიპლომატიამ გაამყაროს ან პოზიტიურად შეცვალოს თავისი პოზიციები სახალხო დიპლომატიის მონაპოვრების საფუძველზე.

მოლაპარაკების დროს მნიშვნელოვანია მოვერიდოთ საპასუხო აგრესიას: არ ვუპასუხოთ უხეშად უხეშობაზე, რადგანაც ეს მიგვიყვანს აგრესიის ესკალაციამდე. ფსიქოლოგების რჩევით კამათის დაწყების დროს სასურველია დაეთანხმოთ ოპონენტის ნებისმიერ თეზისს („დავუშვათ, ეს ასეა...“) და შემდეგ შევეპასუხოთ („. . . მაგრამ მოდი შევხედოთ სიტუაციას მეორე მხრიდან. . .“) [95, 53].

დღემდე ოფიციალური ხელისუფლებების მხრიდან ბევრი არაფერი გაკეთებულა კონფლიქტების დარეგულირების, ხალხთა დაახლოების, მათ შორის ურთიერთობების აღდგენის საქმეში, რათა სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს გაუჩნდეს იმედი, ნდობა და არ

ეშინოდეთ ერთმანეთთან შეხვედრისა და გულახდილი საუბრებისა.

სახალხო დიპლომატიური ურთიერთობის დაწ-ყებამდე მეცნიერთა მიერ უნდა მოხდეს საზოგა-დოებრივი აზრის გაცნობიერება. ჯერ ფალსიფიკაცია უნდა აღმოიფხვრას. ბრმად არც ადამიანურ კონტაქტებს არ ექნება წარმატება, რადგან თითოეული მხარე თავის სიმართლეშია დარწმუნებული. ჯერ უნდა ვუთხრათ აფხაზებს, ოსებს და გარე სამყაროს სრული სიმართლე საქართველოს ტერიტორიაზე და აქ მცხოვრები ხალხის შესახებ [18, 16]. პოლონელი ჟურნალისტი ვ ო ი ც ე ხ გ უ რ ე ც კ ი 1995 წელს თავის დღიურში წერდა, რომ ,,აფხაზებმა ქართველების შესახებ ცოტა რამ იციან, ხოლო ქართველებმა აფხაზებზე – კიდევ უფრო ნაკ-ლები; თუმცა ორივე მხარეს სწამს, რომ ერთმანეთს კარგად იცნობენ“ [96, 117].

როგორც ქართველი საზოგადო მოღვაწე, ლიტე-რატურის კრიტიკოსი და პუბლიცისტი აკაკი ბაქრაძე (1928-1999წწ.) აღნიშნავდა, ,,უცხოელისათვის, რომე-ლიც არ იცნობს საქართველოს ისტორიას, ძალიან ძნელია გაერკვეს ქართველთა და აფხაზთა, ქართველთა და ოსთა კონფლიქტის არსში. ისტორიის ცოდნა აუცილებელია იმისათვის, რომ მკაფიოდ გამოჩნდეს უმთავრესი: ქართველი არ ებრძვის არც აფხაზს და არც ოსს. ქართველი იცავს თავის მიწა-წყალს, რომელიც მას ყოველთვის ეკუთვნოდა და ეკუთვნის. აფხაზი და ოსი

კი ებრძვის ქართველს ამ ქართული მიწა-წყლის წაგლეჯის მიზნით“.

სახელმწიფოს ოფიციალურ და სახალხო დიპ-ლომატიას ახასიათებს. როგორც საერთო, ისე განმა-სხვავებელი ნიშნები, როგორც მიზნების, აქტორების, მიდგომების, ასევე ურთიერთქმედების თვალსაზ-რისით.

აფხაზურ-ქართულ და ოსურ-ქართულ კონფ-ლიქტში ძირითადი პასუხისმგებლობა ოფიციალურ მხარეებს ეკისრება და, შესაბამისად, გადამწყვეტი სიტყვა ოფიციალურ დიპლომატის ეკუთვნის. მარ-თალია, სახალხო დიპლომატია ძალიან ეფექტურია, მაგრამ მაინც დამხმარე მექანიზმის ფუცქცია აკისრია. მას შეუძლია შეასუსტოს ურთიერთგაღიზიანება, შექმნას პოზიტიური ატმოსფერო, მაგრამ არ შეუძლია გადაჭრას კონფლიქტი.

სახალხო დიპლომატიას განსაკუთრებული რო-ლი ენიჭება მაშინ, როდესაც ვერ მუშაობს ოფიციალური დიპლომატია, როცა კონფლიქტი გაყინულია ან ,,ცხე-ლია“ და ოფიციალურ მხარეებს შორის კონტაქტები მოშლილია. ასეთ შემთხვევაში სწორედ ჩვეულებრივი მოქალაქეები იღებენ თავის თავზე პოზიციათა დაახლოების ძიებას, როდესაც პოლიტიკოსებს არ სურთ ან არ შეუძლიათ ერთმანეთთან საუბარი. სწორედ არაფორმალური დიალოგის მეშვეობით ხდება სხვადასხვა პოლიტიკური გადაწყვეტილების მოსინჯვა,

რომელმაც შეიძლება დადებითი შედეგი მოიტანოს.

სახალხო დიპლომატია, ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოპულიზმისა და საომარი რიტორიკისაგან განთავისუფლებაში. მას შეუძლია აიძულოს ხელისუფლება ეძებოს კონფლიქტის გადაჭრის რეალური და ეფექტიანი გზები. არის ფაქტები, როდესაც საზოგადოება მძევალი ხდება ხელისუფლების პოზიციისა, მაგრამ ზოგჯერ ისეთი სიტუაციაც იქმნება, რომ თავად ხელისუფლება აღმოჩნდეს აგრესიულად განწყობილი ხალხის მძევალი. ამიტომ ჯანსაღი აზრი ბევრ რამეს წყვეტს ოფიციალურ პოლიტიკაში.

რეალურად სახალხო დიპლომატია არ არის ოფიციალურ დიპლომატიასთან აპრიორი დაპირისპირებული ალტერნატიული გზა. იმ შემთხვევაში, როდესაც ორივე მათგანი ორიენტირებულია სახელმწიფოს ინტერესებსა და ჰარმონიული საზოგადოების შექმნაზე, კონფლიქტების გადაჭრასა და პრევენციაზე, ისინი წარმოადგენენ დიპლომატიის ორი ურთიერთდაკავშირებულ განშტოებას ერთი მიზნით, მაგრამ განსხვავებული ფუნქციებით. იმ შემთხვევაში, როცა ოფიციალური პოლიტიკა მიმართულია კონფლიქტის გამწვავების ან კონფლიქტის შედეგად მიღებული სტატუსკვოს შენარჩუნებაზე და წინააღმდეგობაში მოდის ხალხის ინტერესებთან, ოფიციალური დიპლომატია და სახალხო დიპლომატია საფუძველშივე ემიჯნება ერთნმანეთს და ურთიერთდაპირისპირებული ცნებები

ხდება.

1992-1993 წლების შემდეგ აგვისტოს ომამდე იყო აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების მეტნაკ-ლებად წარმატებული მცდელობები, როგორც ოფიცია-ლურ-სამთავრობო, ისე არაოფიციალურ დონეზე. არა-სამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დიპლო-მატიაში ჩართულ მოქალაქეთა ჯგუფების მონაწილე-ობით სახალხო დიპლომატია მართალია ნელა, მაგრამ აღმავალი ხაზით ვითარდებოდა. აფხაზ და ქართველ მოსახლეობას შორის პიროვნული კონტაქტები უფრო ინტენსიური გახდა. გარკვეული ძვრები ხდებოდა სამეცნიერო ურთიერთობაში. ტარდებოდა ორმხრივი შეხვედრები აფხაზ და ქართველ ანალიტიკოსებს შორის ნეიტრალურ ტერიტორიებზე საერთაშორისო ორგანი-ზაციების მედიაციით. შესაძლოა არა ძირეულად, მა-გრამ ნაწილობრივ გადაფასდა ადრინდელი კონფრონ-ტაციული დამოკიდებულებები ამ შეხვედრების მონა-წილეთა და მათთან დაკავშირებული წრეების მიერ. ჩატარდა ერთობლივი კველევები, დაინერგა სასწავლო პროგრამები სახალხო დიპლომატიაში ჩართვის მოსურ-ნეთათვის. გაიზარდა ადამიანური და მატერიალური რესურსები სახალხო დიპლომატიის შემდგომი განვი-თარებისათვის. თუმცა, ამან ხელი ვერ შეუშალა კონფლიქტის ესკალაციას მესამე ძალის მიერ ინსპირი-რებული ომის სახით აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებული ნეგატიური განწყობების საფუძ-

ველზე, რაც შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც არა მარტო ოფიციალური დიპლომატიის მარცხი, არამედ, გარკვეულწილად, სახალხო დიპლომატიის სისუსტეც.

პოლიტიკურ კულუარებში ბევრი რამ ხდება ისეთი, რაც ხალხს არ დაესიზმრება არც ერთ და არც მეორე მხარეს. ამიტომ სახალხო დიპლომატია სჯობს დასჯერდეს იმას, რაც ეძლევა და არ უნდა შეეცადოს თავის თავზე აიღოს ოფიციალური დიპლომატიის როლი. უსაფუძვლო ოპტიმიზმი, რომელიც აფხაზთან და ოსთან ურთიერთობისას შეიძლება დაეუფლოს პოლიტიკისგან შორს მდგარ ქართველს, ვერ გამოდგება რეალური ვითარების გასაუმჯობესებლად.

სახალხო დიპლომატი საკუთარი თავის, ადამიანთა ვიწრო ჯგუფის წარმომადგენელია. ოფიციალური დიპლომატი კი – სახელმწიფოს წარმომადგენელი. ის ვერ მისცემს თავს იმის უფლებას, რომ წავიდეს ისეთ დათმობებსა და კომპრომისებზე, რასაც ყოფით ურთიერთობაში გააკეთებენ გულაჩუყებული ნათესავ-მეგობრები.

კულტურული და ეკონომიკური კავშირები

როგორც უკვე ავღნიშნეთ, სახალხო დიპლომატიის სხვადასხვაგვარი განმარტებები არსებობს. პრეზიდენტ კენედის ადმინისტრაციის საინფორმაციო სააგენტოს დირექტორი ე დ უ ა რ დ მ ო რ ო უ მიიჩნევდა, რომ სახალხო დიპლომატია წარმოადგენდა იმგვარ ურთიერთქმედებებს, რომლებიც ორიენტირებული იყო არა მარტო სახელმწიფოთა მთავრობებზე, არამედ უპირველეს ყოვლისა, არასამთავრობო პირებსა და ორგანიზაციებზე [97, 54]. სახალხო დიპლომატიის ერთ-ერთი უპირატესობა ისიცაა, რომ მას გაცვლითი პროგრამების ფარგლებში მეტი რისკების გაწევა შეუძლია, ვიდრე მთავრობას და ის რაც შეიძლება მიუღებელი იყოს შიდა გარემოსთვის, სავსებით შეესაბამება საგარეო ელიტებს [97, 61].

პალესტინელი საზოგადო მოღვაწის ე დ ვ ა რ დ ს ა ი დ ი ს (1935-2000) სიტყვით ,,თუკი ერთნაირი სერიოზულობით ჩავუღრმავდებით, როგორც საკუთარ, ისე სხვა ერის ისტორიას, მაშინ შევძლებთ ამ სხვასთან ურთიერთობასა და თანაარსებობას. . .“ [98, 61].

სახალხო დიპლომატიის მთავარი ტაქტიკა კი გაუცხოებული ხალხთა მასის დაახლოებაა. ამისათვის ყველა ბერკეტი უნდა იყოს გამოყენებული. კერძოდ, მიზანშეწონილი იქნება, რომ აფხაზი და ოსი ახალგაზრდები მოვიწვიოთ ახალი ტექნოლოგიების დასა-

უფლებლად, რათა მათ ერთად ჩაატარონ სამეცნიერო კვლევაძიება. უფროსმა თაობამ, აფხაზი და ოსი მეგობრების, ნათესავების მეშვეობით ხელი უნდა შეუწყოს მათ შეხვედრებს. სხვადასხვა პროფესიის შესწავლასთან ერთად ახალგაზრდობა ერთმანეთს დაუახლოვდება, რაც ხელს შეუწყობს ,,ჩატეხილი ხიდის“ აღდგენას.

ამ პრობლემის დასაძლევად ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ კონფლიქტების მოგვარებაზე, ხელს უნდა უწყობდეს და მხარში ედგეს ხელისუფლება [18, 16].

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კულტურული და ეკონომიკური კავშირები დაპირისპირებულ მხარეთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესების ერთ-ერთ მთავარ ბერკეტს წარმოადგენს. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ გაყინული კონფლიქტების დროს ე რ გ ნ ე თ ი ს ბ ა ზ რ ო ბ ა, გარკვეულწილად, წარმოადგენდა მშვიდობიანობის ანკლავს. პრაგმატული რეალპოლიტიკაც უთუოდ მოითხოვდა ამ ანკლავის გაფართოებისათვის ხელშეწყობას, ყოველ შემთხვევაში მისი თვითდინების შეუფერხებლობას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ცხინვალის რეგიონში არსებული პრობლემის გადაჭრის სხვა მშვიდობიან საშუალებათაგან ,,ერგნეთი“ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, ისე, როგორც გალსა და ზუგდიდს შორის შექმნილი უფრო მცირე

მასშტაბებით, მაგრამ ანალოგიური კომერციული ურთიერთობა.

რატომ იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ერგნეთი? ამის დასტურად ქართული და ოსური მხარის უმაღლესი დონის შეხვედრების ანალიზიც კმარა, რასაც ბიძგი მისცა და შესაძლებელი გახადა სწორედ ერგნეთის ბაზრობასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ,,ერგნეთი“ მრავალი პრობლემებით იყო დატვირთული და მოითხოვდა პოლიტიკურ ანალიზთან ერთად სერიოზულ, კომპ-ლექსურ, ეკონომიკურ - სამართლებრივ ანალიზს. მათ შორის, კრიმინოლოგიური თვალსაზრისითაც.

ერგნეთის ბაზრობის აღორძინება დაიწყო 1994-1995 წლებიდან, მასშტაბები და მოთამაშეთა წრე სულ უფრო იზრდებოდა და ფართოვდებოდა 1997-1998 წლებში. იგი უკვე სრულ მასშტაბიან და მრავალ-პროფილიან, საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე განლა-გებულ ბაზრობად ჩამოყალიბდა. 1999 წლის სექტემ-ბერში გადაწყდა, საქართველოს ხელისუფლების წარ-მომადგენლებს ეროვნული საბჭოს სხდომაზე სპეცია-ლურად ემსჯელათ ერგნეთის ბაზრობის თაობაზე და მასთან პირდაპირ დაკავშირებულ სამრეწველო კონტრ-აბანდის (და არა მარტო სამრეწველო კონტრაბანდის) პრობლემებზე. კერძოდ: რა პოლიტიკურ, სამართლე-ბრივ და ეკონომიკურ მოვლენასთან გვქონდა საქმე. შესაძლებელი იყო თუ არა გარკვეულ კონტროლს

დაქვემდებარებოდა იქ განვითარებული, ერთი მხრივ, მეტად საშიში მოვლენები და, მეორე მხრივ, ქართველებისა და ოსების ერთობლივი, კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული კავშირების, სრულიად ახალი ფორმით წარმოჩენილი ,,ბიზნესურთიერთობა“ [99, 39-40].

ერგნეთის ბაზრობაზე ოსები ყიდდნენ ბენზინს, ფქვილს, სიგარეტს, ყველანაირ სამომხმარებლო საქონელს. ქართველი გლეხები კი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას ასაღებდნენ. ყველაფერი ეს ხდებოდა საბაჟო და საგადასახადო სტრუქტურების გვერდის ავლით. ერგნეთის ბაზრობა ნამდვილი ,,შავი ხვრელი“ იყო საქართველოს ეკონომიკისათვის. მეორე მხრივ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს თ ო მ ა ს დ ე ვ ა ა ლ ი, ეს ბაზრობა რეგიონში მცხოვრები ათასობით ადამიანისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო, შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. ამასთან ერთად, ის იყო მასობრივი ინტერეთნიკური თანამშრომლობის ფორუმი ქართველებისა და ოსებისათვის. ერგნეთის ბაზრობა ადუღაბებდა ოსებისა და ქართველების ურთიერთდამოკიდებულებას და ეკონომიკურად დამოკიდებულს ხდიდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს დანარჩენ საქართველოზე [82, 29].

2004 წლის ზაფხულამდე, ცხინვალსა და თბილისს შორის სარეისო ევტობუსი ყოველგვარი

დაბრკოლების გარეშე დადიოდა. ქართველი ექიმები უპრობლემოდ და რაც მნიშვნელოვანია, რეგულარულად შედიოდნენ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში და ნებისმიერ დასახლებულ პუნქტში აკეთებდნენ ოპერაციებს, მკურნალობდნენ ავადმყოფებს. ცხინვალელი ოსები თბილისში ჩამოდიოდნენ, სწავლობდნენ თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში, საქართველოს დედაქალაქში იმართებოდა ცხინვალელი მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენები, რომლებსაც ეს მოსწავლეები და მათი პედაგოგები ესწრებოდნენ ხოლმე; ცხინვალის ადმინისტრაციის მუშაკები რეგულარულად უკავშირდებოდნენ თავიანთ კოლეგებს (ზოგიერთი მათგანი ერთმანეთთან მეგობრობდა კიდეც) თბილისში სხვადასხვა სამეურნეო და ტექნიკური პრობლემის მოსაგვარებლად და ა.შ. [82, 42-43].

ბაზრობის თანმიმდევრული ლეგალიზაციის გზით ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის ყოველდღიურობაში გაჩნდა ქართული სახელმწიფოს იურისდიქციის მნიშვნელოვანი გაფართოების შესაძლებლობა. ქართულმა მოსახლეობამ დაიწყო დაბრუნება ქართულ სოფლებში. ცხინვალის გარდა ყველგან დაბრუნდნენ ქართველები. ფული იხარჯებოდა, გზები კეთდებოდა. ცხინვალის მოსახლეობა აბსოლუტურად მობმული გახდა საქართველოზე. ლარი ტრიალებდა, ლარი იყო ამ ვაჭრობის ძირითადი ვალუტა. ოსების აბსოლუტური უმრავლესობა ფულს ინახავდა ქართულ ბანკებში [100,

12].

თუ პრობლემის სისხლის სამართლებრივ მხარეს შევეხებით, ერგნეთის ბაზრობაზე საქონლის ყიდვა-გაყიდვა არ შეიძლება ჩათვლილიყო კონტრაბანდად. ეს იმიტომ, რომ საქონლის ყიდვა-გაყიდვა საქართველოს ტერიტორიის შუაგულში ხდებოდა და რა ვითარებაში შემოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო დადგენა, კერძოდ: კანონიერად თუ უკანონოდ, როდის, ვის მიერ, რაც მთავარია, გადახდილი იყო თუ არა საბაჟო გადასახადები და დაცული საბაჟო პროცედურები და ა.შ. ასეთ ვითარებაში, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულის, ისე მისი ჩამდენი პირების დადგენის შესაძლებლობა არ არსებობდა [99, 40].

აღნიშნულ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეურნეო ურთიერთობის საქმეში მომხდარი ძვრები. მაგალითად, სააქციო საზოგადოება „ყაზბეგმა“ და ცხინვალის ლუდისა და ხილის წყლების ქარხანამ შექმნეს ლუდის დამამზადებელი ერთობლივი საწარმო. მიღწეულ იქნა მორიგება ფიჭური სატელეფონო კავშირის განვითარების სფეროში თანამშრომლობის შესახებ კომპანია „მაგთისა“ და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კავშირგაბმულობის საწარმოო გაერთიანებას შორის. წამოყენებული იქნა ინიციატივა ფირმა „მთებისა“ და ცხინვალის ქარხანა „ემალსადენის“ ურთიერთქმედების შესახებ [99, 48].

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის თანახმად, საბაჟო წესების დარღვევად (სისხლის სამართლის კოდექსის ძველი რედაქციით კონტრაბანდად) ითვლება საქარათველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთების გადატანა ან გადმოტანა, ჩადენილი საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად, დოკუმენტის ან საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების გამოყენებით, დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით. ნორმის დისპოზიციიდან გამომდინარე, თვალნათლივ ჩანს, რომ საქართველოს სსკ 214-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების დადგენა ერგნეთის ბაზართან დაკავშირებით შექმნილი რეალური გარემოებების გათვალისწინებით შეუძლებელი იყო და აქედან გამომდინარე, აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებს არავითარი სასამართლო პერსპექტივა არ ექნებოდა. რაც შეეხება პრობლემის პოლიტიკურ მხარეს, მდგომარეობა ფაქტობრივად სამართალდამცავი ორგანოებისაგან ვერ ან არ ექვემდებარებოდა კონტროლს და ამას როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური (ხშირ შემთხვევაში ანგარებითი) მიზეზები ახლდა. მოვლენას კრიმინოლოგიური კუთხით თუ გავაანალიზებთ, აშკარად იყო საშიშროება ჩამოყალიბებულიყო მაფიოზური კლანები და დაწყებულიყო სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საქონლით ვაჭრობა (იარაღი,

ნარკოტიკი) და ამის პირველი ნიშნები უკვე მაშინვე გამოჩნდა.

ერთი სიტყვით, შექმნილი ვითარება აშკარად და პირდაპირ ემუქრებოდა საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას, მით უმეტეს ქვეყანაში ამ დროს შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ვცხოვრობდით სახელმწიფო ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტისა და საგადასახადო - საბაჟო პოლიტიკის გარეშე, უფრო სწორად, „პარალიჩის“ პირობებში.

მაშინ ხელისუფლების მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ იქნებ ჯობდა ერგნეთის ბაზრობა მაქსიმალურად გაგვეკონტროლებინა, რათა იგი კრიმინალებს არ ჩაეგდოთ ხელში. თუ არა და, გარდა წმინდა ფინანსური მოგებისა, კრიმინალებს შესაძლებლობა მიეცემოდათ პირადი ინტერესების მიხედვით ემართათ ქართველებისა და ოსების ურთიერთობა.

ერგნეთის ბაზრობა, მისი ნეგატიური მხარეების მიუხედავად, როგორც აღვნიშნეთ, ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობის დათბობის ბუნებრივ ზონადაც ჩამოყალიბდა. აშკარად შეიმჩნეოდა, რომ არაფორმალურ სავაჭრო-ეკონომიკურ ზონას სოციალურ-ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკური ფუნქციის დატვირთვაც ჰქონდა. საჭიროებას წარმოადგენდა ერგნეთის ბაზრობაზე არსებული ქაოსი, საქართველოს

ხელისუფლების ინტერესებს დაქვემდებარებულ მართ-ვად გადაქცეულიყო. სამართლიანობა მოითხოვს და უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყველაფერი, არსებითად, ეწინააღმდეგებოდა ქვეყანაში მოქმედ კანონმდებ-ლობას. უფრო სწორად აშკარა იყო პოლიტიკასა და კანონის ურთიერთშეჯახება. შედეგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხელისუფლებამ, მაშინ უპირატესობა მაინც მოქმედ კანონმდებლობას მიანიჭა [99, 41-42].

რა თქმა უნდა, „სამხრეთ ოსეთთან“ კონფლიქტის არარსებობის შემთხვევაში ერგნეთის ბაზრობა დასა-ხური და გასაუქმებელი იყო. იგი, მართლაც, კრიმი-ნალურ ბურუსში იყო გახვეული და კორუფციის ბუდედ ყალიბდებოდა.

თუმცა, ისიც არ უნდა გამოგვრჩეს მხედველო-ბიდან, რომ გაჩნდა რეალური, ბუნებრივი საშუალება გვემუშავა ისეთ გავლენიან ადამინაებთან (კარგი გაგებით), რომლებიც, თავის მხრივ, ოს ხალხს და არა მარტო მათ, დაანახვებდა ქართველებისა და ოსების ერთად ცხოვრების, ელემენტარული ფიზიკური არსე-ბობისათვის საჭირო აუცილებლობას. დაარწმუნებდა მათ შერიგების, ურთიერთპატიების, საქმის ერთად კეთების, გადახვეწილი ადამიანების თავიანთ სახ-ლებში დაბრუნების, დანგრეული და გაპარტახებული სოფლებისა და ქალაქების ერთად აშენების აუცილებლობაში და ასეთი ადამიანები მრავლად იყვნენ ერგნეთის ბაზრობაზე. ასეთი მიზნების

განსახორციელებლად ცოცხალ ადამიანს ვერაფერი შეცვლის. მხოლოდ ადამიანებს, მათ ურთიერთობას შეუძლია გაუწიოს ფასდაუდებელი სამსახური კონფ-ლიქტების მოგვარების საქმეს [99, 52].

ოსებთან ურთიერთობა იმდენად დამთბარია, რომ 2004 წელს სააკაშვილი ცხინვალში ჩადის და ადგილობრივ მოსახლეობას ხვდება, თუმცა, მისი აგრესიული რიტორიკა ხალხს აღიზიანებს! [100, 12]. ამავე წლის 1 ივნისს ხელისუფლება ერგნეთის ბაზრობას აუქმებს. ამის შემდეგ შეწყდა ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური კავშირები დანარჩენ საქა-რთველოსთან და შესაბამისად, მანამდე მზარდი ეკონომიკური დამოკიდებულება საქართველოზე [82, 43].

უნდა აღინიშნოს, რომ ერგნეთის ბაზრობის მსგავსად, სამეგრელო - აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე, როგორც მოსალოდნელი იყო, აქაც კომერ-ციული ურთიერთობა ქაოტურად და არაორგანი-ზებულად დაიწყო, თუმცა, მალევე თანდათან მა-სშტაბური სახე მიიღო თხილის, მანდარინის, ჯართისა და სხვა ბიზნესის სახით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს ურთიერთობა ორივე მხარეში მცხოვრებ ბევრი ადამიანისათვის შემოსავლისა და ოჯახის გადარჩენის საშუალებად იქცა. თუმცა, მაშინ ვერც ეს გარემოებები იქნა გამოყენებული კონფლიქტის მოგვა-რების ინსტრუმენტად, პირიქით, ხელი შეეშალა მის

შემდგომ განვითარებას პროცესის შესაძლებელი კრიმი-ნალიზაციის გამო [99, 53].

საზოგადოებრივი აზრი და ხელისშემშლელი ფაქტორები

საზოგადოებრივ აზრზე უარყოფით გავლენას ახდენს სიცრუე. ,,პროფესიონალ მატყუარებს, როგორიც არიან პოლიტიკოსები, მსახიობები და ტელევიზიის დიქტორები, ისე აქვთ დახვეწილი საკუთარი სხეულის აქტები, რომ სიცრუის დანახვა რთულდება. ამიტომ ადამიანები ანკესზე ეგებიან, უჯერებენ და მიჰყვებიან მათ“ [101, 133].

საზოგადოების ნაწილი სახალხო დიპლომატიას ქართულ სინამდვილეში განიხილავს, როგორც ოფიციალური დიპლომატიისაგან მკვეთრად განსხვავებულ ალტერნატივას, ხოლო ხელისუფლებას – სახალხო დიპლომატიასთან დაპირისპირებულ ბანაკს, რომელსაც ხალხის ინიციატივისა ეშინია. ამ შეხედულებას ამყარებს არასამთავრობო დიპლომატიის ცნობად სახეთა შორის ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების სიმრავლე, რაც მათ უქმნის შეგრძნებას, რომ სახალხო დიპლომატია და სამთავრობო დიპლომატია არა უბრალოდ სხვადასხვა ან ურთიერთშემავსებელი, არამედ ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებებია.

რაც შეეხება რუსეთის საზოგადოებრივ აზრს, ის შეესაბამება იმ ცვლილებებს, რომელთაც კრემლი ავლენს საქართველოსთან დამოკიდებულებაში. რუსეთისათვის საქართველო ყოველთვის განსაკუთრებული

იყო. საბჭოთა დროებაში პოპულარულ საკურორტო ადგილად ითვლებოდა, ხოლო სსრკ-ის დაშლის შემდეგ საქართველომ ერთ-ერთმა პირველმა გამოსცადა თავის თავზე ,,ხალხთა მეგობრობის“ მთელი სიკეთე და 1993 წელს, სამხედრო კონფლიქტების დროს, რუსეთმა სეპარატისტებს დაუჭირა მხარი და საქართველომ ორი რეგიონი დაკარგა: აფხაზეთი და ,,სამხრეთ ოსეთი“. რუსული პროპაგანდა შეეცადა, დაერწმუნებინა თავისი მოსახლეობა საქართველოსთვის სეპარატისტული რეგიონების ჩამოცილების აუცილებლობაში. საგაზეთო პუბლიკაციები და სატელევიზიო რეპორტაჟები გაივსო პროპაგანდისტული კლიშეებით, სიტყვების – ,,გენოციდი“, ,,ფაშიზმი“, ,,აგრესია“ – გამოყენებით, რაც მოწოდებული იყო საიმისოდ, საქართველო ძველებურად აღარ აღექვათ.

საზოგადოებრივი აზრის ფონდის მონაცემთა მიხედვით, 1998 წელს, ჩატარებულ გამოკითხვაზე რუსეთის მოსახლეობამ პასუხი გასცა ასეთ შეკითხვას: ,,თქვენი აზრით, რომელ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკასთანაა აუცილებელი, რუსეთმა უპირველესად რომ განამტკიცოს თანამშრომლობა?“ საქართველომ მხოლოდ ხმების 7% მიიღო. ერთი წლით ადრე, ამავე ფონდის მიერ ჩატარებული კვლევა თემაზე: ,,როგორ ფიქრობთ, დღეს გვყავს გარეშე მტრები, რომლებსაც შეუძლია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ომი წამოიწყონ?“ რესპონდენტების 44%-მა დადებითად უპასუხა, 35%-მა

უარყოფითად. საქართველო მხოლოდ გამოკითხულთა 1%-მა ახსენა. შეკითხვაზე: ,,უნდათ თუ არა რუსებს სსრკ-ის აღდგენა“, პოსტსაბჭოთა სივრცის ყველა ქვეყნიდან გამოკითხულთა მხოლოდ 8%-მა მოისურვა საქართველო ახალ კავშირთან მიერთებული ეხილა. 1998 წლის აპრილში, ფონდმა გამოკითხა რუსეთის მცხოვრებლები რუსეთისა და საქართველოს ურთიერ-თობათა ხასიათის შესახებ: მეგობრული – 11%, პარტნი-ორული – 16%, ნეიტრალური – 25%, კონკურენტული – 7%, მტრული – 14%. პასუხის გაცემა 28%-ს გაუჭირდა.

1998-1999 წლებში ფონდი ეკითხებოდა რუსებს იმის შესახებ, თუ რომელ ქვეყნებთან მოისურვებდნენ ურთიერთობის განვითარებას. 1997 წლის ივლისში საქართველო 5%-მა დასახელა, 1998 წლის იანვარში – 7%-მა, 1998 წლის ივლისში – 5%-მა, 1999 წლის ივლისში – 6%-მა, 2000 წლის ნოემბერში – 17%-მა მხარი დაუჭირა საქართველოს საზღვრის დაკეტვას ან სავიზო რეჟიმის შემოღებას.

2001 წლის ოქტომბერში ფონდმა სპეციალური გამოკითხვა ჩაატარა რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის შესახებ. რესპონდენტები პასუხებში განმარტავდნენ თავიანთ უარყოფით დამოკიდებუ-ლებას საქართველოს მიმართ. მაგალითად, იმის გამო, რომ აფხაზეთი აბრკოლებს ჩეჩნებს, რათა ისინი არ გავიდნენ ზღვაზე, სწორედ პროპაგანდით დაარწმუნეს რუსები, რომ აფხაზეთი რუსეთის ფორპოსტია

კავკასიაში და რომ ჩეჩნები სეპარატისტების მხარდამხარ იბრძოდნენ, რუსულ პრესაში უკვე აღარ იწერებოდა. განსაკუთრებით პირველი ჩეჩნური ომის დროს 1994-1996 წლებში, როცა იგივე შამილ ბასაევი ომობდა უკვე არა რუსეთის არმიასთან ერთად, როგორც ეს იყო აფხაზეთში, არამედ მის წინააღმდეგ. გამოკითხვა მაშინ ჩატარდა, როდესაც პრაქტიკულად, ყველა რუსულ ფედერალურ ტელეარხს უკვე სახელმწიფო აკონტროლებდა [80, 301-302].

ქართული საზოგადოების ძირითადი ნაწილი აღიარებს აფხაზებს, ოსებსა და ქართველებს შორის ურთიერთობების ნეგატიურ შედეგებს და შესაბამისად, ამ ურთიერთობების აღდგენას განიხილავს როგორც სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხს, კონფლიქტის სამშვიდობო ტრანსფორმაციის აუცილებელ პირობას და ერთ-ერთ ყველაზე გადამწყვეტ ფაქტორს.

უმრავლესობის პოზიცია აფხაზების და ოსების რეინტეგრაციის მიმართ ერთმნიშვნელოვნად არის ორიენტირებული ნდობის აღდგენაზე, მშვიდობიან ურთიერთობებზე. რაც მთავარია, მათი აზრით ვერ მიიღწევა ეფექტიანი სახალხო დიპლომატიის გარეშე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. რეალპოლიტიკიდან გამომდინარე სახალხო დიპლო-მატია არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი დაპირისპი-რებულ მხარეთა პოზიციების დაახლოების, ჯანსაღი

საზოგადოებრივი აზრის შექმნის სრულ და წინააღმდეგობრივ გზაზე.

საზოგადოების ნაწილი სახალხო დიპლომატიის მოღვაწეობას აფასებს სკეპტიკურად, ნიჰილისტურად განწყობილი ან გაღიზიანებული ადამიანის პოზიციიდან. მათი შეხედულებით ,,სახალხო დიპლომატია სამთავრობო თამაშებია", ,,ეს არის კატა ტომარაში", ,,დროის გაყვანისა და ხალხის მოტყუების შესაძლებლობა", ,,ფულის კეთებისა და საზღვარგარეთ მოგზაურობის შესაძლებლობა", ,,ილუზია იმისა, რომ რაღაც კეთდება", ,,აფხაზებთან და ოსებთან რევერანსები", ,,ოპოზიციის ხრიკები და ქვეგამხედვარობა", ,,გაუმართლებელი დათმობები საქართველოს ინტერესების საზიანოდ" და სხვა.

ბოლო ათწლეულში აფხაზები თავიანთ იდენტობას უკავშირებდნენ არა ქართველებთან, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ნათესაობას; თუმცა, ახლა სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება საპირისპირო ტენდენცია. ჩრდილოეთ კავკლასიელთა თარეში მათ თანდათან უჩენს ნოსტალგიას ქართველების მიმართ. პირად საუბრებში უკვე ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ არათუ დსთ-ში, უფრო ლოკალურ კავკასიურ სივრცეშიც კი მათ ვერ იპოვეს ქართველთა ჩამნაცვლებელი საერთო მენტალიტეტის, საერთო ტრადიციების მატარებელი ხალხი.

ჯერ კიდევ 2009 წლის ივნისში გალის გუ-

ბერნატორი რუსლან ქიშმარია აღნიშნავდა, რომ ,,ადრე ჩვენ დამოუკიდებელნი ვიყავით, ახლა აღიარებულნი ვართ . . . დამოუკიდებელნი ვიყავით, ვიდრე რუსეთმა არ გვცნო“! [96, 201].

მოსახლეობის ნაწილი ფიქრობს, რომ სახალხო დიპლომატია საგარეო პოლიტიკაში გამოიყენება ძირითადად ინტელიგენციის, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით დაპირისპირებული სახელმწიფოს მოსახლეობასთან; რომელთაც განსხვავებული აზრი აქვთ ქვეყნის მმართველი ელიტისაგან. ქვეყნის შიგნით სახალხო დიპლომატიას აქტიურად იყენებენ აბორიგენი მოსახლეობა ეთნო ან რელიგიური კონფლიქტის დროს.

ამავე დროს ისმის კითხვა, რამდენად მართებულია და რომელ დიპლომატიას შეიძლება მივაკუთვნოთ, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს ა ლ ტ ე რ ნ ა ტ ი უ ლ ი ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა – უხუცესთა საბჭოს ან სახალხო კრების მიერ მართული ერთეულები? მაგალითად, პანკისის ხეობაში [102, 4], აფხაზეთში . . .

მძლავრი საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანის წინაშე უძლური აღმოჩნდა ქართველი ხალხის ყველა მცდელობა, წინ აღდგომოდა აფხაზთა გაუცხოების პროცესს, რასაც ხელი შეუწყო იმავე რუსების ხელდასმით მოქმედი ბოლშევიკური ხელისუფლების რეპრესიულმა პოლიტიკამ აფხაზეთში, რომელიც

აფხაზთა მიერ აღიქმებოდა არა, როგორც ,,კლასობრივი ბრძოლის“ გამოვლინება, არამედ, აფხაზთა ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ქართული პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთს, ფაქტობრივად, ჰქონდა ყველაზე ფართო ავტონომია რუსეთის ფედერაციის და საბჭოთა კავშირის სხვა სუბიექტების შემადგენლობაში არსებულ ავტონომიებთან შედარებით და განვითარებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების მკვეთრად უკეთესი პირობები, ხოლო აფხაზებს – მოსახლეობის დანარჩენი ნაიწლის ადამიანის უფლებების დარღვევამდე მისული პრივილეგიები – აფხაზური სეპარატიზმი სულ უფრო სწრაფი ტემპებით ღვივდებოდა და პერმანენტულად გამოდიოდა საქართველოსგან გამოყოფისა და რუსეთის მომიჯნავე კრასნოდარის მხარესთან მიერთების ლოზუნგით. ამ კოზირის გათამაშება აშკარად ემთხვეოდა მოსკოვის წინააღმდეგ ქართველების გამოსვლის პერიოდს.

როგორც ოფიციალურ პოლიტიკაში, ისე სახალხო დიპლომატიაში აღრეული იყო მონური მორჩილება. სწორედ ეს იქცა კატალიზატორად XX საუკუნის 90-იანი წლების მოვლენებში, როცა აფხაზეთში ვითომ რკინიგზის დასაცავად, სინამდვილეში, დამხობილი პრეზიდენტის მხარდამჭერთა დასათრგუნად შეყვანილ ჯარებს, რომელთაც არაფერი ესაქმებოდათ საკუთრივ აფხაზ მოსახლეობასთან, აფხაზები

შეხვდნენ როგორც ოკუპანტებს, ხოლო ქართველების დიდი ნაწილი, როგორც მხსნელ არმიას, რომელსაც ბოლო უნდა მოეღო ქართველების დისკრიმინაციისათვის აფხაზეთში. სწორედ აქ ამოხეთქა წლების მანძილზე დაგროვილმა პრობლემებმა.

არის ფაქტები, როდესაც სახალხო დიპლომატია გარკვეულწილად აღიზიანებს და უარყოფითად განაწყობს ადამიანებს სწორედ იმის გამო, რომ ქართული მხარის მზაობა კომპრომისებისათვის უპასუხოდ რჩება ან ცინიკურ გამოხმაურებას იმკის აფხაზების და ოსების მხრიდან. ბოლო წლებში მსგავსი ნეგატიური განწყობები დაუკავშირდა აფხაზთაგან უპასუხო ,,ბოდიშის“ კამპანიას. აგრეთვე, დაუდასტურებელ თუ დადასტურებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ საზღვარგარეთ ჩატარებულ აფხაზთა და ქართველთა შეხვედრებზე, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარდა სახალხო დიპლომატიის ფორმატში, აქტიურად განიხილებოდა აფხაზეთის დამოუკიდებლობის საკითხიც.

სავარაუდოა, რომ ქართული სახალხო დიპლომატიის წარმომადგენელთა თანხმობა და მზაობა ამ საკითხის განხილვისათვის არის არა მათი შინაგანი განწყობის გამოხატულება, არამედ ხარკი, გადასახადი, რომელსაც ისინი იხდიან საზღვარგარეთ მოგზაურობისა და დროსტარებისათვის. საინტერესოა, იყო თუ არა მათი ასეთი განცხადებები დაფუძნებული ხალხის

აზრსა და პოზიციაზე. ან, თუ ისინი მხოლოდ თავიანთი შეხედულებით საუბრობენ, მართლა შეუძლიათ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე თანხმობა? საეჭვოა, თუნდაც ერთ ქართველს, თუკი მართლა ქართველია და არ გადაგვარებულა, შეეძლოს ამის გაკეთება. მაშინ რატომ იწყებენ აფხაზებთან საუბარს შეგნებული ტყუილით?

საქართველოს ხელისუფლებისაგან განსხვავებით, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება აშკარად ზღუდავს სახალხო-დიპლომატიურ პროცესებში ჩართვის მოსურნე მოქალაქეებს, რომ არაფერი ვთქვათ წნეხსა და რეპრესიებზე. ეს გამოიხატება იმაშიც, რომ ხდება სახალხო დიპლომატიური ღონისძიებების მონაწილეთა მკაცრი გადამოწმება და ,,ინსტრუქტირება“, რის გამოც ისინი ლაპარაკობენ გამზადებული, ცენზურაგავლილი ტექსტებით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ღონისძიებების ეფექტიანობას.

აფხაზებსა და ქართველებს შორის ყოფით ურთიერთობებსა და კონტაქტებშიც კი მუდამ იგრძნობა აფხაზების სწორება მთავრობაზე, ოფიციალურ სეპარატისტულ იდეოლოგიაზე. მათ მუდამ ახსოვთ, რომ კედლებსაც ყური აქვთ და, თუ ხმამაღლა ლაპარაკობენ სამთავრობო გაზეთის ენაზე და მხოლოდ თვალის ცეცებითა და ჩურჩულით, რასაც გულის სიღრმეში განიცდიან და ფიქრობენ.

შეიძლება ითქვას, რომ აფხაზური სახალხო

დიპლომატია და ოფიციალური დიპლომატია ზედ-მიწევნით არის ერთმანეთთან შეთანხმებული. ის, რომ ბევრი აფხაზი თუნდაც ასე ჩუმად გამოთქვამს სინანულსა და ძველი ურთიერთობების აღდგენის სურვილს, თავისუფლად ჯდება მათი სამთავრობო პოლიტიკის ჩარჩოებში. აქ საუბარია ურთიერთობის აღდგენაზე მეგრელებთან და არა მთელ ქართველ მოსახლეობასთან, რასაც აფხაზეთის დე-ფაქტო ხელის-უფლება და პირველ რიგში აფხაზეთის პოლიტიკის მთავარი მოთამაშე მოსკოვი მოიაზრებს, როგორც დასაყრდენს აფხაზურ-მეგრული სახელმწიფოს შექმნი-სა და საქართველოს შემდგომი დაშლის რეალიზაციი-სათვის [103].

აქვე აღვნიშნავთ, რომ გარკვეულ სიტუაციაში და ცალკეულ აქტორთა შემთხვევაში შესაძლოა ეს ასეც იყოს, მაგრამ ეჭვის შეტანა კონტაქტებზე წამოსული ყველა აფხაზის გულწრფელობაში, და მათი გამოც-ხადება ოფიციალური პოლიტიკის ემისრებად სახალხო დიპლომატიაში, უსაფუძვლო და შეურაცხმყოფელია.

ნებსით თუ უნებლიეთ გვხვდება არაკორექტუ-ლობის შემთხვეევბი, რაც უარყოფითად აისახება სახალხო დიპლომატიის მუშაობაზე. გავიხსენოთ, რო-გორ ,,აცივდება“ ტელეჟურნალისტის კამერა სახეში აფხაზებს, რომლებიც სამედიცინო ან სხვა დახმარები-სათვის გადმოდიან დე-ფაქტო საზღვრის აქეთ. ეს ადამიანები აფხაზეთის ხელისუფლებასა და აგრესიუ-

ლად განწყობილ თანამემამულეებთან ურთიერთობის ,,გაფუჭების“ რისკის ფასად იღებენ და არ სურთ მათი ეს ნაბიჯი მთელ ქვეყანას მოედოს. აღნიშნული აფრთხობს აფხაზებს და ოსებს, თორემ მიმოსვლა და ურთიერთდახმარება უფრო ინტენსიური იქნებოდა. მათაც უნდა გავუგოთ და დავზოგოთ, არ შევუქმნათ დამატებითი პრობლემები შინ დაბრუნების შემდეგ. რიგითი აფხაზები და ოსები სწორედ ამის შიშით გაურბიან ჩვეულებრივ ყოფითი სახის კონტაქტებს ქართველებთან. მით უმეტეს თავს არიდებენ საქმიან ურთიერთობებს, მაგალითად, მცირე ბიზნესთან დაკავშირებით, რადგან შეხვედრები თუ ზედმეტად გახმაურდა ამ ბიზნესს ჩაშლით ემუქრება. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მობილიზებული შეხვედრები, სხვადასხვა პროფესიისა და საერთო საჭიროებების მქონე ადამიანებს შორის, საერთოდ არ იმალება.

განსაკუთრებით რთულია შერეული ოჯახების ყოფა. მათ სურთ თავიანთ ნათესავებთან კონტაქტი. ეს კი არსებულ სიტუაციაში ძნელია, რადგან საზოგადოებრივი აზრი არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული: კარგია თუ ცუდი აფხაზებთან და ოსებთან კონტაქტი და კომპრომისები.

ეჭვიან დამოკიდებულებას არცთუ იშვიათად განიცდიან ორგანიზებული სახალხო დიპლომატიური ღონისძიებების ინიციატორებიც. ეს განპირობებულია

იმით, რომ არ არის საკმარისი ინფორმაცია მათი პოზიციების შესახებ; მოსახლეობის ფართო წრეები არ არიან გარკვეულნი კონფლიქტოლოგიის საფუძვლებში და ერთმანეთისგან ვერ ასხვავებენ ეროვნული ინტერესების ღალატს და შეთანხმებას ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით. ხშირად ეს ადამიანები წინ უსწრებენ ოფიციალურ დიპლომატიასა და სამთავრობო პოლიტიკას. სწორედ ამის გამო, მათი საქმიანობა გაუგებარია გაუთვითცნობიერებული ადამიანებისათვის, რომლებიც ,,თავიანთ საათს მთავრობის საათის მიხედვით ასწორებენ“.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული ძალები ხელს უშლიან სახელწმიფო დიპლომატიის მოქმედების თავისუფლებას, რაც ჰაერივით ჭირდებათ ქართველებს, ოსებს, აფხაზებს. დროც აღნიშნული დიპლომატიის საწინააღმდეგოდ მუშაობს: იღუპებიან ძველი მეგობრები, ნათესავები, მეზობლები. . . ვისაც კიდევ შეეძლოთ გაწყვეტილი ურთიერთობების აღდგენა . . .

დ ა ს კ ვ ნ ა

ჯერ კიდევ როდის? ჩვენი ერის დიდი განმანათლებელი იაკობ გოგებაშვილი XIX საუკუნის ათიან წლებში წინასწარმეტყველებდა: ,,აფხაზებს ემუქრებათ გაქრობა თუ პოლიტიკანებმა გააცალკევეს და მოწყვიტეს საქართველოს“.

აღნიშნული პროგნოზი ღრმა შინაარსის მატარებელია. ფრაზის ჰერმენევტიკული ანალიზის მიხედვით აფხაზეთის ,,განცალკევება“, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება (ან მისადმი მხარდაჭერა) შეუძლიათ მხოლოდ პოლიტიკანებს, იმ ადამიანებს, რომელთაც წარმოდგენა არა აქვთ პოლიტიკაზე, პოლიტიკურ პროგნოზებზე, პოლიტიკურ პროცესებსა და მათ შედეგებზე. ციტატის დაფარული აზრის ამოხსნისას მთავარი ყურადღება უნდა გადავიტანოთ კითხვაზე, რატომ უნდა დაემუქროს გაქრობა ,,დამოუკიდებელ“ აფხაზეთს?! იმიტომ, რომ უპირველესი საფრთხე საერთაშორისო იზოლაციაშია, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. საქართველოს მთლაინობის დარღვევას, აფხაზეთის გამოყოფას მსოფლიოში არავინ იცნობს. ეკონომიკურ და პოლიტიკურ ბლოკადაში იგი დიდხანს ვერ იარსებებს. ასეთ პირობებში აფხაზეთმა გამოსავალი უნდა ეძიოს რუსეთთან შეერთებით, რაც აფხაზეთის კატასტროფით დამთავრდება, რადგან დროის მცირე მონაკვეთში

რუსები დაიწყებენ აფხაზეთის ინტენსიურად ,,ათვისებას“. იქ რუსეთის ნებისმიერი კუთხიდან მოაწყდება ხალხის უდიდესი ნაკადი, მათ შორის ციმბირიდან და შორეული აღმოსავლეთიდან. ,,სამოთხისაკენ“ პირველ რიგში, ისეთი ადამიანები დაიძვრებიან, რომელთაც ზღვა არც კი უნახავთ და ოცნებობენ როგორმე მისი ნაპირების სიახლოვეს ფეხი მოიკიდონ. საკმარისი იქნება სულ მცირე დრო და ,,აფხაზები“ აბსოლუტურ უმცირესობაში აღმოჩნდებიან. დიდი რუსეთი მათ მალე ,,შეიწოვს“. ასიმილაციის პროცესს ვერავინ შეაჩერებს. აფხაზები დაკარგავენ თავიანთ ენას და შეერწყმიან ,,უფროს ძმას“. ისტორიულად არა ერთი მაგალითია ცნობილი.

,,დამოუკიდებელ აფხაზეთს“ არა ნაკლები საშიშროება ჩრდილოეთ კავკასიიდან მოელის. იქაურები საუკუნეების განმავლობაში იბრძვიან ზღვაზე გასასვლელისათვის. ძნელი წარმოსადგენი როდია ალბათობა ,,დამოუკიდებელ აფხაზეთში“ მათი ნაკადების შემოჭრისა. გამორიცხული არც ისაა, რომ აფხაზებსა და ჩრდილო კავკასიის ხალხებს შორის კონფლიქტმა უაღრესად საშიში ხასიათი მიიღოს და ადგილობრივი მოსახლეობის დიდ ნაწილსაც დაატოვებინონ აფხაზეთი. კვლავ გაქრობის მუქარა – ასეთი იქნება სეპარატისტების უმძიმესი ხვედრი, ამიტომ აფხაზების ,,გამარჯვება“ უკვე იქცა მათი ყველაზე დიდი დამარცხების დასაწყისად. ავანტურისტი

პოლიტიკოსების წყალობით აფხაზეთი უფსკრულისაკენ მიექანება. სამწუხაროდ, ასე გამართლდა გოგეზაშვილის პოლიტიკური პროგნოზი. აფხაზთა ზეიმი ნაადრევია. საქართველო დაიბრუნებს ძირძველ ტერიტორიებს, აღადგენს სუვერენიტეტსა და ისტორიულ სამართლიანობას, რაც აფხაზებისა და ოსების გადარჩენის და განვითარების ერთადერთი გზაც არის. ადრე თუ გვიან აფხაზები და ოსები გონს მოეგებიან და მიხვდებიან, რომ საქართველოს იქით მათ გზა არა აქვთ. მხოლოდ აქ შეძლებენ ფიზიკურ გადარჩენას, თვითმყოფადობის, კულტურისა და ენის შენარჩუნება-განვითარებას, ეკონომიკურ დაწინაურებასა და დამოუკიდებელი გზით განვითარებას [104, 37-38].

ცნობილი აფხაზი მოღვაწე ფ ა ზ ი ლ ი ს კ ა ნ დ ე რ ი მოსკოვში ყოფნის დროს, მართალია ძლიერ გულისწყრომას გამოთქვამდა ,,აფხაზეთის დალაშქვრის გამო“, მაგრამ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივას სრულიად სამართლიანად, მხოლოდ მხარეებს შორის შერიგებაში ხედავდა: „Конфликт должен кончиться перемирием. Абхазы свое будущее должны искать в Грузии, только с грузинами вместе. Всякое другое просто не приемлемо для обхазов“ [20, 113].

აფხაზური სიბრძნე გვეუბნება: ,,როცა ქარიშხლები ქრიან, ერთმანეთს ხეთა კენწეროები ეხლება, მაგრამ მიწის სიღრმეში გადახლართული ფესვებით

ნებით თუ უნებლიედ ამაგრებენ ერთმანეთს, რომ არ წაიქცნენ“. ამიტომ, ამ ფესვების დაშორება არ უნდა მოხდეს, თორემ ორივე მხარე წავიქცევით.

ოსი მეცნიერი ვასილ აბაევი ე წ. „სამხრეთ ოსეთის“ საკითხს ადარებდა ბასკების პრობლემას. მეცნიერის აზრით, „საფრანგეთის სამხრეთ-დასავ-ლეთში არსებობს ბასკების ეროვნული ოლქი, იქაური ბასკები სარგებლობენ კულტურული ავტონომიით, შენარჩუნებული აქვთ თავიანთი ენა, აქვთ თავიანთა სკოლები, ცოცხალი კავშირები აქვთ თავიანთ თანამოძმეებთან პირენეის ნახევარკუნძულზე. მაგრამ მათ რომ მოესურვებინათ თავიანთი ტერიტორიის ესპანეთთან შეერთება საფრანგეთი ამაზე არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდა. ი გ ი ვ ე ვ ი თ ა რ ე ბ ა ა ს ა მ ხ რ ე თ დ ა ჩ რ დ ი ლ ო ე თ ო ს ე თ ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ ზ ე“ (ხაზგასმა ჩემია _ ა. ს.).

აბაევის დემაგოგიური შედარება, ბუნებრივია, შორს სცილდება ჭეშმარიტებას. ისტორიული კატა-კლიზმების შედეგად XVI საუკუნეში ბასკების გან-სახლების ჩრდილოეთი რაიონები საფრანგეთის შემა-დგენლობაში შევიდა, სამხრეთი რაიონები კი XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე _ ერთიანი ესპანეთის სახე-ლმწიფოს შემადგენლობაში. არსებული ვითარების გამო ბასკეთი ორად გაიხლიჩა და თითოეული მათგანი სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიის საზღვრებში აღმოჩნდა. სულ სხვა ვითარება გვაქვს ოსებთან

დაკავშირებით.

ამდენად, აზრს „სამხრეთ ოსეთის საქართველოსაგან გამოყოფაზე _ აღნიშნავს ვ. აბაევი _ საქართველოს არც ერთი მთავრობა არ დაეთანხმება. იმიტომ რომ ეს იქნება საქართველოს მთლიანობის ტერიტორიული დარღვევა“ [105]. აქვე გვინდა დავამატოთ, რომ ეს იქნება საქართველოს ისტორიული ტერიტორიის დაპყრობა, რასაც ამჟამად ახორციელებს რუსეთი და რასაც არათუ მთავრობა, არასდროს არცერთი ქართველი არ დათმობს.

და ბოლოს, ორივე მხარემ უნდა გაიაზროს, რომ რა პრობლემები გვაერთიანებს, ნაცვლად იმისა, რომ ჩვენი ურთიერთგათიშვის პრობლემებზე ვილაპარაკოთ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. И. Н. Арцибасов, За пределами законности, М., 1986
2. მ. თავდიშვილი, სოსო სიგუა – ფილოლოგი და კულტურულოგი, თბ., 2019
3. ჯ. პატიაშვილი, ოცდასამი წლის შემდეგ, თბ., 2013
4. გაზ. ,,ასავალ-დასავალი“, 2018, № 36
5. გაზ. ,,ასავალ-დასავალი“, 2020, № 10
6. გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო“, 2020, № 4
7. ოლეგ პანფილოვი, ანტისაბჭოთა ისტორიები, თბ., 2017
8. გაზ. ,,ასავალ-დასავალი“, 2020, № 3
9. გაზ. ,,ასავალ-დასავალი“, 2018, № 35
10. გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო“, 2019, № 12
11. გაზ. ,,ასავალ-დასავალი“, 2018, № 41
12. ვაჩე რაინდელი, ახალი ათონის ,,მძვინვარე დუმილი“, ჟურნ. ,,ისტორიანი“, 2019, № 1
13. ჯ. გამახარია, ოკუპირებულ აფხაზეთში ადამიანის უფლებების ფართომასშტაბიანი დარღვევის შესახებ, კრ. ,,მეისტორიე“ მიძღვნილი ფროფესორ გელა (გიორგი) საითიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბ., 2020
14. Д. Н. Медоев, Южная Осетия и политика России в закавказе, М., 2014

15. ვ. გოილაძე, ,,მიწის ენა“ მრუდე სარკეში, თბ., 2007
16. П. Закарая, к истории зодчества Шида Картли, сб. „Осетинский вопрос, Тб., 1994“
17. ვ. რჩეულიშვილი, საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ფუნქციების შესახებ, კრ. ,,ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2009, № 2
18. დ. ჭანტურია, ტრაგედიის გაგრძელება თუ სამართლიანი ბრძოლა გადარჩენისთვის?!, გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო“, 2019, № 24
19. რ. მიშველაძე, საერთაშორისო ურთიერთობები და საქართველო, თბ., 2018
20. ნ. მესხია, როგორ გასხვისდა აფხაზეთი, თბ., 2009
21. А. Торкунов, новые вызовы и новые приоритеты Журн. „Международная Жизнь“, 2004 №6
22. ჰ. ჭიპაშვილი, დიპლომატიის ანბანი, თბ., 1993
23. ა. ჩიკვაიძე, პოლიტიკური ჭადრაკი სამი სხვადასხვა ქვეყნის ელჩის თვალით, თბ., 2004
24. პ. ეხვაია, სახალხო დიპლომატია, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი კონფლიქ-ტების დარეგულირების პროცესში, ჟურნ. ,,საისტორიო ვერტიკალები“, 2012, № 26
25. პოლ დოჰერტი, ალექსანდრე მაკედონელი, თბ., 2013
26. ჰენრი ჰარტი, მარკო პოლო, თბ., 2011
27. ე. ტარლე, ტალეირანი, თბ., 1965

28. ქ. ჯიჯეიშვილი, ზ. მახარაძე, ძალთა ბალანსის პრინციპი გლობალურ პოლიტიკაში და ქართული რეალობა, კრ. ,,საქართველო საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის სისტემაში“, თბ., 2019
29. Р. Ф. Иванов, Дипломатия Авраама Линколна, М., 1987
30. В. Л. Исреалян, Дипломаты лицом к лицу, М., 1990
31. Сю Ю. Витте, Воспоминания, Т. 2, М., 1096
32. А. Н. Ковалев, Азбука дипломатии, М., 1984
33. И. М. Майский, Кто помогал Гитлеру? М., 1962
34. В. Л. Мальков, Франклин Рузвельт, М., 1988
35. მ. კვიტაშვილი, მასალები ამერიკული დღიურიდან, თბ., 1991
36. შ. ფრიდონაშვილი, სტალინი და მაგია, ,,საისტორიო ვერტიკალები“, 2007, № 13
37. В. Истархов, Удар русских богов, С-Петербург., 2001
38. ა. ერქომაიშვილი, შეხვედრა მოლოტოვთან, ,,ლიტერატურული საქართველო“, 1989, 27 ოქტომბერი
39. ალენ პეკარ ლემპერერი, ორელიენ კოლსონი, მოლაპარაკების მეთოდები, თბ., 2009

40. დ. მონიავა, რატომ დაუპირისპირდნენ ,,ნაციონალები“ პატრიარქს?, გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო“, 2013, № 3
41. Морель, Десять лет секретной дипломатии, М., 1924
42. ნ. ნანიტაშვილი, ამერიკის შეერთებული შტატების 100 წლის ისტორია XX საუკუნე, თბ., 2002
43. რაიმონ არონი, მშვიდობა და ომი ერებს შორის, თბ., 2009
44. მ. ამირგულაშვილი, ეთნოკონფლიქტების არსი და მისი მოწესრიგების მექანიზმი, ,,საისტორიო ვერტიკალები“, 2003, № 4
45. დ. გეგეშიძე, ს. ყურაშვილი, რელიგიური ფაქტორი კონფლიქტოლოგიაში, ჟურნ. ,,პოლიტიკა“, 1994, № 8-9
46. ა.დუნდუა, ზ. აბაშიძე, ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში, თბ., 2009
47. ჰეგელი, ისტორიიის ფილოსოფია, თბ., 2001
48. ა. დაუშვილი, სოსო ჯუგაშვილის ამბავი, წიგნი მეორე, თბ., 2004
49. ლ. დალაქიშვილი, კულტურის კრიზისი, ეთნიზმი და ერობა, ჟურნ. ,,ეთნოპოლიტიკა“, 2002, № 1

50. კონფლიქტური სუტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბ., 1998
51. ა. სილაგაძე, საქართველო 92, თბ., 1993
52. ზ. გოგია, აფხაზეთი – საქართველოს ეროვნული კრიზისი, ჟურნ. ,,პოლიტიკა“, 1995, № 7-8
53. ი. კვესელავა, საქართველოს ისტორიის ქრონიკები (1970-1990), I, თბ., 2004
54. გ. გასვიანი, აფხაზეთი ძველი და ახალი აფხაზები, თბ., 1998
55. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 14, ანაწ. 30, ფურც. 21-22
56. Э. В. Хоштария-Броссе, История и современность. Абхазская проблема в конфликтологическом аспекте, Тб., 1996
57. გაზ. ,,ლიტერატურული საქართველო“, 1989, 26 მაისი
58. აფხაზეთის სისხლიანი ქრონიკები, თბ., 1993
59. ჟურნ. ,,არსენალი“, 2014, № 6
60. ქ. ჯიჯეიშვილი, გ. ჯულუხაძე, ოსური სეპარატიზმი სამაჩაბლოში, ,,საისტორიო ვერტიკალები“, 2009, № 18
61. მ. გაჩეჩილაძე, სამაჩაბლოს ოსთა ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, კულტურა, თბ., 1996
62. რ. თოფჩიშვილი, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბ., 2007
63. Курьер Юнеско, 1997, №1

64. А. Тотадзе, Осетины в Грузии, Тб., 1994
65. თ. შაველაშვილი, რამდენიმე მოსაზრება ქვეყნის ღირსების შესანარჩუნებლად, ,,საისტორიო ვერტიკალები“, 2007, № 11
66. გაზ. ,,კომუნისტი“, 1990, 5 იანვარი
67. ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიუძე, ო. ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008
68. ლ. სარალიძე, ცხინვალის რეგიონის ისტორი-იდან (1990-1991წწ.), კრ. ,,ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, თბ., 2008, № 2
69. ვახტ. ითონიშვილი, ქართულ-ოსურ ურთიერ-თობათა ისტორიიდან, თბ., 1995
70. ა. სონღულაშვილი, ,,სამხრეთ ოსეთი“ საქა-რთველოში?!, თბ., 2009
71. მ. ვაჩნაძე, ვ. გურული, რუსეთთან და ურუსეთოდ, თბ., 2007
72. ქ. ჯიჯეიშვილი, შტრიხები საქართველოს პრეზი-დენტთა პოლიტიკური პორტრეტისათვის, თბ., 2009
73. მიხაილ ზიგარი, კრემლის ლაშქარი, თბ., 2019
74. ჯ. გახოკიძე, რუსეთ-საქართველოს ომი და მსოფლიოს ახალი წესრიგი, „საისტორიო ვერტიკალები“, 2008, № 16
75. ჩვენი ეპოქა, ხუთტომეული, ტ. III, თბ., 2015

76. მ. სააკაშვილი, ძალის გამოღვიძება, თბ., 2016
77. ს. ყორანაშვილი, აგვისტოს ერთი კვირა, რომელმაც შეძრა დასავლეთი, „საისტორიო ვერტიკალები“, 2008, № 17
78. ნ. ღუდუშაური, საქართველო რუსეთის ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი, „საისტორიო ვერტიკლები“, 2008, № 15
79. ბ. კვარაცხელია, რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ (აფხაზეთი, „სამხრეთ ოსეთი“) და საერთაშორისო თანამეგობრობა, თბ., 2014
80. ოლეგ პანფილოვი, რუსულ-ქართული საინფორმაციო ომი 2008 წელი, თბ., 2018
81. რონალდ დ. ასმუსი, მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, თბ., 2010
82. პეტრე მამრაძე, ავანტიურა 08.08.08, თბ., 2012
83. ჯ. ხარებავა, რ. ჯალაღანია, დ. ქობალია, სამდღიანი ომი და სამარადისო გამარჯვება, თბ., 2008
84. С. Лекишвили, Когда возник термин „Южная Осетия“? Сб. „Осетинский вопрос“, Тб., 1994
85. ვახტ. ითონიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1992
86. ლ. თოიძე, საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები), თბ., 1999

87. ჯ. გახოკიძე, 2008 წლის აგვისტოს ომის ხასიათი და თავისებურებანი, „საისტორიო ვერტიკა-ლები“, 2008,№ 17
88. უ. ბლუაშვილი, საქართველოს ისტორია 1900-2016, თბ., 2016
89. ა. მექვაბიშვილი, მსოფლიო დღეს, თბ., 2006
90. ნ. ჩიტაძე, ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში და სტაბილურობის მთავარი გარანტი, თბ., 2008
91. თომას გოლცი, საქართველო ომისა და პოლიტიკური ქაოსის ქრონიკა პოსტსაბჭოთა კავკასიაში, თბ., 2014
92. Л. Ж. Абжапарова, А. Б. Сарсембаева, Народная дипломатия как фактор международных отно-шений, Журн. „Фундаментальные исследования“, 2013, №11
93. http://reding-hall.ru/publication.php?id=2520
94. Культура толерантности и опыт дипломатии, М., 2004
95. И. А. Василенко, Международные переговоры, М., 2013
96. ვოიცეხ გურეცკი, აფხაზეთი, პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიშიკაშვილმა, თბ., 2014
97. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალური პრობლემები, თბ., 2019

98. ისრაელი და ახლო აღმოსავლეთი, თარგმანი ინგლისურიდან, თბ., 2014
99. ჯ. გახოკიძე, ა. დემეტრაშვილი, ქ. ჯინჭარაძე, ს. მიდელაშვილი, გ. გორაძე, ძიებანი საქართველოს განდგომილი რეგიონების შემორიგებისათვის, თბ., 2017
100. გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2019, № 33
101. ალან პიზი, ბარბარა პიზი, სხეულის ენა, თბ., 2016
102. ა. ხიდირბეგიშვილი, მოგზაურობა ლარსიდან ყარსამდე, გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2019, № 19
103. http://www.nplg.gov.ge/gsd/cdi-bin/;library.rxr?e=d
104. კ. ტოტოჩავა, ჰერმენევტიკა, თბ., 2008
105. გაზ. „თბილისი“, 1992, 23 იანვარი

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №47
E – mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22